

სამეცნიერო-პედაგოგიური ლ. სპ.

განათლება

(წელიწადი მესამე)

III

მ ა რ ტ ი

1912 წ.



გარდაემოსნა

შუგუბელობა. ლ. ბოცვაძისა. 2. ვილიამ ჯემისა. 3. ქართული კაცი და ლოთობა გ. წყალტუ-
 ანტომიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ქმ. მშგ.
 კ. არბელაისი და მისი პოეზია ილ. ფურაძისა. 6. უტი-
 კროპოვა ქართული სიტყვების მ. ქ. ყიფიანისა. 7. დიედ.
 მდლოვსკისა) პ. ლ—ისა. 8. ამირანი ს. აბულაძისა. 9. მუსიკა ლადო
 გეგეჭკორისა. 10. ვინ მეს ნუგეში?.. დ. თურდოსპირელიისა. 11. ფსალმუნ
 იერემიასაგან ი. მჭედლიშვილისა. 12. ჰიმნი ლობიოსადმი გარდანქეშანისა. 13.
 ბავშვთა მისის კაგშირები გ. ბურჭულაძისა. 14. შინაური მიმოხილვა. 15. მოწერი-
 ლი აშბები. 16. უცხოეთი ნ. ბ—ძე სი. 17. ბიბლიოგრაფია, გ. ლემელინისა. 18.
 განცხადებასი.

ყოველდღიური საზოლიტიკო და სსლიტურბტურო

„ს ა ხ ა ლ ხ მ ბ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული
 ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი და მ ა ტ ე ბ ა
 დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს
 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.
 ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (ეკრისის) 7 კაპეიკი.
 ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
 განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის
 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.
 1912 წლის ხელის-მოშწერთ პრემიად მიეცემა ქართული სიტყუაკაზმულ სახ. კრებ.
 შირველი ტომი „გრდემლი“, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება იანვარშივე.
 რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

ყოველ-დღიური საზოლიტიკო და სსლიტურბტურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით
 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწეროებს გაზეთის ფასი
 შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-
 დაწინ 4 მანეთის შესრულებამდე.

ადრესი: Батумъ „Батумись Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. მ. ჭელიძე.

8(05)
3-20

საგაზეთო-კადასტრული და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი შესუთე)

III		მ ა რ ტ ი	1912 წ.
<p>ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით 2 მან.</p> <p>სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.</p>	<p>ცალკე ნომრის ფასი</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება თფილისში წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით: Тифлиς. Дворянская Грузинская Гимназия. Л. Г. Боцвадзе.</p>	
	35 კაპ.		

P-6886

პედაგოგიური შეუგნებლობა

„ახალ მასწავლებელს“ და „გუთნის შემდეგნების“ შენიშვნების გამო

ვინც სახნავი უკუღმართად, მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს, ის მე პურსა ნუღარ მაქმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.

დ. გურამიშვილი.

ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობაში თავი წამოჰყვეს ზოგიერთმა ვაჟბატონებმა, რომლებიც ვითომდა საღი პედაგოგიური პრინციპებით იყვნენ აღტურვილნი. ერთს მათგანს, „კოლხიდის“ ცნობილს „პედაგოგს“, ახლა გვერდში ამოუდგა მეორე სულიერი, რომელიც თავის თავს „ახალ მასწავლებელს“ უწოდებს. ამათ წინამორბედათ ჰყავდათ ვილაყ დონი, რომელიც 1905 წელს „მოგზაურის № 1“-ში ბლღვირს აღენდა ქართულ სახელმძღვანელო წიგნს „დედა-ენას“ და

მიაჩნდა იგი წარმართობის დამნერგველად ჩვენს მოზარდ თაობასა და ხალხში“. ამ ვაჟბატონს ჩამოთვლილი ჰქონდა „დედა-ენაში“ რამდენიმე პაწია მოთხრობა, ზოგიერთი ქართული ხალხური ზღაპარი და რიხიანდ დასაკენიდა: „ყველა ეს წარმართული წერილებიაო“. ახლაც ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ თითქმის იმავე იმეორებს, რასაც წინად ვილაყ დონი გაიძახოდა „მოგზაურიდან“. ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ ამბობს— „დედა-ენის“ სულს უმთავრესად სასაუბ-

როები შეადგენს, საკითხავი მასალა კი გარეგანი სხეულია. სასაუბროების შესწავლა „დედა-ენის“ უმთავრესი მიზანია, საკითხავი მასალა კი საშვალებააო და სხ. („კოლხიდა“ № 17). ასეთი დასკვნა „დედა-ენის“ შესახებ, ჩვენის აზრით, უადგილოა, გაუგებრობის ნაყოფია და შეუსაბამოც. დედა-ენის ავტორს მიზნად აქვს ბავშვის ნორჩი გონების თანდათანობითი განვითარება, თვალსაჩინოდ გაცნობა იმისი, რაც ბავშვის გარშემო არსებობს, ვარჯიშობა შესაფერის მასალების განმარტებით კითხვაში, ლაპარაკში, წერაში, დაკვირვებაში, რაც საერთოდ ავითარებს ბავშვის გონებას და იმავე დროს ასწავლის მას დედა-ენასაც. ვერც ერთს დედა-ენის ელემენტარულ სახელმძღვანელოში, რომელიც დანიშნულია სახალხო სკოლებში სახმარებლად, ვერ იპოვით მარტო ლიტერატურულ მასალას დედა-ენის შესწავლად. ასეთს სახელმძღვანელოებს ადგილი აქვს მხოლოდ საშუალო სკოლებში, დასაწყისის სკოლებში კი, სადაც ჩაიდგმება პირველი საფუძველი ენის შესწავლისა, მარტო ლიტერატურული ნაწარმოები ცალმხრივ მასალას წარმოადგენს და ენის შესწავლა, მოწაფის ლექსიკონის გამდიდრება და მასთან გონების სალი განვითარებაც მარტო სალიტერატურო მასალაზე შეუძლებელი ხდება. ამას მტკიცება არ სჭირდება და ნამდვილ ქეშმარიტებად აქვსთ მიჩნეული ყველა ქვეყნის ცნობილს პედაგოგებს. თუ რა პედაგოგიურის მოსაზრებით შეჩაქვთ სასაუბროები და დაკვირვებითი სწავლების წესები დასაწყისი სკოლების დედა-ენის სახელმძღვანელოებში, ეს ცხადი უნდა იყოს მათთვის, ვისაც დაკვირვებითი სწავლების, საუბრების მნიშვნელობა ესმით.

პესტალოციდან დაწყებული პედაგოგ-იკაში საანბანო ქეშმარიტებად მიიჩნიათ, რომ საუბრებს, ანუ დაკვირვებებს სწავლებას, ცოცხალ სიტყვას, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გარშემო არსებულ საგნების გაცნობაში, ერთის მხრით ამ წესით ბავშვები ჯეროვნად გაიცნობენ საგნებს, რომლის შესახებაც მათ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენილება აქვსთ და მეორე მხრით, ამ საგნების განხილვით და დაკვირვებით, ბავშვის გარეგანი გრძობანი მულმივ ვარჯიშობაშია და განვითარების გზაზე დგანან. ამ სახით, საუბრების და დაკვირვებითი სწავლების საშუალებით, გრძობით განქვრეტის საფეხურიდან ბავშვი გადადის მის გარშემო არსებულ ბუნების დაკვირვებაზე და შეგნებაზე, იგი ხელს უწყობს ბავშვის გრძობითი და აზროვნებითი მოქმედების შეერთებას, არსებულ საგნებზე შეგნებულ წარმოდგენილებათა შედგენას, რაც გამოიხატება მოზარდის გარეგან გრძობებისა და სულიერ ძალთა წესიერს განვითარებაში.

გარეგანი გრძობების და სულიერ ძალთა განვითარებით, ცხადის და შეგნებულის დაკვირვებით შედგენილი სწორი წარმოდგენილებანი გარშემო არსებულს საგნებზე ბუნებრივად ხელს უწყობს სიტყვიერების განვითარებას. თვალსაჩინოა ადრევე აზროვნების ძალას, რაც გამოიხატება ენაში, სიტყვებში. ამიტომაც სასაუბროები ავითარებს ბავშვის გარეგან გრძობებს და იმავე დროს უვითარებს მას ცხადი აზროვნების, მეტყველების ნიჭსაც და შეაქვს ბავშვის სიტყვა-პასუხაში რეალური შინაარსი, რაც ხელს უშლის მისს უაზრო, დაუფიქრებელს ყბედობას. ამ სახით სასაუბროებს „დედა-ენაში“ სწორი ლაპარაკის და აზროვნე-

ბის მნიშვნელობაც აქვს და მასხადამე დედა-ენის შესწავლასაც ხელს უწყობს.

ასეთი სწავლება აუცილებელს საკურობებს შეადგენს ჩვენებურს სახალხო სკოლებში, რადგანაც ჩვენი ოჯახი სრულიად მოკლებულია საშუალებას, მიაწოდოს შვილებს თვალსაჩინოდ ესა თუ ის ცოდნა და მისცეს შესაფერისი მომზადება სკოლაში მიბარებამდე.

„დედა-ენის“ პირველ სამ სასაუბროს წინ უძღვის ისეთი საკითხავი მასალა, რომელიც ეხება სასაუბრო საგნებს. ბავშვის აზრი და გონება ტრიალებს ერთგვარი საგნების გარშემო. ამ შემთხვევაში „დედა-ენის“ ავტორის მოსაზრება ნამდვილს პედაგოგიურს საფუძველზეა დამყარებული—პირველ საფეხურზე პატარა ბავშვის გულისყურის მიპყრობა სხვა და სხვა საგანზე ძნელია, იგი უფრო უსუსტებს გულისყურს და უფანტავს გონებას, ხოლო ყურადღების მიქცევა ერთგვარსა და მონათესავე საგნებზე აჩვევს დაკვირვებას და გულისყურის დამყარებასაც. სულ ამგვარი წესი რომ იყოს „დედა-ენაში“ გატარებული, მაშინ კიდევ შეგვეძლო ერთფერობა და ერთგვარობა გვექვივნება „დედა-ენის“ ავტორისათვის, მაგრამ შემდეგში ეს წესი იცვლება, ზოგან საკითხავ მასალაში სასაუბრო საგანს ნაკლებად ხედავთ, ზოგანაც შერეულია, მაგალითად მეოთხე სასაუბროს, რომელიც ეხება—საცმელს, ლოგინს; და საფენს წინ უძღვის საკითხავი მასალა „რწყილი და ქიანკველა“, „ქურდი“, „ირემი“, „ნაპოვნი სეაარცხელი“, „ტორლა“, „ღირსეული კაცი“, „მუქთა მქამელა“—აბა რა კავშირი აქვს ამ მასალას ზემოთ ნაჩვენებ სასაუბრო საგნებთან? არაფერი, თუმცა კონცენტრიულის წესით ეს მასალაც უკავშირდება წინად

ნასწავლს და თანდათანაც რთულდება. ამიტომ „ახალი მასწავლებლის“ დასკვნა, თითქოს საზოგადოთ „დედა-ენის“ საკითხავი მასალა გარეგანი სხეული იყოს მართო სასაუბროების შესასწავლად და არა ენის შესასწავლადაც სიმართლეს მოკლებულია.

ბ-ნს „ახალ მასწავლებელს“ სასაუბროებს გარდა „დედა-ენაში“ არც საკითხავი მასალა მოსწონს, კაცია და გუნება, მაგრამ ყოველს აზრს, რაც კი შეეხება სწავლა-აღზრდის საქმეს, დასაბუთება სჭირია, უტყუარი საბუთების წინაშე ყველა ქედს მოიხრის, მაგრამ სწორედ ეს უსაბუთო უპირებს საქმეს „ახალ მასწავლებელს“; მას არ მოსწონს „დედა-ენაში“ პატარა ხალხური ლექსი „ღვინო და სიტყვა“, „ბავშვებისათვის ყოველად შეუწყნარებელიაო! რადა? იქნება იმიტომ, რომ ეს პაწია ლექსი ბავშვს ასწავლის—დეფიქრადი და ისი ილაპარაკეო. ნუ თუ ეს შეუწყნარებელია? ჩვენ კი გულაბდილად ვურჩევდით ბ-ნს „ახალ მასწავლებელს“ ამ ლექსის აზრით თვითონვე ესარგებლნა და მაშინ მგონია, უგი არ ეტყოდა ბევრს ისეთს რასმე, რაც ბოლჩს თითზე საკბენი გახდებოდა. მოთხრობა „თავისთავის დასჯა“ უზნეობის მაგალითია, რომელსაც მცირე წლოვანი ყმაწვილების საკითხავ წიგნში არ უნდა ჰქონდეს ადგილიო. რადაო? ეს სცენა, რაც ამ პატარა მოთხრობაშია ნაამბობი, აღებულია თვით ბავშვების ცხოვრებიდან; ცნობილია, რომ ბავშვები ხშირად აპილიბილდებიან ხოლმე, ჯავრსაც იყრიან ჯოლ-ამხანაგებზე, ამგვარი სცენები ბავშვების ცხოვრებაში ხშირია, დარწმუნებული ვარ, ამ პაწია მოთხრობის წაკითხვის, დროსტვერს ბავშვს თავისი საკუთარი მსგავსი სცენებიც წარმოუდგება თვალწინ, დაუფიქრდება და

ამით ზნე ხასიათსაც გაისპეტაკებს. ვსთქვათ ეს მოთხრობა რამე „უზნეობის მაგალითი იყოს“, როგორც ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ გვამცნევს, მაშინაც კი ამგვარი სცენები, ბავშვის ცხოვრებიდან აღებული, უადგილო არ იქნებოდა ბავშვებისათვის და აი რად? ცხოვრება საზოგადოთ იძლევა როგორც უარყოფითს, ისე დებულებითს სურათებს. ბავშვმა ცხოვრება ისე უნდა გაიცნოს, როგორც ნამდვილად არის, დაუფიქრდეს ცხოვრების მიერ წამოყენებულ ფაქტებს; განსაჯოს, რამდენადაც გონების ძალა შესწევს, აწონ-დაწონოს და გაარჩიოს ავი კარგისაგან, საფრანგეთის სკოლებში ესრედ წოდებულს „მორალს“ ისე კი არ ასწავლიან, რომ ბავშვს ყველაფერი იდეალურად დაუსახონ; პირიქით, როცა მასწავლებელი შენიშნავს მოწაფეში რაიმე ცუდს, ან კარგს მხარეს; მაშინვე ეს მოვლენა კლასში საუბრის საერთო საგნად შეიქმნება. რასაკვირველია ამგვარ შემთხვევაში არ შეღაბვენ ბავშვის თავმოყვარეობას, არ დასახვლებენ კლასში მის ვინაობას, ვინც ცუდი საქციელი ჩაიდინა, მაგრამ ის ბავშვი უკვე გრძობს ვის ეხება საუბარი და უფრო ღრმად უფიქრდება თავის საქციელს. თეთონ ამ პატარა მოთხრობას, რომელიც „უზნეობის მაგალითად“ მიიჩნია ბ-ნს „ახალ მასწავლებელს“ ასეთი საზნებრიო ანდაზა აქვს ბოლოში — „ნუ იქ ავსა, ავისაც ნუ გეშინიან“. აი ეს ზნეობრივი სწავლა გამომდინარეობს ამ მოთხრობიდან, რომლის წაკითხვის შემდეგ მოწაფეები არავითარს უზნეოს რასმე არ შეითვისებენ, თუ მასწავლებელიც წესიერად წაიყვანს ამ მოთხრობის განმარტებითს კითხვას და მასწავლებელიც ხომ ერთგვარი მესაქეა, რომელიც ბავშვის გულისყურს და აზ-

როვნებას იქით მიაპყრობს, სადაც სასურველია.

„პური, ღვინო და მჭადი“ გაუგებარი იყო — ამბობს ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ — „მცირელი კაცი არ დამლევს, თუ არ მირონ ღებულიო“ — ძნელად თუ გაიგებ ადამიანი, თუ ვინ არის ეს „მცირელი“ — მოგახსენებთ — ეს ხალხური ლექსია. სიტყვი „მცირელი“ დარჩენილია, როგორც ხალხში, ისე მწერლობაშიაც. „დიდს დიდობით და მცირეს მცირობით სისხლი დაეურვოსო“, ვკითხულობთ ვახტანგის სამართალში. „დიდებულნი და მცირებულნი“, „მცირელი“ ნიშნავს მცირე ხალხს მდამიო ხალხს, არა დიდებულს, ეს სიტყვები გაუგებარი არ უნდა იყოს იმისთვის, ვისაც ხალხური ენის და ძველ მწერლობის შეგნება აქვს. ამ ლექსში ღვინო თავის ქებით გაიძახის „მცირელი კაცი არ დამლევს, თუ არა მირონ-ღებულიო“, აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა ქრისტიანი ხალხი, რომელსაც სჯული უკრძალავს ღვინის სმას. შეიძლება ამ ღვინის ტრაბახშიაც რაიმე უზნეობა ჰხედავს ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ მაგრამ ცოტა ქვევით პური სამართლიანად ამხილებს ღვინოს, თუ რა ვაებატონი ბრძანდება.

„რაც შეეხება ენას და მხატვრობას ამაზე ავტორს სრულიადაც არ უფიქრობო, — განაგრძობს ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“. თამამი აზრია, რომ უსაბუთოც არ იყოს. ამ ერთის ფრაზით ბ-ნი „ახალმა მასწავლებელმა“ წესი აუფრადედა-ენას“ და ერთი მაგალითიც კი არ უჩვენა ენის სიმახინჯისა. კრიტიკაც ესეთი უნდა!

„ახლა დაუკვირდით საუბრების შემდეგ მოყვანილს ანდაზებსა და გამოცანებს, ადვილად მიხვდებით, რომ ავტორი არ

აქ მისდევს შინაარსს: იგი კმაყოფილდება იმით, რომ ანდაზები თუ გამოცანები იმ საგნებს ეხება, რომელზედაც სასაუბრო აქვს—ბ-ნს „ახალ მასწავლებელს ვერ შეუგნია, რომ „დედა-ენაში“ სასაუბროები მოკლედ არის მოყვანილი; ეს არის მხოლოდ ჩონჩხი, რომელსაც ცხოველის სიტყვით, ხორცი უნდა შეასხას მასწავლებელმა, რადგანაც მისი გაფართოება და განმარტება მისივე საქმეა; მასვე ევალება მოყვანილ ანდაზების განმარტება და ცხოველ საუბარში გამოყენება, ისე როგორც ბ-ნს გოგებაშვილს „დედა-ენაში“ ზოგიერთ მოთხრობების შემდეგ აქვს მოყვანილი ის ანდაზები, რომელიც შეფერება ამა თუ იმ მოთხრობის შინაარსს. აქ ბ-ნი გოგებაშვილი საქმეს ამყარებს მასწავლებლის თვითმრქმედებაზე, რომ მანაც იმუშაოს, საკუთარის მაგალითებით გააგებინოს ბავშვებს ამა თუ იმ ანდაზის აზრი. ყველაფერი რომ მზად მისცე მასწავლებელს სახელმძღვანელოში და მას არაფერზე ფიქრი და ზრუნვა არ დასჭირდეს, ეს ხომ ჩამოქვეითების გზაზე დაყენებს მასწავლებელს და არა თვით განვითარებისა და პროგრესისაზე.

II

ზოგი პედაგოგია ჩვენში, რომელსაც ანდაზების მნიშვნელობა სახელმძღვანელო წიგნში შეგნებული არა აქვს და აქი მწერლობაშიაც გაიძახოდნენ ერთ დროს რა საჭიროა ანდაზებო. ცნობილი პედაგოგი უშინსკი ამბობს: „ანდაზები იმით არის კარგი, მიუხედავად იმისა, რომ ჩიტის ნისკარტზე მოკლავა, იმაში ყოველთვის არის ისეთი რამ, რასაც ბავშვი ადვილად მიხვდება და მასთან იგი წარმოადგენს პაწია სავანებრივო ამოცანასაც, შეფარდებულს ბავშვის

ძალასთან“. ანდაზა—პაწია იგავიო—ამბობს დალი. ანდაზას კი არ თხზვენ, თვითონ ცხოვრება ჰქმნის, იგი აზრია სრულიად უნებლიედ ამოხეთქილი, იგი ხალხის გონების ყვავილია, ცხოვრების კანონია; ანდაზებში ხალხმა ის გამოთქვა, რაც მის ცხოვრებას ეხებოდა, რაც მის გონებასა და გულს ამოძრავებდა, რაც კარგსა და ცუდს შეადგენდა მის ცხოვრებაში. რაც ხალხის ცხოვრებაში არ ყოფილა, ის ანდაზებშიაც არ არის. ანდაზებში ხალხმა გამოთქვა თავისი სიბრძნე, თავისი დაკვირვება; ის სიბრძნე, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა შთამომავლობიდან შთამომავლობას ცოცხალ სიტყვაში, სიტყვიერად, უწიგნოდ, რადგან იმ დროში არც წიგნი ყოფილა და არც ბეჭდვა იცოდნენ.

ქართველ ხალხს თავისს ხანგრძლივ ცხოვრებაში აუარებელი ანდაზა და გამოცანა შეუქმნია და აფასებს მას, როგორც გამობრძმდილს და ნაცადს სიბრძნეს და არც უნდა ახალზე შესცვალოს. ყველა შეგნებული ხალხისათვის მამა-პაპა და წინაპარი სადიდებელია, ხალხი ადვილად ვერ მოშორდება იმას, რაც მას შეუგნებლად დედის-ძუძუსთან ერთად შეუისისხლობორცვია, ხალხმა ამ გამოცანა-ანდაზებში და სხვა და სხვა თქმულებაში განამტკიცა თავისი თავის დაცვის სიბრძნე. ამიტომაც ხალხურ ანდაზებს სახალხო სკოლებში დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს. ანდაზები მძიარი მასალაა მშობლიური ენის შესასწავლად. ბავშვი როცა ანდაზებსა სწავლობს ისე განიმსკვლევა დედაენის სულით, რასაც ვერ მოახერხებს ვერც ერთი გრამატიკა. როგორც სახალხო სიბრძნის გამოხატულებას, ანდაზებს ბირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს,

ამიტომ მათი ზეპირად დასწავლა უფრო სასარგებლოა, ვიდრე მენსიერების ვარჯიშობა ზღაპრებზე, ლექსებზე და იგავ-არაკებზე. ანდაზები იმიტად არის კარგი, რომ მათი დახსოვნება უფრო ადვილია. გადაიკითხეთ ილია ქავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლალი“ და დარწმუნდებით, რომ ჩვენში ქართულად წერა მხოლოდ იმას შეუძლია რიგიანად, ვისაც ეს ჩვენი ხალხური სიბრძნე საკმარისად შეუთვისებია და მით დედანის სული და გულიც კარგად შეუგნია.

ბ-ნს გოგებაშვილს კარგად ესმის ეს მნიშვნელობა ხალხურის ნაწარმოებისა და ამიტომაც „დედა ენაში“ საკმაო ადგილს უთმობს იგი პედაგოგიურად შემუშავებულს ყოველგვარ ხალხურს ნაწარმოებსაც, ლექსია იგი, ზღაპარი, არაკი თუ ანდაზა—გამოცანა.

ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ განაგრძობს: „მართალია, ბავშვს ძლიერ უყვარს ფანტასტიური ზღაპრებიც და არაკებიც, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ; რადგანაც ეს არაკები ბავშვებს ნერვებს უშლის და გონებასაც უმახინჯებს. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვის საკითხავი მასალა წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენდეს, რომელშიც ცხოვრება იხატება“-ო და სხ.

ამ სახით ბ-ნს „ახალ მასწავლებელს“ არ მოსწონს „დედა-ენა“ „ბუნების-კარში“ მოქცეული არც სამეცნიერო მასალები და არც ხალხური ნაწარმოებნი მიუხედავად მათის ღრმა პედაგოგიურის მნიშვნელობისა, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

ახლა კი ცხადია, რომ ამ მოსაზრებითვე ხელმძღვანელობდნენ „გუთინს“ შემდგენლები, რაკი მათს სახელმძღვანელოდან მართლა განდევნილია ხალხური

ზღაპრებიც და არაკებიც და ამ აზრს, როგორც სჩანს, მომხრე ჰყოლია სახელმძღვანელო წიგნების შემდგენლებშიაც; ამიტომ იძულებული ვართ ყოველის მხრით გავარკვიოთ ეს საკითხი.

მართალია ზოგი პედაგოგი ზღაპრების წინააღმდეგია, მაგრამ მათი წინააღმდეგობა იმაში კი არ გამოიხატება, რომ სრულიად დაჰმონ ზღაპრების მნიშვნელობა, პირიქით, იმათის აზრით მავენებელია მეტისმეტი გატაცება ზღაპრებით, ხშირად მიწოდება ბავშვისათვის ფრიად ფანტასტიურის ზღაპრებისა; ცხადია ჩვენს ზღაპრების მოწინააღმდეგე პედაგოგებს ცალი ყური მოუკრავთ ამ საკითხისათვის და საკმარისად კი ვერ შეუსწავლიათ მისი სიავ-კარგე. ცნობილი ფსიხოლოგი ბენი ამბობს: „იმ სიამოვნებასთან, რასაც ვღებულვით სინამდვილესთან შეხებით, ჩვენ ვექმეთ სიამოვნებას იდეალურ ქვეყნებში. მაგრამ იდეალური ქვეყანა სხვა და სხვა არის წლოვანების მიხედვით: **ფანტასტიური ზღაპრები და მოულოდნელი რამეები ახალგაზდებისთვის**—მიტონის პოეზია მოხუცთათვის“-ო. ამასთანავე იგივე ფსიხოლოგი შენიშნავს, რომ ბავშვებისთვის ზღაპრებს და არაკებს კარგი მხარეც აქვს და ცუდიც, კარგი იმ მხრით, რამდენადაც პოეზია დამასურათებელია სინამდვილისა და შეადგენს: გრძნობის აღმძვრელ ელემენტსო. ცნობილ პედაგოგს კატერენს სასარგებლოდ მიაჩნია ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც უფითარებს ბავშვებს ფანტაზიას და შეეფერება მათს წლოვანებას იმიტომ, რომ ისინი უღვიძებენ ბავშვებს გულის ზრახვას, ფიქრს, აღუძრავენ სწავლის ხალისს და აწვდიან მაგალითებსო.

საზოგადოთ ყველა ხალხის და ჩვენებური ხალხური ზღაპრები და არაკები

იმიტაც არის კარგი, რომ იქ შეხედებით სინამდვილით გამოხატულს ადამიანის ტიპებს და მხეცების სახეებით საინტერესოდ დახასიათებულს, სადაც ბავშვები მარტივს ფორმებში გაიცნობენ ადამიანთა ერთობის დამოკიდებულობას. ზღაპრებს სხვა ბევრი ღირსებაც აქვს. რუსების საუკეთესო მკვლევარი სახალხო პოეზიისა და კერძოდ ზღაპრებისა, როგორცაც არიან, მაგ., ბუსლაევი, აფანასიევი, ნ. ლავროვსკი, მიულერი, კოტლიარევისკი და სხვანი მალა აყენებენ ზღაპრებს მისი საზნეობრივო შინაარსის გამოც. კოტლიარევისკი ამბობს: „აბა გვიჩვენოთ თუნდ ერთი ზღაპარი, სადაც ადამიანის ბუნების კანონების დარღვევას, უსამართლობას ბიწიერებას, უზნეობას ამართლებდენ და თანაუგრძნობდენ: დროებით ესენი განცხრომაში არიან, მაგრამ შემდეგ კი მათ მოჰყვება დაღუპვა და საზნეობრიო კანონების გაბატონება და განმტკიცება. დამჯერებით შეგვიძლია ვსთქვათ, როგორც სიმღერები, ისე ზღაპრებიც უბრალო გასართობები არ არის, უსაქმო კაცის შოგონილი; გასართობებს მალე შეეღვევა კაცი, ხალხი იცავს ზნეობრივს არსებობას, რაც ხშირად შელახული ცხოვრების სიდუხჭირის გამო: ზღაპრებში იგი იმპაყფლებს ზნეობრივს გრძობას, აღელვებულს კაცთა უსამართლობით, იმშვიდებს გულს, იშორებს ბოლოს, რითაც აღსაესება უბრალო მუშის დამკობრებული ცხოვრებაო. ასეთს უცილობელს ღირსებას აწერს ხალხურ ზღაპრებს აფანასიევიც: „ხალხურ — ზღაპრებს ყოველთვის ზნეობრივი სიმართლის მხარე უქირავს და, ხალხის მტკიცე რწმენით, მოგება ყოველთვის გულწრფელობას, სიკეთეს და მოძმის ვულშემატკივრობას რჩება. ცხადია ეპიკურ პოეზიას ქეშმარიტ-გო-

ნიერულად მარტო სიკეთე მიაჩნია, ბოროტებას კი მისი მიმდევარი შეცდომაში შეჰყავს და დაღუპვისკენ მიაქანებს. ეს აზრი ზედ გამოჭრილია ჩვენებურს ზღაპრებზე „ვერიტი“, „მელია და მწყერჩიტა“, „ჩიტი და მელა“, რაც დასტამბულია „ღედა-ენაში“. ამ ზღაპრებს კი „მოგზაურის“ დონმა წესი აუგო და „წარმართულ ნაწარმოებად“ დასახა.

ახლა ყური დავეუგლოთ, რას ამბობს უშინსკი ზღაპრების შესახებ: „ხალხური ზღაპრებიო“ — ამბობს უშინსკი — პირველი და საუკეთესო ცდა არის ხალხური პედაგოგიისა და მგონია ვერც ვერაფერ შეედრება ამ შემთხვევაში ხალხის პედაგოგიურს გენიას. ხალხურ ზღაპრებს ბავშვები ადვილად კითხულობენ იმიტომ, რომ ყველა საბავშვო ზღაპრებში მუდმივ იმეორებენ ერთსა და იმავე სიტყვებს და მოქცევას და ამ გარემოებით, რაც აკმაყოფილებს ზღაპრის პედაგოგიურს მნიშვნელობას, ჩნდება რალაც მთელი, მწყობრი, ადვილად განსახილველი, მოძრაობით, სიცოცხლით და ინტერესით სავსე. აი იმიტომ ხალხური ზღაპრები. არა თუ საინტერესოა ბავშვებისათვის, არათუ საუკეთესო სავარჯიშოა პირველ დაწყებითის კითხვაში. როცა ხშირად მეორდება ერთი და იგივე სიტყვები და მოქცევანი, არამედ ძლიერ ჩქარა აღიბეჭდება ბავშვის ხსენებაში მთელის თვისი მხატვრულის ნაწილებით და ხალხურის გამოთქმითო.

მე ძლიერ მალა ვაყენებ ხალხურ ზღაპრებს ყველა იმ მოთხრობებთან შედარებით, რაც განგებ დაწერილია ბავშვებისათვის განათლებული ლიტერატურის მიერ. ამ მოთხრობებში განათლებული მოზრდილი კაცი ცდილობს დაუახლოვდეს ბავშვის შეგნებას, ოცნებობს

ბავშვურად და არ სწამს არც ერთი სიტყვა, რასაც სწერს, როგორც უნდა იყოს ამგვარად დაწერილი საბავშვო მოთხრობა, იგი მაინც თაღლითია: ბავშვური პრანკვაა—მოხუცის სახეზე. ხალხურ ზღაპრებში დიდებული და პოეზიით აღსავსე ბავშვი—ხალხი უაბზობს თავის შვილებს ბავშვურ საოცნებო მოთხრობებს და ნახევრად მაინც სწამს ეს ოცნებანი. შეიძლება ზოგიერთმა მისაყვედუროს ზღაპრების დასურათება, მათის აზრით ეს სურათები უფრო აცხოველებს ბავშვის წარმოდგენილებას. მაგნე სახეებითო. მაგრამ საპასუხოდ არ მივმართავ არც გრომისა და არც გერმანელ ცნობილ პედაგოგების ავტორიტეტს, რომელთა ზღაპრებში შესხვდებით დასურათებულს აესულებს, ველურებს და ალქაჯებს, ვიტყვი მხოლოდ ამგვარი ზღაპრებისაგან შიში სრულიად ჰქრება, როცა ამისთანა მასალას დღისით კლასში მასწავლებელთან სინათლეზე კითხულობენ. თუ ბავშვს ეშინია რომელსამე ბნელს კუთხეში მისვლისა, ნუ მოაშორებთ იმ კუთხეს, პირიქით მიიტანეთ იქ სანთელი, თვითონაც გვერდში მიუჯექით და ბავშვის შიშოც სამუდამოდ გაჰქრებაო.

დასასრულ უშინსკი ამბობს: თუ მე განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია ბავშვებში წარმოდგენილების, გულის ზრახვათა განვითარება, მით უფრო საზიანოდ მიმაჩნია ამ უსაჭიროესი ნიქის სრულიად უსაზრდოდ დატოვება. პედაგოგს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ჩვენი სული იღებთ საზრდოობს, სხეული—ნივთიერი საქმით, ხოლო სულის ნიქიერებანი—მოქმედებით. განდევნა სახელმძღვანელო წიგნიდან ხალხური ნაწარმოებისა უღბის ხალხური სულის გაჰქრობას, ენის შესწავლის შევიწროე-

ბას და ეროვნული ნიადაგის გამოცლას ამ სახით ვერც ერთს დედაენის სახელმძღვანელოში, რომელიც დანიშნულია სახალხო სკოლებისათვის და შედგენილია ნიქიერ პედაგოგის მიერ, ვერ იპოვით მარტო ლიტერატურულს მასალას; პირიქით, სალიტერატურო მასალის გარდა, ასეთს სახელმძღვანელოებში შედის წერილები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდანაც, უფრო კი ბუნების მეტყველებიდან, სამშობლოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. ასეთია ყველა დაწინაურებული ერების სახალხო სკოლების სახელმძღვანელოები, ასეთივეა ჩვენი პედაგოგის ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ქართული სახელმძღვანელოები და რაც შეეხება ბ-ნის „სახალი მასწავლებლის“ შენიშვნას—„უძეობესი იყო მოეთავსებინა ცნობები ხენა-თესვაზე, მელვინობაზე, შეფუტკერობაზე, არ იქნებოდა ურიგო ქრა-კერვა და საქმელების გაყვება ესწავლებიან“, ესეც შეუგნებლობის შედეგია, უგბილო შენიშვნაა. განა სახალხო სკოლას შეუძლია მიზნად დაისახოს თუნდ რაიმე სამეურნეო საგნის სპეციალურად შესწავლა? არსად სახალხო სკოლაში არ ასწავლიან და არც შეიძლება რომელიმე დარგი მეურნეობისა სპეციალურად შესწავლილი იქმნას, თუ არა კერძო სპეციალურ სასწავლებელში; ასეა ყველგან ევროპაში და რუსეთშიაც; დასაწყისი სახალხო სკოლის მიზანია ბავშვის ცხოვრებისათვის მომზადება ისე, რომ ეს სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ, წიგნების კითხვით და თვით განვითარებით შეეძლოს მოკიდოს ხელი ისეთს საქმეს, რაც მისთვის ცხოვრებაში გამოსაყენებელი იქნება. ამიტომაც დასაწყის სკოლებში ბავშვებს აწვდიან საზოგადო ცნობებს საბუნების

მეტყველო საგნებიდან, სადაც ცოტაოდენი ცნობები, რასაკვირველია, ხვნათესავაზედაც იქნება, მეღვინეობაზე და მეფუტკრეობაზედაც. ამგვარ ცნობებს ბავშვები იძენენ, როგორც საუბრების დროს, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მასალებზედაც, რასაც ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ კარგად შენიშნავდა „დედა-ენა—ბუნების კარში“, რომ მას კარგად გადაეშინჯა მთელი მასალა ამ სახელმძღვანელოებისა და არ დამყარებოდა მხოლოდ „დედა ენის“ პირველ გვერდებს.

ახლა ყურადღება მიაქციეთ იმ მდიდარს წმინდა ლიტერატურულ მასალას, ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს და სხვა და სხვა სავარჯიშოებს ენის შესასწავლად, რაც „დედა ენაში“ აქვს ბ-ნს იაკობ გოგებაშვილს და აბა ნუგაოცდებით იმ დასკვნით, რაც „ახალ მასწავლებელს“ გამოჰყავს „დედა-ენის“ განხილვის შემდეგ, თითქოს ბ-ნ გოგებაშვილს „დედა-ენაში“ უპირველესი ყურადღება მიქცეული ჰქონდეს მარტო საგნების დაგროვებასა და მათ გაცნობაზე—ეს ხომ ერთი ნაწილია დედა-ენის შესასწავლად, სხვა კი, უფრო თვალსაჩინო ბ-ნმა „ახალმა მასწავლებელმა“ მიაფუჩეზა და „დედა-ენა“ აღიარა მარტო საუბრის წიგნად. განა პედაგოგიური სიბეცე ამავდელ მეტი იქნება?

III

ახლა გადავიდეთ „ბუნების კარზე“. ბ-ნი „ახალი მასწავლებელი“ გვეუბნება, „ბუნების კარის მიზანიც ის არის, რომ შესძინოს მოწაფეს ცოდნა მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან, „ბუნების კარის“ შედგენილობას მასწავლებლები თურმე ერთგვარ გზაზე დაუყენებია, ისი-

ნი ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი ცოდნა-მისცენ მოწაფეს ზოოლოგიიდან, ბოტანიკიდან, მეტერეოლოგიიდან, ჰიგიენიდან, გეოგრაფიიდან, ისტორიიდან და ოდნავადაც არ დაფიქრდებიან, თუ რას ასწავლის(?) სამშობლო ენას, თუ სხვა რასმეო; ამგვარი შეხედულობა სამშობლო ენის სწავლებაზე თანამედროვე პედაგოგის მოთხოვნების მიხედვით შეცდომას წარმოადგენსო, ეს საგნები უნდა იმყოფებოდეს სახალხო სკოლის პროგრამაში და, თუ გნებავთ სამშობლო ენის სახელმძღვანელოში; მაგრამ მათი ადგილი მოზომილი და მოშორებული უნდა იყოს სამშობლო ენის სწავლებასო და სხ. („სკოლხიდა“ № 17).

„ბუნების კარში“ რომ მდიდარი მასალა არის, როგორც სამეცნიერო, ისე სალიტერატურო ეს ჩვენს პირობებში ღირსებას აქვდაღენს სახელმძღვანელოებისა და არა ნაკლს. ხოლო ამ მასალის გამოყენება მასწავლებლის უნარზედაც არის დამოკიდებული, მაგრამ ჩვენ მიხედვით არა გვგონია იყვეს ვინმე ისეთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლიდეს რასმე და „არ იცოდეს კი რას ასწავლის“. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა მასალა, რაც „ბუნების კარშია მოთავსებული, დედა-ენის სწავლებასთან არის დაკავშირებული; დედა-ენა შუა წერტილია, რომლის გარშემო თავმოყრილია სხვა და სხვა გვარი დარჩეული მასალა; აქ სალიტერატურო და სამეცნიერო მასალებს შორის თქვენ ხედავთ მჭიდრო კავშირს. ეს ასეც უნდა იყოს და საფუძვლად შემდეგი პედაგოგიური მოსაზრება აქვს, დამყარებული კომენიუსისა და ყველა საუკეთესო პედაგოგების აზრზე: კომენიუსი უკვირებდა ძველს სკოლას საგნების უწყესად სწავლებას, მეცნიერე-

ბა და ხელოვნება სკოლაში ისწავლება არა ენციკლოპედიურად, არამედ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რომლიდანაც მთელის შედგენა შეუძლებელიაო, ამას გარდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სწავლებას არავითარი გამოვითარებელი, გავლენა აქვს მოწაფეებზე, ნაწყვეტ-ნაწყვეტობის გამო ერთი ნაწილი მეორეს არ ეკარებოდა, მოწაფეები სუსტად იხსოვნებდნენ ნასწავლს, სუსტი ცოდნაც ადვილად ჰქვებოდა თავიდან და როცა საჭირო იყო რაიმე ახალის სწავლება, ძველი ადგილს უთმობდა ამ ახალს, ესეც; თავის რიგზე, შემდეგს ენაცვლებოდა; რადგანაც გადაცემულ ცოდნათა შორის კავშირი არ არსებობდა; იმ დროს, როცა ახალს ითვისებდნენ, ძველი უკვე ჰქვებოდა მესხიერებიდან და გამეორებისას ხელახლად უნდა შესწავლათ იგი, რომ მალე ისევე დავიწყებოდით. ამიტომაც კომენიუსი ურჩევს სახალხო სკოლებში სასწავლო საგნებთა შორის აუცილებლად მტკიცე კავშირი უნდა დარცივათო. დასაწყისი სკოლის კურსი, კომენიუსის აზრით, ერთს მთლიანს უნდა წარმოადგენდეს. «ყველაფერი ყველაფერშიო—ამბობს კომენიუსი,— არასდ არ არის გამოსაყენებელი ისე, როგორც აქ. უნდა გვახსოვდეს, რომ უმთავრესი და საზოგადო მიზანი დასაწყისი სკოლის კურსისა ბავშვის პიროვნების განვითარებაა.

სკოლაში შექმნილი ცოდნა ჯერ კიდევ მიზანს არ შეადგენს, ეს მხოლოდ საშუალებაა. ამ სახით მთელი სწავლება ამ საფეხურზე ბავშვის ცოცხალი პიროვნების გარშემო უნდა ტრიალებდეს და მთელი ძალაც მის განვითარებისკენ უნდა იქმნეს მიმართული. მართალია ეს განვითარება არ შეიძლება უმასალოდ, მაგრამ ეს გარემოება გვიჩვენებს მასალის

შემუშავების საჭიროებას. დასაწყისი სკოლაში ერთი უნდა ხელს უწყობდეს მეორეს, ერთი უნდა მოთავსებული იქმნას მეორეში, ერთი უნდა გამოძლიანარებოდეს მეორიდან. ავიღოთ მაგალითად დაკვირვებითი სწავლება, რის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი; დაკვირვებითი სწავლების დროს მოწაფე არა თუ მარტო ცოდნას იძენს, იგი ეჩვევა დაკვირვებას, შედარებას, საგნების და თვისებათა გარჩევას, წესიერს აზროვნებას, და აგრეთვე თავისუფლად მსჯელობას; ამავე დროს დაკვირვებითი სწავლება შეიცავს დასაწყისი კურსის ყველა ელემენტებს და ხელს უწყობს ყველა საგნების შეერთებულად შესწავლას. იმაზედ უარესი, სწავლისათვის უსარგებლო და ბავშვის გონების განვითარებისათვის უფრო მავნებელი არა არის რა, როცა მას აწვდიან უკავშირო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს. ასეთი სწავლების შედეგი ის არის; რომ ბავშვის თავში რაღაც ბუნდოვანად ტრიალებს, მაგრამ რა არის იგი, მას ვერ განუსაზღვრავს. ერთს ადგილას რომ თავი მოუყაროთ ფრცხარს, აგურს, რკინას, თოხის და შუშის ნამტვრევებს, ძონძებს, სხვა და სხვა იარაღების ნამტვრევებს, მაგ. კლიტის, ბორბლის, ავეჯის და სხ. ყველა ეს გროვა ერთად თავმოყრილი და ერთმანეთში არეული თვალსაჩინოდ მოგვაგონებს იმ ცოდნის სიმდიდრეს, რაც ბავშვისთვის გადაუცილათ უკავშიროთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და შემთხვევით გაუტენიათ მისი თავი სხვა და სხვა ნაწყვეტ-ცნობებით. განა შეიძლება ამ არეულობიდან გამოვიდეს მთლიანი ან ცოცხალი რამე?! რაც უნდა ეწვალოს მასწავლებელი, აქედან სასარგებლო არა გამოდგება რა. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ იგი სწავლებით ხელს უწყობს შეგნებუ-

ლის ცოცხალ პიროვნების აღზრდას, რომ დასაწყისი სწავლების დროს იგი აწვდის მოწაფეს ცოდნის ელემენტებს, ცოდნის საფუძველს, რაც შეადგენს თესლს შემდეგში ბავშვის გონებრივად განვითარებისათვის; მასწავლებელი უნდა ჰბაძავდეს კალატოზს, რომელიც ყველა მასალას არა ხმარობს შენობისათვის, პირიქით არჩევს საუკეთესო ქვას, აგურს, ხეს, ქვიშას და კირით მაგარს შეჭკრავს, შეადუღებს ერთმანეთში, რომ ააგოს მკვიდრი შენობა. სახელმძღვანელო წიგნშიაც ასეთი კავშირია საჭირო სხვა და სხვა საგნებთან შორის. საჭიროა, რომ ყველა ცოდნას ელემენტარული კურსიდან, შეერთებულად და ერთურობის გავლენით განმავითარებელი გავლენა ჰქონდეს ბავშვის მთელს არსებობაზედ. მაგრამ ამ მიზანს ვერაზადდეს ვერ მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ სხვა და სხვა ცოდნა ერთმანეთთან დაუკავშირებელია და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. შეუკავშირებელი ცნობები ტრიალებენ ბავშვის თავში, მაგრამ ვერ შეჭკმნიან ვერაფერს მთლიანს და ცოცხალს. ამ შემთხვევაში პესტალოცი ამბობს: ბავშვი სჭამს კერძს სისხლით შეზავებულს, მაგრამ ვერ ძღვება და მისი ჯანი და გონებაც სუსტდება, რადგანაც საჭმელს ვერ ინელებსა. შეხედეთ ამ თვალსაზრისით „ბუნების კარს“, მიაქციეთ ყურადღება მეცნიერების ყველა დარგს და სალიტერატურო მასალას, როგორ ერთმანეთში არიან ჩაქსოვილნი, როგორ ხელს უწყობენ ერთი მეორეს და საერთოდ კი ბავშვის აღზრდა-განვითარებას საღს პედაგოგურს ნიადაგზე; მიიღეთ მხედველობაში აგრეთვე მთელი ცალკე ქრისტომატიული განყოფილება „ბუნების კარში“ სავსე საუკეთესო სალიტერატურო ნაწარმოებით, შეადარეთ „ბუნების კარი“

თავისი შინაარსით უცხოეთისა და რუსების საუკეთესო მსგავსე სახელმძღვანელოებს, შეადარეთ თუ გნებავთ „გუთონის“ მასალას, რომელიც მართლა „შორებულა სამშობლო ენის სწავლებას“, გამოცალკეებულია, რაც „ახალ მასწავლებელს“ ასე მოსწონს და გულზე ხელდაკრევით ბრძანეთ, რომელი სახელმძღვანელო სდგას უფრო პედაგოგურს ნიადაგზე და რომელი წარმოადგენს უკავშირო კონგლომერატს, მოკლებულს ისეთის საგნების სწავლებასაც კი, რომელიც უნდა შეადგენდეს სახალხო სკოლის სულსა და გულს. ამ შემთხვევაშიაც ჯიუტობა შეუგნებლობის ნაყოფი იქნება.

თუ მასწავლებელი რიგიანია, თუ მას თვითონ უყვარს საგანი დედაენა, ამ გრძობას უნაკლულოდ გადასცემს თავის მოწაფეებსაც. ერთი სახალხო სკოლის მასწავლებელი გვყვრის: „ვისწავლი ორს განყოფილებას, დაახლოვებით 80 ყმაწვილს. ჩემს კლასში განსაკუთრებული სასურველი სული ტრიალებს; გავლენა მაქვს მთელი სასწავლებლის შეგირდებზე. ხშირად გაკვეთილების შემდეგაც სალიტერატურო კითხვებსაც ვმართავ. ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ“ და სხ. განა ამისთანა მასწავლებლის მოწაფეები სკოლაში დედაენას ვერ შეისწავლიან? ჰკითხეთ ამ მასწავლებელს, რომელიც „დედა-ენა-ბუნების კარს“ ასწავლის და პასუხად მიიღებთ, რომ ეს წიგნები „არა თუ წარმართულია“, ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოებია, რომელიც აწვდის ჩვენს სახალხო სკოლებში მოზარდ თაობას, როგორც ენის, ისე მეცნიერების სხვა და სხვა დარგის ცოდნასაც.

სახალხო სკოლას მიზნად უნდა ჰქონდეს სამშობლო ენის სუყვარულის ჩანერგვა, კლასში გამომეტყველებით კითხვის

შესწავლა, წიგნების კითხვის აუცილებელი მოთხოვნა, მოწაფის თვით განვითარების გზაზე დაყენება, მომზადება იმდენად, რომ კარგად ესმოდეს ჩვენი საუკეთესო ძველი და ახალი მწერლების ნაწარმოები, რომლის ნიმუშებსაც სახელმძღვანელო წიგნებში გაეცნობიან და კერძოდაც ბერს რასმე სხვასაც წაიკითხვენ წარჩინებულ მწერალთა ნაწარმოებიდან — კარგის მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ბ-ნის „ახალი მასწავლებლის“ სიტყვით, თურმე ნუ იტყვიო, „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ხმარებას ჩვენს სკოლებში სამწუხარო ნაყოფი მოუტანია, ორივე წიგნი გაუთავებიათ, მაგრამ სამშობლო ენა მაინც არ ცოდნიათ, „არ შეუძლიათ რამე დალაგებით გადმოგცესთ არც ზებირად და არც წერილობითო“. ნეტავი სად ნახა „ახალმა მასწავლებელმა“ ასეთი უბადრუკი სკოლა?! ან თუ სადმე არის მართლა ასეთი სკოლა, ვინ უნდა იყვეს დამნაშავე, სახელმძღვანელო წიგნები თუ ასეთი სკოლის საცოდავი მასწავლებელი?! თუ თვითონ თავის გამოცდილებით ამბობს ამას, ეტყობა მართლა ახალი მასწავლებელი ბრძანებულა, რომელსაც გამოცდილება და სწავლების უნარი ჰკლებია, ამიტომ ვურჩევთ მიზრძანდეს ერთ ერთს „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლაში, თუნდ იქვე ახლო, ძველ სენაკში, სადაც „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ასწავლიან, დაჰყოს იქ ცოტა ხანს და თავისი თვლით დაინახავს, თუ რა ცოდნა გამოაქვთ ბავშვებს მშობლიური ენისა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ მეთოდურად ხმარების წყალობით, თითქმის იქაც კი, სადაც მეგრელი ბავშვები პირველად სწავლობენ ქართულს

წერა-კითხვისა და ლაპარაკსაც. ბ-ნის „ახალი მასწავლებლის“ მოსაზრება, რომ გარდა ლიტერატურული მასალისა სხვა საგნების მასალა დედა-ენის სწავლების საგანს არ წარმოადგენსო, მეტის-მეტად ცალმხრივია. რომელი საგანიც უნდა აიღოთ, თუ კი მისი სწავლება დედა-ენით სწარმოებს, თუ მოწაფე დედა-ენაზე აზროვნობს, მსჯელობს, ლაპარაკობს და სწერს, იგი ვარჯიშობს დედა-ენაში, იძენს სხვა და სხვა სპეციალ ტერმინებს, იმდირებს ლექსიკონს, სწავლობს დედა-ენასაც, ამას მტკიცება არ უნდა, მხოლოდ უპირატესობა დედა-ენის შესწავლაში შერჩეულს სალიტერატურო მასალას ეძლევა და ესეც ძნელი არ არის სახალხო სკოლებში, თუ მასწავლებელი რიგიანია და თავისი საქმე კარგად იცის, მას შეუძლია ამ შერჩეულს მასალაზე განუვითაროს მოწაფეს ლიტერატურული გემოვნება, შეასწავლოს დედა-ენა, სახელმძღვანელოს გარდა აკითხოს სხვა წიგნებიც და ჩაუნერგოს სიყვარული სამშობლო ენისა. სკოლაში მასწავლებელი ყველაფერია, არც ერთს სახელმძღვანელოს არ შეუძლია მასწავლებლის მაგივრობა გასწიოს, იგი მხოლოდ შრომას უმსუბუქებს მას და ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების აზრიც ამაში გამზობიანება. „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, პირიქით, დიდს სამსახურს უწევს მასწავლებლებსაც. მაგრამ არა გვეონია, რაც უნდა უნაკლულო იყოს სახელმძღვანელო წიგნი, მან მაინც დიდი სამსახური გაუწიოს „ახალს მასწავლებელს“ და საზოგადოთ პედაგოგიურს საკითხებში უმეცარს, რომელსაც „პედაგოგის“ ბევრი უაზრო „შენიშვნები ძლიერ საბუთიანად მიაჩნია“. ბ-ნი „პედაგოგი“ და „ახალი მასწავლებელიც“ სცდებიან იმა-

შიაც, ვითომ ჟურნალი „განათლება“ ვისიმე წყენას ერიდებოდეს და ბ-ნს გოგებაშვილსაც „გუნდრუქს უკმევდეს“. რასკვირველია ჟურნალ „განათლებას“ რომ ისე უსაბუთოდ დაეგმო ბ-ნი გოგებაშვილის მოღვაწეობა, როგორც ეს იკადრეს ბ.ბ. სილოვანმა და „პედაგოგმა“, და მგავსთა მისთა, მაშინ ზოგიერთების თვალში ჩვენი ჟურნალი შეიქნებოდა ხობტის ღირსი, მაგრამ „განათლების“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენი ჟურნალის დანიშნულებაა, სხვათა შორის, სალი პედაგოგიური პრინციპების დაცვა, ამ პრინციპებს ვხედავთ ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებშიაც, ვიცავთ მას და შემდგომშიაც, თუ არ დაიშლიან, უფრო საბუთიანად დავიცავთ.

IV.

„გუთნის“ შემდგენელნი მაინც არა სტერებიან. მათ ორი თვის დუმილის შემდეგ „კოლხიდის“ № 29-ში დასტამბეს იძულებითი პასუხი შემდეგის სათაურით „საპასუხოთ ორთა კავშირს—ბოცვადეს და გოგებაშვილს“. ამ წერილის ერთი მესამედი მაინც ნიკო ლომაურსაც ეხება, მაგრამ სჩანს რითმა ვერ მოუწყვიათ, სილოვანიც ვერ ყოფილა აღმაფრენაში და სათაურში მარტო მე და გოგებაშვილი გავვიბურთალეს. ჩვენმა მკითხველებმა არ იციან საქმის ვითარება და იძულებული ვარ მოკლედ განვმარტო. „გუთნის“ შემდგენლები სწერდენ „სახალხო გაზეთში“ — „განათლების“ რედაქტორმა სთხოვა ერთს ფრიად ნიჭიერსა და გამოცდილს მასწავლებელს „გუთნის“ შესახებ რეცენზია დაეწერა, იგი არ დაიბეჭდა, რადგან ეს რეცენზია გო-

გებაშვილს არ მოეწონათ. იძულებული ვიყავი მცირე პასუხი გამეცა ამაზე „გუთნის“ შემდგენლებისათვის, რადგანაც ეს ამბავი სიმაართლეს მოკლებული იყო.

როცა „გუთანი“ პირველად დაიბეჭდა, მოგვივიდა სარეცენზიოდ. დიღხანს ვფიქრობდი თუ ვისთვის მეთხოვნა ამ წიგნის რეცენზიის დაწერა. „გუთნის“ ერთმა შემადგენელთაგანმა მიჩჩია ნიკო ლომაურს სთხოვეთ და იგი სრულიად ობიექტიურად გაარჩევს, მეც მივწერე წერილი ბ-ნს ლომაურს და პასუხად მაშინვე მივიღე შემდეგი: ჩემი აზრი ამ სახელმძღვანელოს შესახებ მივსწერე ბ-ნ გოგებაშვილს, გამოართვი ის წერილი და, თუ მოგეწონოს, დაბეჭდეთ. მეც გამოვართვი წერილი ბ-ნს იაკობს, მან ეს კერძო წერილიც გადმოგვცა და დაბეჭდვაც გვიჩჩია. მაგრამ რად არ დაიბეჭდა ეს წერილი? იმიტომ რომ გოგებაშვილის ცენზურას არ გაუშვია თუ სხვა მიზეზი იყო, ეს განმარტებული გვექნა ჩვენს „შენიშვნაში“ „სახალხო გაზეთში“. ამ მიზეზს „გუთნის“ შემდგენლები არ აუწყებენ „კოლხიდის“ მკითხველებს და ჩემს სიტყვას იქ სწყვეტენ, სადაც მათთვის სასარგებლოა, რომ მკითხველებს თვალი აუბან და თავი იმართლონ ჩვენ ვამბობდით, როცა ლომაურის რეცენზიის დაბეჭდვას ვაპირებდით, მოგვივიდა მისგანვე ღია ბარათი და გვთხოვდა ზოგიერთი ადგილების შესწორებას. სარეცენზიო წერილი მასვე გაუგზავნეთ და ვსთხოვეთ თავისივე ხელით შესწორებინა და ისე გამოგზავნა. ამის შემდეგ ჩვენ ის წერილი, არც შესწორებული, და არც შეუსწორებელი, უკან არ მიგვიღია და ეს იყო მიზეზი, რომ „გუთნის“ შესახებ ის რეცენზია არ დაიბეჭდა და არა გოგებაშვილის ცენზურა, რასაც ახლა უკვე

ნამდვილ ამბავად და არა არაკად ჰნათვ-
ლენ „გუთნის“ შემდგენელნი. მაგრამ
რომ კარგად ჩაუკვირდეს მკითხველი, ამ
ვითომდა „სინამდვილეშია“ ნამდვილი
სიყალბე გამოსკვივის. საქმე ის არის,
რომ ნ. ლომაულის აზრი „გუთნის“
შესახებ წინაღ იყო დაწერილი კერძო
წერილში და გამოგზავნილი ბ-ნი გოგე-
ბაშვილისათვის და არა ჩემის თხოვნის
შემდეგ; როგორც ნამდვილად მახსოვს
იმ კერძო წერილის თარიღიდან, იგი გა-
ცილებით წინ იყო დაწერილი და გამოგ-
ზავნილი ბ-ნი გოგებაშვილისათვის, ვიდ-
რე მე მივწერდი ბ-ნს ლომაუსს. ამას
თვითონ ლომაუსის წერილიდანაც დაი-
ნახავდა მკითხველი და ცხადია ის გარე-
მოება, თუ რატომ მიიღო ის წერილი
წინაღ გოგებაშვილმა და არა „განათლე-
ბის“ რედაქციამ.

მე ვწერდი იმ პატარა შენიშვნაში:
„გვიწოდდა „გუთნის“ შესახებ მცოდნე
პირებს უტყუარი და ჭეშმარიტი აზრი
გამოეთქვათ, ერთი სიტყვით—საბუთიანად
გაერჩიათ „გუთანი“ და არა ისე, რო-
გორც ზოგიერთი რეცენზენტები სწერდენ
ამ წიგნის შესახებ მეთქი. ამ შენიშვნაზე
„გუთნის“ შემდგენლები გვიპასუხებენ:
თურმე ნუ იტყვით ვინც აქამდე „გუთ-
ნის“ შესახებ რამე სთქვა, ეს ყველაფერი
უშეცარათა და უცოდინართა გონების ნა-
ყოფია, და რაც დაწერილა, ისიც სიც-
რუე და ჭეშმარიტ აზრს მოკლებული
ყოფილა. როგორც მკითხველი ხედავს,
უტყუარისა და ჭეშმარიტი აზრის გამოთ-
ქმა მხოლოდ „განათლების“ რედაქციის
და მისგან დავალეხულს პირს შეძლებიათ.
გესმით ბ-ნო ბოცვაძე, რასა სწერთ“?!
(„კოლხიდა“ № 29).

დიად, ბატონებო, ძალიან კარგად
მესმის რასაც ვსწერ. მაგრამ გეკითხებით

თქვენ კი მოგწონდათ განა. ის, რასაც
ზოგიერთები სწერდენ „გუთნის“ შესა-
ხაბ?! მგონია არა. თქვენ მოიწონეთ
მხოლოდ ერთი ვეებერთელა წერილი,
ალ. მირიანაშვილისა, რომელიც ქებით
გისხენიებადთ, სხვებს კი პასუხს აძლევ-
დით, არ მოგწონდათ. რა გასაკვირველია
რომ ზოგიერთების აზრი არც ჩვენ მოგე-
წონდეს. როგორც მოგახსენეთ ჩემგან
დავალეხული პირი თქვენივე არჩეული
იყო, მაგრამ თუ ბოლოს გიღალატათ,
ეს რა ჩვენი ბრალია! „რალა მაინც და
მაინც „განათლების“ რედაქტორს მაშინ
დასჭირდა „ბუნების კარის“ რეცენზიის
დაბეჭდვა, როცა „გუთნის“ რეცენზიის
დაბეჭდვა მოუნდა—ეს ჩვენთვის და მკით-
ხველისთვისაც გაუგებარი რჩება“! სწე-
რენ „გუთნის“ შემდგენლები. არა მგო-
ნია აქ იყოს რაიმე გაუგებრობა. როგორც
„გუთნის“, ისე „ბუნების კარსაც“ ერ-
თი და იგივე დანიშნულება აქვს, ორი-
ვეს ხმარება განზრახულია ავტორთაგან
„დედა-ენის“ შემდეგ. შედარებზე ერთი
საუკეთესო საშუალებაა აზრის გამოსარ-
კვევად და ვისმე რომ ეს ორი სახელ-
მძღვანელო ერთმანეთთან შედარებით
გაერჩია, ან ერთსა და იმავე დროს,
განა ეს გაუგებრობა იქნებოდა?! ან
საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი
მათგანი იქნებოდა ღირსი სახელმძღვანე-
ლისა და რომელი არაგორც დამხმარე
იარაღი სწავლების დროს; უკეთ არ გა-
მოირკვევოდა? ორივე სახელმძღვანელო
ხმარებას ერთსა და იმავე დროს, მგონია,
არც „გუთნის“ შემდგენლები ურჩევდნენ
არავის. მაშასადამე ერთს მათგანს ან
„ბუნების კარს“ და ან „გუთნის“ უნდა
დაეჭირა სახელმძღვანელოს ადგილი, მეო-
რე კი შეიძლებოდა მასწავლებლისათვის

ხელსაწყოდ მიღებული ყოფილიყო. აქ გაუგებრობას ადგილი არა აქვს. ეს ცხადია უნდა ესმოდეს ყველას, ვისაც ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხი აინტერესებს. მაგრამ „გუთნის“ შემდგენლებს ის აწუხებს—ორმოცი წელიწადია „ბუნების კარი“ არსებობს და ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში, არავის ამის შესახებ რეცენზია არ დაუწერიაო. „ახალმა მასწავლებელმა“ რომ სთქვას ეს, კიდევ ეპატიება, ჯერ ახალია, ვაიზდება, შეისწავლის ჩვენი პედაგოგის ისტორიას და შეიძლება აზრიც შეიცვალოს, მაგრამ თქვენ კი ბ.ბ. „გუთნის“ შემდგენელნო რომ არ იცოდეთ რა კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებიათ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, არ გეპატიებათ. მოიგონეთ განსვენებული გ. უთურგაურო (კურდღელაშვილის ფსევდონიმით) ბ-ნი მ. ნასიძე, რომელმაც ერთ დროს ქართული ქრესტომატიაც შეკადრინა და „ბუნების კარს“ იმავე უკიყინებდა, რომ „ქართულ ენას“ სრიაქლემის კითხვით სწავლობენო და სხვანი მრავალნი და დარწმუნდებით, რომ „ბუნების კარიც“ არა ერთხელ გაუჩრევიათ ჩვენს კრიტიკოსებს, რამაც, დარწმუნებული ვარ, ხელი შეუწყო „ბუნების კარის“ თან და თან განვითარებას და დღეს არც ეს სახელმძღვანელოა ისე დაძველებული, როგორც ბ-ნს „პედაგოგს“ ჰკონია.

„გუთნის“ ავტორებს ძლიერ უყვართ ყურმოკრულ ამბების გამომზევება და მოწინააღმდეგის მხილება. ჩვენც ამ საშუალებას მივმართავთ ამ ჟამად ერთს საქმეში. რედაქციაში კარგა ხანია ერთი წერილი გვაქვს „გუთნის“ ავტორების შესახებ. არ დაგვიბეჭდია და არც დაგებეჭდავთ იმის გამო, რომ „გუთნის“ შემადგენელნი, რომელთაც ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით, უხერხული და შეუსაბამო კილოთი არიან ნახსენები. მაგრამ იმავე წერილში ერთი ადგილია, რომელიც საზოგადო საქმეს ეხება: წერილის ავტორი გვარწმუნებს, რომ „გუთნის“ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობენ ოთხის წლის განმავლობაში: მესამე და მეოთხე მოსამზადებელში, I და II პროგინაზიულს კლასებშიო. ეს ჩვენ ნამდვილ არაკად მიგვაჩნდა, რადგანაც თვითონ ავტორებს ეს წიგნი დანიშნული აქვთ მესამე და მეოთხე მოსამზადებელ კლასებისათვის, ხოლო ორი წლის კურსი როგორ გაფართოვდა და გადიქა ოთხის წლის კურსად და ისიც იქ, სადაც ქართულ ენას საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს გაკვეთილების რიცხვითაც, ეს კი გაუგებარია და ნამდვილი არაკიც უნდა იყოს! მაგრამ ვაი თუ არაკიც არ გამოდგეს!!

ლ. ბოცვაძე.

ვილიამ ჯემსი

საუბარი ფსიხოლოგიაზე*)

XI. ურადლება*)

როდესაც ინტერესზე ვლახარაკობთ, აუცილებლად ვსაუბრობთ ურადლებაზედაც, ვინაიდან თქმა იმისა, რომ ეს და ეს საგანი საინტერესოა, ნიშნავს, რომ იგი საუურადლებოცაა. მაგრამ ისეთ ურადლებას გარდა, რომელიც აღიძვრის თავის თავად საინტერესო საგნის მიერ, არის ურადლება უფრო შეტნებული, განზრახ გამოწვეული, თუ გნებავთ ძალდატანებული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია შევჩეროთ ნაკლებ საინტერესო, ან სრულიად ინტერესს მოკლებულ საგნებზედაც კი. ფსიხოლოგიურ იხსულებებში ვგვამთ შეხედებით განსხვავებას ზისიურ და აქტიურ ურადლებათა შორის. — აქ ჩვენ ამის გამო ვიტყვი, რომ რამდენადაც ხშირად ვსარგებლობთ ზისიური ურადლებით და ამისთვის ვცდილობთ საინტერესო ფორმა მივსცეთ უოველ საგანს, და რამდენადაც ნაკლებად მოგვიხდება ისეთი ურადლების გამოწვევა, რომელიც ძალდატანებას თხოულობს, — იმდენათვე ჩინებულია და საამოთ ჩაივლის ტაკვეთილიც. — უოველ შემთხვევაში, შეტნებული ურადლების შესახებ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

ხშირად გაიგონებთ, რომ ტენიალობის ნიშანია ურადლებითი ძალის დიდხანს და ძალუმაღ ერთ საგანზე შეჩერება; ტენიოსები შესანიშნავნი არიან იმ ნების სიმტკიცით, რომ

მელსაც ამ მხრივ იჩენენ. — თვით დაკვირვება კი უოველს დაგვანახებს, რომ ნებაყოფლობითი ურადლება მხოლოდ ნახტომებით იჩენს თავს.

როდესაც ჩვენ არა საინტერესო საგანზე ვმუშაობთ და ჩვენი გონება ხან აქეთ, ხან იქით გადაიხრება მისგან, ჩვენთვის საჭირო ხდება ძალდატანებითი აქტივის საშუალებით მივაჭერთ მასზე ჩვენი ურადლება. ეს ძალდატანება წუთიერად გამოცოცხლებს საგანს და ჩვენი გონებაც რამდენიმე წუთის განმავლობაში ტელმოდგინეთ მუშაობს ზედ, სანამ რომელიმე სახლი აზრი არ გაგვირბენს თავში და ჩვენს ურადლებასაც თავისკენ არ მიიზნავს. აქ საჭიროა გავიყოფოთ ნების სიმტკიცე და ისევე დავუბრუნდეთ საჭირო საგანს.

— ერთი სიტყვით, ნებაყოფლობით ურადლება წუთის საქმეა. მთელი ეს პროცესი ბოლოს და ბოლოს ერთდება ერთ აქტივ და თუ ამ აქტის შემდეგაც საგანი გერ დავიჭირეთ, მაშინ იმასე მუშაობაც ამაო ხდება. — ძლიერი ურადლება, რომელსაც ტენიოსები მოიკლდნენ სათაობით იჩენენ ამა თუ იმ საგნისადმი, უმეტეს ნაწილად ზისიური ურადლებას სეთი ადამიანების გონება ურინჯვი და ორტინალური ასოციაციებითაა სასე. რაკი ერთხელ რომელიმე საგანმა მიიჭერო მათი უურადლება, შემდეგ ამ საგანს თვით მიჭვავისინი სხვა და სხვა საინტერესო შედეგამდის და დასკვნამდის. უურადლება, რომელსაც თანახდაგს დიდი ინტერესი, ერთ დასკვნის შემტრეზე გადადის და არასოდეს არ გადაიხრება განსე.

*) ზოგნი ამ სიტყვის მაგივრად ხმარობენ „გულის-ყური“-ო. — ჩვენ ვთქვამთ, რომ გულის-ყური უფრო ფართო შემეცნებაა, ვიდრე ურადლება. — ხალხში უგულის-ყურის მტყვიან ყოველივე ნივთ მოკლებულ ადამიანს.

შუათანა ნიჭის ჰატრონის გონებაში სავანო უფრო ცოტა ასოციაციებს აღარავს და ჩქარად ჰგარკავს ინტერესს. ამიტომ ასეთ ადამიანს მართებს ხშირად ძალა დაატანოს თავს და ამ რიგათ მიხედვით უურადლება სავირო სავანს. ამ რიგად, შუათანა ნიჭის ჰატრონებს ცხოვრებაში ხშირად ეძლევათ შექმნილი განივითარონ ნებაყოფლობითი უურადლება. ა. დეთ, მაგ., ჩვეულებრივი „საქმის გაცი“; რომელსაც ასე მადლიდან დასტურების ლიტერატურები და სხვანი: მას ისე ხშირად უხდება არა საინტერესო „საქმეები“ ხელის რეკა, რომ ეს ნიჭი მასში განუწყვეტლათ ვითარდება. პირიქით, ტენიონებში უფრო იშვიათად შეხედებით ამ ნიჭს; რაც თავის თავად მათთვის საინტერესო და მიზნიდან გამომდინარე, ხშირად ზედად არ შეხედვენ! ისინი ხშირად არღვევენ პირობებს, არ გიშვსებენ შევითხვან, არ სარულებენ რაიმე ფაქტობრივებს და ეს სწორეთ იმიტომ, რომ მათი უურადლება მიხედობილია ამ საგნებს, რომლებზედაც განუწყვეტლათ მუშაობს მათი გონება.

ადურთოფანებს, დანჯარულს მის (სამძობლოს) აწმყოში უნუგეშო და სატირად მდგომარეობით. „მართალია“ — ამბობს ილია ჭავჭავაძე ვახტ. ორბელიანის შესახებ — გრ. ორბელიანმა ვახტ. ორბელიანზე ადრე მიგვახელა წარსულს და ამით ხსალი საგანი გაუჩინა ჩვენს ზოგის, მაგრამ მაკ გზაზედ ისე გადუხვევლად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს ზოგის არ უფლია, როგორც ვახტ. ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი ზოგითი ქალღონე სულ ამ საგანს ამხსურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიუფარულის მადლით მოსილს ზოგის, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიუფარულის მამულისშვილური სიუფარულია. და პირველი კაზრდილია შეორეს ძუძუთი. იგი წარსული უუფარს, როგორც ფუძი ჩვენის მომავლისთვის: „დიდს წარსულს დიდი მომავალიც ექმნება“ — ამბობს ზოგის. ვახტ. ორბელიანი თავისს ლექსებში შეეხო საქართველოს წარსულს დიდებულს და უფრო საყურადღებო საკითხებს, რომლებთანაც შეერთებულა ამ ქვეყნის ბედის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა, მისი ცხოვრების ავი და კარგი, ასეთი თუ ისეთი მიმართულება.

გ. წმ. ნინო და ქრისტიანობის მიღება ქართველთა მიერ, იანერის 14-ს. ამ ლექსში ის ჭაზრია გამახატული, რომ თვით განგებამ მოუფლანა შეგნიერ საქართველოს წმ. ნინო, რომ მას ემტნო ქართველთათვის მის დიდი მცნება... თვით დგათაჲ ამბობს, რომ საქართველოში

„განათლდეს სწავლით, გონებითა და გულითერი, და მოელოდეს მომავალი მას ბედნიერი... ჩემი მცნებისთვის ჯერ იტანჯვის, და იქნენება არც დღე, არც ღამე განსვენება მას არ ექნება, მაგრამ დიდებით გამოვა ის დიდის ბრძოლითა, სისხლში შესვრილის მხარ-გულ-მკერდით და ძონძებითა!“

ზოგის ამბობს „აღსრულდა ესე, მოცხსნა მას ეკლის გვირგვინი“.

ჯვარი ვახისა. ამ ლექსში ზოგის უფრო ვრცლად და გარკვევით აქვს გამოთქმული თავისი ჭაზრი წმ. ნინოს მოღვაწეობის მნიშვნელობის შესახებ.

წმ. ნინო შევის ზღვით მოდის საქართველოს დასავლეთს ნაწილში (კოლხიდაში). ზოგის აღწერს წმ. ნინოს სიტუაციას და სიმშვენიერეს, მისს არჩევულებრავს პირთვნობას. ზოგის სიტუაციით წმ. ნინო.

„არ კეთუნის არც აწმყოსა, არც დროს წაზრსულსა...
კეთუნის მხოლოდ მომავალსა წმიდა ასული,
მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული...“

მიღის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვახისა, არ ეშინია სიმშობისა, არც უგზო გზისა...

არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის: დედა-წმინდისა წილხომილსა ქვეყანას მიღის.

წმ. ნინომ თავისი სმაკალით ცხოვრების და საუცხოვო ტბილი მოძღვრების შემწობით ქრისტეს სჯულზე მოაქცია ქართველი ერი... ქრისტეს სწავლამ ქართველთა ცხოვრებაში მოახდინა ძირითადი ცვლილებანი. მთ შეითვისეს ძმობის, ერთობის, სიუფარულის და შეგნიერების დიდი მცნება... მოისპო აღმინათა მსხვერპლად შეწირვა, რასაც, როგორც ვიცით, ადგილი ჭჭონდა უუძგელეს დროში... კაძლიერდა მშენებლობითი ხელოვნება:

„დიდთა შენობათ მთლად მოიცვეს მთანი და ბარნი, აშენდენ, აღსღვენ დიდებულად წმიდა ტაძარნი ქრისტიანობის სსმუღებით ქართველები მჭიდროდ და უკავშირდენ საერძეთის განათლებულს ერს და მისს კულტურას... საბერძნეთის განათლება გაგრძელდა საქართველოში:

„ელონთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი შთამოღვარა, და განათლდა გონება ბნელი“
ახალმა შინაჩრმმა მოითხოვა ახალი ფორ-

მები და სიტყვები... სადმართ წერილის
 გადმოთარგმნა ქართულს ენაზე უსაჭიროებს
 შთაფლენად გასდა... გადმოთარგმნა ქართულს
 ენაზე არა თუ მარტო სადმართ წერილს,
 არამედ მსოფლიო ეგლეკისის წმ. მამების თს-
 ზეუღესანი... გაძლიერდა როგორც სასულიერო,
 ისე საერო მწერლობა. ბერძენთა ფილო-
 სოფოსთა ნაწერები გადმოთარგმნეს სამაგა-
 ლითო ენით ქართულად ექვთიმე მთაწმინდელ-
 მს, გიორგი მთაწმინდელმს, ეფრემ მცირემ,
 არსენი იუალითელმს, ფილოსოფოსებმს იაანე
 ჰეტრიწონელმს და იოანე ტაიჭის ძემ და სხვა-
 თა... გააძლიერეს ქართული ლიტერატურა,
 რამდნ ხელი შეუწყო ქართული ენის გაძლიერ-
 ება-გამშენიერებას, მისს შემუშავება-გაძლიერ-
ებას... ბევრი მათი ნაშრომი, როგორც ნა-
 თარგმნი, ისე დედნური ხასიათისა, დღესაც
 ბლომად მოიპოება ქართულ ხელნაწერთა შო-
 რის. სწორედ ეს გარემოება აქვს სახეში ვას-
 ტანგ აზრბუღიასს, როდესაც ამბობს:

„დაშენდა, დატება, შემუშავდა ენა ივერთა,
 დღესაც კი გვატებობს მათ დროთ ენა ამერ-ივერ-
 თა...“

ბოლოს ჰოკტი თათკო სსსრწარვეთილი
 ამბობს, რომ ძველ შენობათა „დიდნი ნან-
 გრენი ხვენ ივადწინ შირქვე ტიელად ჰქრია-
 ნო“ და მხოლოდ უცხო ქვეყნიდან მოსული
 მგზავრი დადისო მათ შუა და ხვეწს ისტო-
 რიას მათში ეძიებსო. ჰოკტს მხოლოდ ის
 ანუგეშებს, რომ ქართველებს ძველი დროიდ-
 გან ერთი დიდა საუსჯე დარჩათ: ეს საუნ-
 ვეა—ჯვარი ვაზისა, რომლის სახელი წმ.
 ნინოს სახელთან არის შეერთებული... ეს
 ქართული კულტურის ძლევა-მოსილი ნიშ-
 ნია... და ქართველთა საუკეთესო მემკვიდრე
 წინდა...

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

აღიშოლოგიური შინაგა და წარმოება ქართული სიტყვებისა

(წერილი შირველი)

რო იქნებოდა ქიმიის მცენიერება, რომ
 არ გამოკვლევულიყო მარტივები (ქსენონი)
 რომელთაგანაც შემდგარი გამოდგა ყო-
 ველი რთული ნივთიერება მთლად სამყა-
 როისა. უბრალო წყალი გაჰხრწნა ანუ
 განაწილა მცენიერებამ და დარწმუნდა,
 რომ წყალის შემადგენლები არიან „ჰაერ-
 გვარი“ (გაზი) მარტივები—**ოქსიგენი** და
ჰიდროგენი; და შემდეგ, როდესაც უკა-
 ნასკნელები—სწორედ ჰიდროგენი და
 ოქსიგენი—თავისუფლად შეჰყარა და კვ-
 ლავ შეაუღლა, ამა თუ იმა ბუნებრივ

ძალითა, ისევ წყალივე მიიღო—ეს მათ
 თაგან შეურთიერთებულ ანუ რთულ
 ნივთიერება. მას აქვთ სამცენიერო სი-
 მართლეა ის ყველასათვის დღეს უბრალო
 ცნება, რომ წყალიდან ამოშლება მხო-
 ლოდ ჰიდროგენი და ოქსიგენი; და უკ-
 ნასკნელი ორი მარტივი ნივთიერება შე-
 ერთებით შეადგენენ სწორედ წყალსავე
 აგრედვე გამოკვლევულ იქმნა სხვა ნივ-
 თიერი მარტივებიცა, მათი თვისებანი, ძე-
 ლა და ნივთიერი უღელი.

ესევე მეთოდი, მთლად სწავლით რე-

ლისტმა, მოვაჰხმარე ბუნება-დიდებულს ქართულ ენასაცა. და ამაზედ ლატაკად მიბასუხეს — „ფილოლოგიას სხვა მეთოდი სჭირიაო“.

I. ქართული საგნაბატეკო მარტივები ანუ ელემენტები.

1. მანძილადი მარტივები: ა-ი-ე. ა., საცე ხმა, რომელიც იწერება ქართულ ასო „ა“-ნითა არის გრამატიკულად სიტყვის ნაწილი და მარტივი ნაცვალ-სახელი. ეს მარტივი გვიჩვენებს საგნის სიახლოვესა, სიტყვიერებაში—ბრუნებაში თუ უღვლილებაში და ცალკედაც ამ მნიშვნელობით ემსახურება იგი გონების გამოთქმასა, და ამიტომ ვუწოდებთ მას **ახლო მანძილადი ნაცვალსახელი** *) ა კაცი ასე გირჩევს და შენ შენი იცოდე; ა, შე კაცო, რასაც ეძებდი; აქ, ამ, აწერ, აჩენ; თამარ-ა, ვაჟ-ა, ქალ-ა, მ-ა.

ბ., საცე ხმა, რომელიც იწერება ასო „ბ“-ით, როგორც სიტყვის ნაწილი არის მარტივი შორ მანძილად მარტივებელი ნაცვალსახელი, და ამდარად ემსახურება იგი სიტყვიერებას სიტყვებში, ცალკედ, კანკლედობაში თუ უღვლილებაში.

ი კაცი გიცდის იქ; ი ობლების საქმე გადაგავიწყდათ?—ი სამართალი სად ეძებო კაცმა ჩვენს მტრებში? ამ გაოხრებულს წუთისოფელში ი სინიდიის აღარას გეუბნებოდა, ი ბოროტებას რო შენც აღარ იშლიდი ი-ქ, ი-მ, მ-ი; ი-წერ; ი-ჩენ; თამარ-ი, კაც-ი, ვაჟ-ი, ქალ-ი.

მარტივი „ი“-ნი გვიჩვენებს საგანს თუ ყოფა-მოქმედებას მანძილ-შორიად, სიტ-

ყვებში—მის კანკლედობაში თუ უღვლიებაში და არა ჰკარგავს შორიადობის ხასიათსა, როგორც ა-ნი სიახლოვისას.

გ., ორი შორდა ახლო მანძილად მარტივებელი მარტივი ნაცვალსახელი ა-ნი და ი-ნი შეერთებით ანუ შეუღლებით, ქიმიურ წყალისა არ იყოს, ჰქმნიან პირველ რთულს სიტყვას, მაჩვენებელს ნაცვალ სახელსავე, რომლის მანძილგარეშედ ჩვენებას ანუ მანძილ განუსაზღვრელობას გამოჰხატავს მესამე მარტივი ე-ნი, მაჩვენებელი განკენებულობისა ანუ აბსტრაქციუბისა *).

დ., საცე ხმა, რომელიც იწერება ქართულ ასო „ე“-ნით, არის მარტივი ნაცვალსახელი მაჩვენებელი საგნისა მანძილ განუსაზღვრელად. ამ განუსაზღვრელობას ემსახურება იგი სიტყვებში, კანკლედობაში თუ საზოგადოდ სიტყვის წარმოებაში**). არც ახლოდ, არც შორად, არა-

*) ა+ი=მ ფრანსიულში a+i=ai=é, გამოთქმის მ“-დ

**) თ. ვორდანიას ფორმულებში უნდა ვახედოდავდეთ მარტივ მ-ნის აბსტრაქციუბასა:

1. შე-ჯ-ე:

მე-ურმ-ე, მე-ველ-ე, მე-ქოთნ-ე, მე-ჯინიბ-ე, მე-ღუქნ-ე, მე-ჯვარ-ე, მე-ჯორ-ე, მე-ოჯახ-ე, მე-ღუქს-ე;

2. მ-ჯ-ე:

მო-წამ-ე, მო-წაფ-ე, მო-კამათ-ე, მო-ყვარ-ე, მო-ნუგეშ-ე, მო-იმიედ-ე, მო-სამართლ-ე, მო-ხელ-ე.

3. ს-ჯ-ე:

სა-ყურ-ე, სა-ვარმ-ე, სა-ღვინ-ე, სა-ვან-ე, სა-კაც-ე, სა-კეც-ე, სა-ფრთხ-ე.

4. სი-ჯ-ე:

სი-ლამაზ-ე, სი-უბე-ე, სი-პილწ-ე, სი-მართლ-ე, სი-მალღ-ე, სი-მინ-ე, სი-დამღ-ე, სი-მდაბლ-ე.

*) აფხაზურს ენაში ეს „ა“-ნი არის წვერი Particle), მაჩვენებელი არსებობის სახელისა: ალაშარა, აბზარაზან. მ. ყ.

მედ უმანძილოდ, განუსაზღვრელად, აბსტრაქციად.

ე., უკრადლები თუ გაფრთხილების ნიშნად ჩვენს ენას იმთავით დაჰყოლია (ნახე შემდეგ), ეტიმოლოგიაში და აქვს ბგერა, რომელიც იწერება ასო „ა“-ნით; მასთან შეერთებით მარტივები ა-ნი და ი-ნი ჰქმნიან ახლოდ, შორად და უმანძილოდ საუკრადლებო აღნიშვნასა, — ს-ა, ს-ი, ს-ე, ან ა-ს, ე-ს; როგორც ა-მ, ი-მ, ე-მ ან მ-ა, მ-ი, მ-ე—მანძილად პირველებასა ან ა-ქ, ი-ქ, ე-ქ—მანძილად ალაგობრივობასა.

ვ., კვალად მაგალითები მანძილად მარტივების განსარჩევად. ა-ი-ე: ა-ქ, ი-ქ, ე-ქ: ა-ი-ე-ქ; ა-ს: ი-ს, ე-ს: ა-ი-ე-ქ; ა-მ, ი-მ, ე-მ: ა-ი-ე-მ; მ-ა, მ-ი, მ-ე: მ-ა-ი-ე; ა-გ, ი-გ, ე-გ: ა-ი-ე-გ ან ასე: ა-ი-ე-ქ ა-ი-ე; ა-ი-ე-მ-ა-ი-ე. ა-ქ-ი-ნა, ი-ქ-ა-ნ, ა-ქ-ა-ნა, ი-ქ-ი-ნა, ა-ქ-ა ი-ქ-ი: „მიდით და ა-ქ-ა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“. (ვეფ. ტყ. გ 1899 წ. გ. 14, ქველ. 5 სტრ.). ა-ქ-ეთ, ა-ქთ, ი-ქთ, ე-ქთ, ა-ქათი, ი-ქათი, ე-ქათა; ა-გი, ი-გი, ე-გ-ე; ა-გი, (რი, რეთი რელი, რული); ა-მათი, ი-მათი და სხვა და სხვა. ა-კაცი ი-კაცი, ე-კაცი ან ა-ი-ე-კაცი.

ზ. ამ მკირეოდენ მაგალითებიდანაც ცხადად სჩანს ეტიმოლოგიური უღელი ახლო მანძილადი „ა“-ისა, შორმანძილადი „ი“-ნისა და უმანძილოდ მაჩვენებელ მარტივ ნაცვალსახელის „ე“-ნისა. როგორც ვსთქვი, ა-ნის და ი-ნის შეუღლებით წარმომდგარი „შორი-ახლოდ“ ანუ უმანძილოდ მაჩვენებელი პირველ-როთული ნაცვალი — „აი“, რომლის ჰკრთალ და შეკუმშულ გამოთქმით თითქოს შეძენილა განყენებითი ე-ნი და აქედან არის პირველი ჩემი ფორმულა ა-ი-ე: ა-ი-ე-კემ-ა, ა-ი-ე-წერ-ა, ა-ი-ე-ღინ-ა.

თ., ასეთ თითოეულ და თვინიერ ეტიმოლოგიურ ვალდებას ეს მარტივი ნაცვალ-სახელები, ა-ნი, ი-ნი და ე-ნი, არ ჰკარგავენ სიტყვიერებაში არამედ მას აფერადოვნებენ აზრით, კალოთი და სინონიმობით. ყოველ სიტყვას, რომლის გარემოებას თავისებურად სცვლიან, აწარმოებენ წრფელობით ბრუნვის სახიერებაშივე, გვიჩვენებენ არსების თუ ყოფილობის მოქმედების მეტნაკლებ თვინიერებასა.

ი., ეს საგრამაქო შეხედულება ჩვენის ენის ბუნებრივ თვინიერებაზედ, დღემდინ სრულიად უუკრადლებოდ შეთენილი ჰსაქიროებს ჩაკვირვებასა, თუმცა თავის ბუნებრივობით და ცოცხალ ქართულ ენის თანადობით ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო ჩვენთვის*).

კ., კვალად მაგალითები. ა-მერეთ-ი ი-მერეთ-ი; ა-ქედან, ი-ქედან; ა-მმან-ი-მმან; ა-ქედან ი-სმის სიტყვები, ი-ქიდან კი არა ი-მისრა; ა კაცი მოდის ღ ი კაცი კი ჯერ არც თუ სადმე მოსჩანს; ა ვახვადავთ ჩვენს ავ-კარგაინობას, ხოლო იქ როგორ რა იქნება, არ ვიცით; ა სოფლისა ვერა გამოვიდა რა და ი მ სოფელზედ შეჩიჩინება; ა-გი კაცი ჩემი ნაცნობი არის, ხოლო ი-გი კი არც თუ როდისმე მინახავს; ა-მმან გამარჯობაო, ხოლო ი-მმან არც კი შემომხხვდა; ა-სე ახლო თუ იქნება, ყველა დავინახავთ და ი-ს

*) სიტყვიერების მარტივები ისე შერთულარა ენაში, როგორც ქიმიური მარტივები რთულ ნავთიერებაში. ქიმიკოსი კარგად არჩევს, რა წყალის თვისებანი შეხავებულ არიან ჰიდროგენ და ოქსიგენის თვისებათაგან. ასეთივეა ჩვენი ენის მარტივების მოქმედებაცა ქართულ სიტყვიერებაში. ბურებრივ კანონს აღამიან რა შეიფარებენ სშირბა ასე ჰგონია—მე თითონ ვიცოდიო.

შორს კი — ვერაფერს გავპრჩევთ; ჯერ კი ი-ს ადამიანი ვაიჰსტუმრე და მერე ა-მას მოველაპარაკოთ; ე-ჯვარი დაიპწეროს და მერე ი-მის შეძლებას მოუაროს ეს არის, ა-მას ჩავჭირჩინებთ, ე ქალზე ლაპარაკი რომ ჩამოვარდება; ე-წერა, ე-ნაღვლა, ე-ბატიება; ე-ს, ე-ს-ე, ე-გ, ე-გ-ე, ა-ი-ე-წერ-ა, ა-ი-ე-წამ-ა, ა-ი-ე-ლინ-ა და სხვა.

ლ., ესაქვათ, რომ მართალია ჩვენს ფორმულა ა+ი=ე, მაშინ ასეთი ცოცხალი ფორმულები გიმოგვევცხადებიან:

ა-ი-ე-მ, მ-ა-ი-ე: ა-ი-ე: ა-ი-ე-მ-ა-ი-ე; ა-ი-ე-გ; გ-ა-ი-ე: ა-ი-ე-გ-ა-ი-ე; მ-ა-გინა, მ-ი-გინ-ა, მ-ე-გინ-ა: მ-ა-ი-ე-გინ-ა; მ-ა-წერ-ა, მ-ი-წერ-ა, მ-ე-წერ-ა: მ-ა-ი-ე-წერ-ა; ე-ა-წერ-ე, ე-ი-წერ-ე, ე-ე-წერ-ე: ე-ა-ი-ე-წერ-ე; გ-ა-წერ-ა, გ-ი-წერ-ა, გ-ე-წერ-ა: გ-ა-ი-ე-წერ-ა; ა-უ-ბნო, ი-უ-ბნო, ე-უ-ბნო: ა-ი-ე-უ-ბნო, ა-გ-ა-ტირ-ე, ა-გ-ი-ტირ-ე, ა-გ-ე-ტირ-ე: ა-გ-ა-ი-ე-ტირ-ე და სხვა. (ნახე ამადარობა — „ბუნ. ქ. ე. შენობ.“ 1910 წ. გვერ. 17—19).

მ., მაგალითი ქართულ სიტყვების წარმოებისა და მარტივი მანძილადი ნაცვალსახელები ამ წარმოებაში.

- | | | | | | |
|-----------|--------|--------------|---------------|--------------|--------------|
| 1. ა-ქ, | ი-ქ; | ა-ქ-ა, | ი-ქ-ა; | ა-ქ-ი, | ი-ქ-ი; |
| 2. — , | — ; | ა-ქ-ა-ს(ი); | ი-ქ-ა-ს(ი); | ა-ქ-ი-ს(ი) | ი-ქ-ი-ს(ი); |
| 3. — , | — ; | ა-ქ-ა-ს(ა); | ი-ქ-ა-ს(ა); | ა-ქ-ი-ს(ა) | ი-ქ-ი-ს(ი); |
| 4. — , | — ; | ა-ქ-ა-მან; | ი-ქ-ა-მან; | ა-ქ-ი-მან; | ი-ქ-ი-მან; |
| 5. — , | — ; | ა-ქ-ა-თ(ი); | ი-ქ-ა-თ-ა(ი); | ა-ქ-ი-თ-ი-ა; | ი-ქ-ი-თ-ი-ა; |
| 6. — , | — ; | ა-ქ-ა-დ(ან); | ი-ქ-ა-დ(ან); | ა-ქ-ი-დ(ან); | ი-ქ-ი-დ(ან); |
| 7. ა-ქ-ო, | ი-ქ-ო; | ა-ქ-ა-ო; | ი-ქ-ა-ო; | ა-ქ-ი-ო; | ი-ქ-ი-ო. |

ამ სხმაში ოც-და-თორმეტი ფორმა არის და მათ ჰქმნიან მხოლოდ: 1., ერთ ძირეული თანხმოვანი ასო „ქ“-ანი, 2. რომელსაც აწარმოებენ და ბრუნვების საფუძვლად ჰხდიან ახლო და შორ მანძილადი მარტივი ნაცვალსახელები ა-ნი და ი-ნი; 3., ხოლო თვითფულად აქ მოყვანილ ექვს საფუძველს აკანკლედებს შვიდი ბრუნვა თანად საფუთად მუხასია-

თე ნიშანებით: — ს, მან, თ, დ, და ო-ით.

ეს სხმა მშვენივრად გვიჩვენებს ჩვენს სიტყვათა თვინიერს კანკლედობრივ ცვალებადობას, რომელსაც მე პირველად მივაქციე, ხანგრძლივ შრომის შემდეგ, ყურადღება მკითხველისა.

შემდეგ სხვა მარტივებზედ იყოს.

მ. ქ. უიფანი.

ღეიღა სილონი

I.

ღელს, მკათათვის დამდეგს, ბიძაჩემს ანდრიას ვესტუმრე, ჩვეულებრივ სიამოვნებით მომეგება: მამაშვილურად ჩამიკრა გულში, სიყვარულით გადავკოცნეთ ერთმანეთი, მერმე დავსხედით სახლის წინ ტოტებ დაბურულ ბებერი ვირხვის ქვეშ მხიარულად მოჩახჩახე პაწია მდინარის ნაპირას და გავებით სხვა და სხვა გვარ ლაპარაკში. მზე კაი ხნის ამოსული იყო, მაგრამ შავი ღრუბლები აჭვარებოდნენ წინ და ამის გამო მის ცხოველ სხივებს გერ კიდევ ვერ შეეხუთათ დილის გრილი ნიავი. ჩვენი ვერხვის ტოტებიდან წამ და უწყუმ ცვიოდა მარგალიტის მსგავსი ლამის, ციციკვი ნამები. თითო პატარა ყანწი სოფლური ქინახულის არაყი გადავკართი, ცოტაოდნით დავნაყრდით და წამოვდექით ფხზედა.

— ელისაბედ, დედა-კაცო, დაიძახა ანდრიამ, აბა ერთი შენებურათ დატრიალდი, კაი სადილი მოგვიმზადე... ქვევრს კი მე თითონ მოვხდი. ჩვენებიანთ თევდორეს გადასძახე; სადილათ გვეწვიეთქო. ძველი დრო მინდა მოვიგონო: ერთ დროს მე და ის განთქმული მომღერლები ვიყავით. ღვდელსაც შეატყობინე: ძმისწული მომივიდა და სადილათ გვეწვიეთქო. შემდეგ ჩემსკენ მობრუნდა და მითხრა:

— შენა, ძამიავ, როგორც მახსოვს; მინდორში სიარული გიყვარს. თუ გინდა, წავიდეთ, ყანები დავათვალიეროთ. დღეს თუ ხვალ ნაგალი უნდა დატრიალდეს და მე კი დღევანდლამდე ხეირიანათ არ ვიცი, რომელ ყანას უფრო ადრე გვირგება მომკა.

— დიდის სიამოვნებით, ბიძა-ჩემო, მიუგე მე... აბა, გავწიოთ: კაი ხანს მხარდამხარ მივდიოდით. ანდრიამ ლაპარაკი შესწყვიტა. თავი მალა აელო და რალაც დაფარული მღელვარებით გასცქეროდა მინდორსა. მხიარული სახე შესცვლოდა: სევდა-ნაღველის გამოხატულება გადაჰფეროდა ზედა. მალე მივადექით ყანაზე დაქნილ ბილიკას. ანდრია წინ წავიმძღვარე, მე მივყე უკანა და აუჩქარებელის ნაბიჯით გავწიეთ ამ ბილიკაზე. შევედით თუ არა ყანაში, ბიძაჩემი შესდგა, ორიოდ წუთს თვალი დააშტერა ყანას, თითქო ეძებს რასმეო. შემდეგ ერთი უფრო მოდილო თავთავი მოგლიჯა და ხელის გულზე მოიფშენიჭა. ფრთხილად შეუბერა, მოფშენიტილი ნაწილები თავთავისა აქეთიქით გადაჰყარა; ხელის გულზე დარჩა შევიდიოდ პურის მარცვალი. ამათ დანახვაზე ანდრიას ფერი ეცვალა. მობრუნდა ჩემსკენ, მარცვლებიანი ხელი გამომიშვრა და დალონებით მითხრა:

— წელს უხეირო მოსავალი მოგვდის... ხედავ? შვიდი მარცვლის მეტი არ ყოფილა ერთ თავთავში და ესენიც, დახედურასა ჰკვანან!.. თვალთ ძლივსა სჩანან!.. აბა, რა გამოსავალი უნდა ჰქონდეს ესეთ ყანებსა? გაზაფხულზე ჩინებულნი პირი უჩნდა მოსავალსა. თიბათვის დამდეგ ლამაზმა ჟუჟუნა წვიმებმაც ხელი შეუწყობა მაგრამ ორიოდ კვირის შემდეგ გაგვიტყვერე წყეული ქვენა ქარი, იწყო დღე და ლამაზი ქროლა. მოიტანა საშინელი სიციხე-პაპა ნაქება, დადგა გვალვა... და, რალა თქმულნდა, ყველა ეს ხეირს არაფერს დაუ

რიდა. ყანები შესტრუსა, უდროვით გა-
ახმო, მარცვლი დაუსრულებელი დარჩა.
ეს კიდევ არაფერი! საქმე თუ ასე წავი-
და, ეს გასავერანებელი ამინდი სიმინდ-
ლობიოზედაც ხელს აგვადებინებს. ეს
უკანასკნელი სიტყვები ანდრიაშ დაბალის
ხმით წარმოსთქვა, ისე თითქო თავის თავს
ელაპარაკებო. მერმე გატრიალდა და
უფრო აჩქარებული ნაბიჯით გასწია წინ.
მთელი ორი საათი ვიარეთ ამნაირად მინ-
დორში. და ყველგან ერთი და იგივე
გვხვდებოდა: ქვენა ქარს მთელი ეს თვალ-
გაღუწვდენელი ნათესი მინდორი საშინ-
ლად აეოხრებინა. ამ ხნის განმავლობაში
მზემაც კარგა-მალა ამოიწია ცაზედა.
წინ აფარებული შავი ღრუბლები ბამბის
ქულებათ აქცია, დაგლიჯა და ნიავს მის-
ცა აქეთ-იქით გასაფანტავათა. მოკრი-
ვებულ ცაზე მედიდურათ გამობწყინდა
და უთვალავი ცხოველი სხივები გად-
მოაფრქვია ისედაც გახურებულ დედა-მი-
წის ზურგსა. ამის გავლენით ქვენა ქარი
თითქო გამხენდა. დაჰქროლა, დაუბერა
და სულის შემხუთავი სიცხე-პაპანაქება
დაატრიალა ქვეყნიერებაზე. გახურებულ
პაერს ცეცხლის ალივით გაჰქონდა ლაპ-
ლაპი. ათასგვარი სულდგმულებით საესე
მინდორი ამ ჟამად თითქო სრულიად და
ცალიერებულიყო. ირგვლივ დამყარებულ
სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ
გამხმარი ყანის ერთგვარი, სევდით საესე
შრიალი, თითქო რგი მ ნაღვლიანი შრია-
ლით ცისა და ქვეყნის შემოქმედს შეე-
ლასა და დახმარებას ევედრებოდა. სი-
ხემ ჩვენზედაც იმოქმედა: ოფლი წურ-
წურით ჩამოგვიდოდა აწითლებულ სახე-
ზე. ანდრიაშ ხელი გაიშვირა შუა მინ-
დორში ყარაულივით ჩამდგარ უზარმაზარ
მუხისკენ და წარმოსთქვა:

— წავიდეთ, ძამია, აიშ მუხის ქვეშ თავი

შვეფაროთ, პაჰარა ხანს შევისვენოთ.
რალა თქმა უნდა, სიამოვნებით დაევიან-
ხმე და ჩქარის ნაბიჯით გავწიეთ მუხის-
კენ. ორიოდ წამის შემდეგ ძისმა მწვანე
ფოთლებით დაბურულმა ტოტებმა მიგვი-
ღეს თავიანთ მფარველობის ქვეშ. შევეყა-
ვით თუ არა თავი ამ ტოტებში, ჩვენ
თვალს წარმოუდგა დიდებული საოცნე-
ბო კარავი. კარგა მოზრდილი, კალნა-
ვით მოირგვალეებული ადგილი ლამაზი
ყვავილ ნარევი მწვანე ბალახით იყო და-
ფენილი. ამ ადგილის ზედ შუა გულზე
ამართულიყო რკინასავით მაგარი, სრუ-
ლიად დაუზიანებელი მუხის მსხვილი-
ღერო, რომელსაც ორი-სამი კაცი ძლივს
შემოუწვდენდა ზელებსა. ამ ღეროზე ამო-
სული ვებერთელა ტოტები ზოგი მალდა
ზეცისკენ ამაყად ამართულიყო, ზოგ-
საც აღმაცრივ წაეღო თავი, განზე
გასულიყვენენ, და თავიანთ უთვალავი
პატარა ტოტებით და ყლორტებით თით-
ქმის დედამიწას ეკარებოდნენ. მუხა შუა
ყანაში იდგა. მუხისაგან დაფარულ ად-
გილს ირგვლივ ყანის კედელი ჰქონდა
შემორტყმული. ყანის თავთავები და მუ-
ხის ყლორტები ერთმანეთში იყვნენ გა-
დახლართულნი, ნიავისაგან ნელნელა ინძ-
რეოდნენ, თითქო ერთმანეთს ეხვეოდნენ,
უალერსებდნენ. ქვენა ქარს, რალა თქმა
უნდა, ამ საოცნებო კარავშიაც არ გაუ-
ქრდებოდა სეირნობა, მაგრამ გარეთ
შემხუთავი სულისა, აქ, ამ ჩრდილ ქვეშ,
სასიამოვნო გრილ ნიავთ იცვლებოდა.
ხან ძირს მიწის პირად ურბენდა, მწვანე
ბალახსა და ყვავილებს ნაზად არხევდა;
ხანაც მალდა ტოტებში დაჰქროდა, მათ
ყოლორტებსა და ფოთლებ შორის მარდათ
დაძვრებოდა, თანაც საიდუმლო ენით შო-
რიდან მატანილ ანბებს ეჩურჩულებოდა.
შვეყავით თუ არა თავი ამ დიდებულ კა-

რავში, სამოთხის მსგავსი ნეტარება მოეფინა ჩვენ სულსა და გულსა. შორს აღარ წავსულვართ: იქვე ახლო ყანის პირად ჩავსხედით, ქუდები ბალახზე გადავყარეთ და ჩვენ ნებიერთა გადავგორდით იმ სუფთა ლამაზ, რბილ ხალიჩაზე, რომელიც ყოველად შემძლებელ ბუნებას ვადაეშალა აქა. იმავე წამს გრილმა ნიავმა მოიბრინა ჩვენთან; ჯერ გახურებულ შუბლსა და სახეზე გვახსურა უკვდავების წყარო და შემდეგ მთელ მინდორში შეკრებილ ერთად შეზავებული ყვავილთა სურნელებამ მოჰფინა ჩვენს გარემო.

II.

სიცხისაგან შეწუხებულნი, სიარულით დალილნი ამ სიამოვნების წყაროს მთელი ჩვენი არსებით ხარბათ დავეწაფენით. რაღა საჭირო იყო ამდროს ჩვენთვის ან ენა და ან სიტყვები? ან თვალი და ან ყურები? გარინდებულ-გაშტერებულნი ვიწვექით დედამიწაზე და თითქმის უგრძობლად შევეკეროდით უზარმაზარი მუხის სქლად დაბურულ ტოტებსა. დიდხანს ვიყავით ორივენი ასეთ მდგომარეობაში და, ვვონებ კიდევ დიდხანს დაგრჩებოდით ასე, რომ ერთ წვრილმალ გარემოებას არ მიექცია ჩემი ყურადღება. დავინახე, რომ მუხის ღეროს გარემოებო ბამბის თეთრი ძაფი ჰქონდა შემოხვეული. ბიძიჩემისკენ ვადმოვბრუნდი, ნიდაყვზე დავებჯინე და შევეკითხე:

— რას ნიშნავს, ანდრია, ეს თერთი ძაფი?

— ეგ თერთი ძაფი, ჩემო ძამიავ, იმას ნიშნავს, რომ ეს მუხა წმინდა ხეა, ხატისა! ამიტომაც ვერავინ ეკარება, თორემ აბა სხვა მუხებს შეხედე! ყველანი გადაჩეხეს.

— იქნება მართლა! წყენით წამოვიძახე და იმავე წამს ფეხზე წამოვხტი. ბიძის სიტყვებმა მომავონა, რომ ამ მინდორში რამდენიმე მშენიერი დევგმირი მუხა იდგა. თავი გავყა ტოტებში და გავიხედე მინდვრად. სადღა იყვნენ ამაყად თავადებული ერთგული ყარაულები მინდვრისა?! ამთ მაგივრად აქა-იქ უხეიროთ აეშვირათ თავები მუხების გადაჩეხილ დეროებსა. ქეშარიტად, გული მეტკინა:

— რა უქნიათ მაგ ოჯახ დაქვეულებს, მაგათა?! დავიძახე გაჯავრებით: ემისთანა რამეები მთელი სოფლის საკუთრებათ უნდა იყვეს აღიარებულნი, სოფელმა რათ მისცა ნება?

— ეჰ, შე დალოცვილ, სადღაა სოფელი? თითო ლაწირაკი გაჰოვარდება და თავი ღრუბელნატარი ჰგონია!.. ისე ვართ არე-დარეული, როგორც უმწყემსური ცხვარი! ღმერთ ერწმუნე, შეილოსან, აი სიღონია რო არ იყვეს ჩვენ სოფელში, ძალღი პატრონს ვეღარ იცნობდა.

— ვინ სიღონია, ბიძაჩემო?..

— აი პაპუნდანთ სოსიას ქალი... არ იცნობ განა?

— ჰო, ჰო, მამავონდა!.. დეიდა სიღონიას რომ ეძახიან, ის არა?.. ჰოო, ისა! სიღონია ქკიანი, ქირსა და ლხინში გამოსადევი, დედაკაცია, და ამასთანავე ხასიათით ნამდვილი ვაჟკაცი. ამიტომ მისი ხათრიც აქვთ და მორიდებაცა. ღმერთ ერწმუნე, ის რო არ იყვეს, ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს დავქამდით.

— იცი, ბიძაჩემო?.. მოდი სიღონიაც დაჰპატოე სადილათა!.. შენ ისე აქვთ იმ ადამიანს, რომ ძიელ მომინდა მისი დააბლოვებით გაცნობა.

— ძალიან კარგი, შეილა, დავბრუნდებით თუ არა სახლში, მე თითონ წავალ

და დავბატოვებ... სთქვა თუ არა ესა, თითქმის იმავე წამს ყურები ცქვიტა, სული განაბა და მეც ხელით მანიშნა, რომ კრინტი არ და დამეძრა. ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ ცხადთ გავარკვეით ნიავისაგან მოტანილი ხმაურობა. ანდრია მარდათ წამოხტა ფეხზე, ტოტებში გაპყო თავი და გაიხედა... მაშინათვე სიხარულით წამოიძახა:

— აგერა, ძამია, სიღონია მინდორში დადის. წამოვხტი მაშინათვე და მეც ვიწყე ცქერა იქით, საითაც იყურებოდა ბიძაჩემი. საჩქაროზე დავიხანებ ჩვენზე კარგა მოშორებით ყანის პირად ნელნელა მომავალი მანდილოსანი. წელქვეით ყანა ჰფარავდა, წელზემოდ კი რაცა სჩანდა, ცხადთ აჩვენებდა, რომ ის იყო კარგა ზორბა, წამოსადეგი აღამიანი. ხანდისხან თვალიდან გვემალებოდა, მცირე ხნის შემდეგ ისევე ჩნდებოდა და დინჯათ, აუჩქარებლოვ აგრძელებდა თავის გზას.

— რას აკეთებს, ბიძია, ამ პაპანაქებმა სიტყვეში, რომ მინდვრად გამოსულა?

— იმასა, ჩემო ძამია, რომ სამკურნალო ყვავილებსა და სხვა და სხვა ბალახბულახსა ჰკრეფავს. მაგისი სიტყვეთ, მზის გულზე მოკრეფილი ბალახეულობა უფრო სუფთაც არის და უფრო მეტი წვენიც უდვიაო. კი ხანს უტკირეთ ამგვარად მოსიარულე მანდილოსანს... შემდეგ მხარი იცვალა და დასავლეთისკენ გასწია.

— მოდი, ბიძია, წავიდეთ ჩვენცა! სადღათ ხომ უნდა დაპატიყო?

— არა, შეილო!.. ჯერ ერთა რომ სიღონიას ქირივით ეჯავრება უსაქმო აღამიანი, და მეორეც ისა, რომ, ექვი არ უნდა, თითონ მრვა აქა, როცა დაილღევა და სიცხისაგანაც შესწუხდება. ხომ ხედავ, ამაზე მეტი თავშესაფარი ამოდენა მინდორში აღარ არის.

— შენ უფრო დიდი იქნები, ბიძაჩემო, თუ სიღონია?... დავეკითხე ანდრიას, როცა წინანდებურათ ხელახლა დავსხედით მუხის ქვეშ.

— ორიოდ-სამი წლით მე დიდი უნდა ვიყვე, მიპასუხა მან,—კარგათ მახსოვს, ძამია, მაგის ყმაწვილქალობა. ეგ დალოცვილის შვილი, როგორც ეხლა განსხვავდება თავის ხნის მანდილოსნებიდან, ისე მაშინ ირჩეოდა თავის ტოლ ყმაწვილ ქალებში.

— ერთი ოსტატი დე აკაცი ცხოვრობდა მაშინ ჩვენ სოფელში. წერა-კითხვა, ქრა და კერვა ჩინებულად იცოდა. მთელი სოფლის გოგოები იმასთან დადიოდნენ და სწავლობდნენ ყველა ამასა. სიღო ყველაფერში პირველობდა. შე!ახედავაც მშვენიერი გოგო იყო. ლამაზი, ეშხიანი შავგვრემანი სახისა და ამასთანავე ჯანიითა და ღონით სავსე. რაკი ყველასა სჯობდა, ცოტა არა, სიამაყე ემჩნეოდა. ეხლა რაღა ვარ, შეილო?! სიბერემ შეუბრალებლად წამგლიჯა ყველა ის, რაც კი სიყმაწვილეში მამშვენებდა. შეხედულობითაც არა მიშავდა რა და მთელ ამ ჩვენ მხარეში კი ვაქაციის სახელიცა მქონდა გაყარდნილი. სიღო, ხომ გითხარი, რაც იყო! სოფლის გოგოებში რა ჩაერეოდა, ისე ირჩეოდა იმათში, როგორც თათრული ერკემალი ოსურ ცხვრებში რომ ჩაურიაო. ჩამივარდა გულში, შენ ხარ ჩემი ბატონი, სიღოს სიყვარული!.. დამრია ხელი და როგორ დამრია!? ის იმოდენა ვაქაცი დედა-ბერივით დამაძაბუნა! ბევრნაირად ვცადე, რომ იმის გული მამეგო, მაგრამ ის წყეული ვერაფრით გავტეხე! ანდრია გაჩუმდა: მის სახეს ღრმა მწუხარება გადაჰფეროდა. ორიოდ წამის შემდეგ თავი აიღო მალა, ერთ-ორჯელ ჩახჩრანტალა და განავრძო:

აგერა, ამ სოფელში... სთქვა ანდრიამ და ხელი გაიშვირა ერთი იქვე ახლო მდებარე სოფლისაკენ, — ამ სოფელში პეტრე-პავლობას დღეობა ოცის. ამ ორმოციოდე წლის წინათ დიდ ძალი ხალხი იკრიბებოდა იქ. თავად-აზნაურობა მაშინ ღონიერად იყო და არც ერთ დღეობა-ხატობას არ გაუშვებდა ისე, რო არ დასწრობოდა. და სადაც კი ესენი შეიკრიფებოდნენ, იქ, უსათუოდ ჯირითი, ქილაობა, ლხინი უნდა გაჩაღებულიყო. იმ წელსაც დიდძალი ხალხმა მოიყარა იქ თავი. ჯირითით რო მოიღალენ, გააჩინეს ქილაობა. გაღმა მხრიდან ერთი ფალავანი მოსულაყო, ვინც კი გავიდნენ ჩვენი მხრიდან, ყველანი დაგვილახა. აქეთ-იქიდან მთხოვეს და მეც გავვდი გულმოსული. გათამამებული ბიჭი გამოჰქანდა მაშინათვე ჩემსკენა. სწორეთ ამ დროს სიღოს მოეკარი თვალი: მაქტერლების წინა რიგში იდგა და გაუტერებით შესცქეროდა თავმოქონე გაღმა მხრელ ფალავანსა. შურით ამგვისა გული, და ამასთანავე ისეთი ძალა ვიგრძენ, რომ ვეშაპი რო დამდგომოდა იმ დროს წინ, იმასაც არ მოვერიდებოდი. ერთი გადავტი, დავტაცე ხელი და ის იმოღენა ვაჟაკი მოვიტაცე, როგორც ქორმა წიწილა. დაუტრიალდი, ცალ მუხლზე დაუჩოქე, წამოვიკიდე და სწორედ სიღოს წინ დაწარცხე დედამიწაზე. იმავე წამს ჩვენი მხრის თავადებმა ხელში ამიტაცეს, მკოცნიდნენ, ხერხსა და ღონეს მიქებდნენ, ქართული ორბაზიანებით მუჭის მიესკვდნენ. მე რომ აქ ამ ანბავში ვიყავ, წაქცეული ჩემზე ცოტა მოშორებით სხვანაირ ყოფაში ჩავარდნილიყო. წაქცევის დროს თავი დაეკრა ქვაზე, გასტეხოდა და გული შესწუხებოდა. როცა ეს გავიგე, როდი დამენანა, პირიქით რაღაც სულელუ-

რი სიამაყე ვიგრძენი. შემომგზვიენენ ჩვენბური ბიჭები. ერთმა ამთვანმა ხმა მალლა დაიძახა:

— ანდრომ ჩვენი სოფელი ასახელოა...

— ვაჟაკია და ვაჟაკის საქმეც სხვა რა არის, თუ არ ეგაო! მისძახა მესამემ.

— ვაჟაკია?.. დაიძახა ამ დროს ვიღამაც ზიზლით, — შენზე უღონოს რომ მშვიერი მგელივით მივარდე, აღარაფერს მოერიდო, სასიკვდილოთ არ დაინდო, განა ეს ვაჟაკობაა?.. ვაჟაკი ის არის, ვინც თანასწორ მებრძოლთან სულგრძელია და სუსტთან კი შემბრალბელი. გავიხედე და თავზარი დამეცა! სახე აღანძული, წარბ შეკრული იდგა სიღო და ზიზლით მიქტეროდა. გააღმასებული ხანჯლის წვერი ისე ვერ მატკენდა გულს, როგორც ამ სიტყვებმა მატკინეს. აი მზი გულის მადღმა. რომ იმ დღიდან ხელი ავიღე ქილაობაზე.

მეორეთ უფრო უსამართლოდ მამექცა სიღო, თავჩაღუნულმა განაგრძო ანდრიამ, — იმ დროს ამ ჩვენ სოფელში ერთი კაი ოჯახიშვილი ცხოვრობდა. დიმიტრი ხოდაბუნძე აზნაურიშვილი იყო, მაგრამ შეძლებით, ყმა და მამულთ თავადიშვილსაც კი არ დაუვარდებოდა. ერთ ზაფხულ დიდი მამითადი მოიწვია. ამ ახლო-მახლო სამი ოთხი სოფლის გლეხკაცობა სულ ერთად ვიყავით შეკრებილი. ოცი დღის ხოდაბუნში სამასა ნამგალი ტრიალებდა, მუშის გუგუნი მთა და ბარს ეფინებოდა. დიდიდან საღამომდე რამდენიმე ყმაწვილი ბაჭი, მკაში დახელოვნებული; ერთმანეთს ლომებივით ვებრძოდით. გამარჯვება დამჩა მე. ვახშმის შემდეგ მასპინძელმა გამოიტანა ხარის თავი და ქება დიდებით გადმოცა. შემომგზვიენენ მეგობარნი ბიჭები და სიმღერით მიმაცილეს სახლამდე; სიღოს დავენახეთ და

დაცინვით ეთქვა: ძველ დროში ვაჟკაცები ლეკისა და ოსმალ-ყიზილბაშების თავებით იწონებდნენ თავსაო, ახლა კი ხარისთავებითაო!

III

დაუწუნებია, ბიძა, დაუწუნებია!.. წარმოვსთქვი ხუმრობით, როცა ანდრია გაჩუმდა.

— ცხადია, მიპასუხა აზნაც მომღიმარის სახით. ალბათ ესე გვეწერა შუბლზე. მაშინა მწყინდა: კინალამ თავზე ხელი ავიღე, მაგრამ ეხლა რო უფიქრდები ჩვენ თავსა, ღმერთს მადლობასა ვწირამ, რომ ასე მოხდა. სიდონია ისეთი ხასიათის დედაცაა, რომ მასთან ჩემი ჯურის კაცი ვერ მოიყლიდა! მეც თავმოწონე ვიყავ, ისიცა და ერთმანეთს კვერცხებივით შევასკდებოდით.

— მაშ, დარჩა ვერე სიდონია? ვერაინ შეიძელით მაგის გულის დამორჩილება? დავეკითხე ბიძიას კვალად ხუმრობის კილოთი.

— ვერა, შვილო, ვერ დარჩა!.. მიპასუხა ნალვლიანათ ანდრიამ. მოვიდა დრო და დაჰკრა მაგისმა ბედმაც!.. მაგრამ ამ ბედმა მალე უმტყუნა, ბედის ჩარხი უკულმა გადუტრიალდა და ქვეშ მოიტანა საწყალი! ბევრი იტანჯა და ვგონებ ეხლაც სულ მთლად არ განელეგია ცეცხლი იმ ტანჯვისა, მაგრამ ვაჟკაცურად იტანს ყველაფერს, წარბ შეუბრელად შესცქერის მუდამ წუთისოფელსა.

— ვინ იყო ის ბიჭი? დავეკითხე ანდრიას, აქაური იყო?

— არა, შვილო, არ იყო, მიპასუხა მან, — კახელი იყო ის სულით განათლებული!..

— კახელი? მერე რამ გადმოაგდო ამ სიშორეზედა?

— თითონ იტყოდა ხოლმე: სალოცავად მოვედი ამ თქვენ წმინდა გიორგის ეკლესიაშიო. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ბატონ-ყმობის უსამართლოებას გამოექცეოდაო. იყენენ ჩვენში ისეთებიც, რომელიც დარწმუნებით გაიძახოდნენ: კახელს ბატონი მოუკლავს და მერმე აქეთ გადმოვარდნილაო. მოვიდა შუა ზაფხულში, კალოზის დროსა; თავით ფეხებამდე იარაღში იჯდა. იქნებოდა ოცდაოთხის, ოცდახუთის წლისა. ემ წმინდა გიორგი პატიოსანს ვფიცამ, რომ იმაზე მოსხვილი, შნოიანი, სხითა თუ ტანით მწვენიერი შესახედავი ვაჟკაცი მთელ ჩემ სიცოცხლეში მგორე აღარ მინახავს. ფალავანი იყო შესანიშნავი... ამ ჩვენ მხარეში ვერც ერთი ბიჭი ვერ გაუმავდა ბოლოს ხიზამბარელთანაც მოუხდა ქიდაობა... გამოცდილმა ლომმა პირველსავე შეტაკებაზე დამიორჩილა ახალგაზდა ვეფხი. მაგრამ ისე მოეწონა, რომ წასაქცევით ვერ გაიმეტა. ზურგულზე წამოკიდებულს ხელი სტაცა, ფეხზე დააყენა, აქცა და უთხრა: ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ!.. სამიოდ წლის შემდეგ მე შენ ვეღარ გავიგებდამ ქიდაობასაო. მისი ნასროლი ტყვია ძნელათ თუ ასცდებოდა მიზანსა. ხმა მართალია ცოტა მოუხეშავი ჰქონდა. მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ ორი-სამი ვაჟკაცის შეერთებულ ხმასა ჰგავდა იმისი დამახილი. ამასთანავე იყო მარდი, გულდი, მხიარული, ჰოსაქმე დაუღალავი. პირველად თავი შეაფარა ერთ ხელმოკლე დედაბერის ოჯახსა. ამის საღეწს რომ მორჩა, მერმე სხვას მიაშველა ხელი... შემდეგ მესამეს, მეოთხეს... ორიოდ კვირის შემდეგ მთელი სოფელი ერთმანეთს ეცილებოდა: არა, ჩვენთან უნდა იყვეს კახელი, არა, ჩვენთანაო! ის რო კვერზე დადგებოდა და კალოს სიმღერას დასძა-

ხება, სოფლის დიდი და პატარა სმენათ გადაიქცეოდა ხოლმე. ყველა ალტაცებით ისმენდა მის ვაჟაკურ ხმას და განსხვავებულ კილოიან სიმღერასა. სამიოდ წელიწადი დარჩა და ამ დროს განმავლობაში არც ერთ ყაჩაღსა და ქურდბაკაცას არ გაუქაქანებიათ ჩვენი სოფლის მიდამოზე. აი ამ ბიჭსა და სიდოს ჩავარდნოდან გულში ერთმანეთის სიყვარული, და ღმერთსაც რომ ხელი მოემართა, სწორეთ რომ ამათზე იქნებოდა ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. მაგრამ დაიშურა იმ დალოცვილმა ამათთვის სიკეთე და კარზე მომდგარი ბედი უზედურებათ გადაუტყია. ჰო, იმას ვამბობდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ერთმანეთის სიყვარული გულში ჩავარდნოდან მეუკი. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამ გრძობის გამოცხადებას არა ჩქარობდა. პირიქით, თითქო ერთმანეთს უმაღავდნენ, ერიდებოდნენ კიდევ. ხომ იცი, ძამიავ, ე ჩვენი სოფლის გარემოება?!. სოფელი მალღობზეა, ვენახ-სიმინდები კი დაბლა ხეობაში. ერთ დილით აი ამ დაბლობიდან ამოცვიდნენ გულ გახეთქილი მწყემსები და სოფელს შეატყობინეს: სიმინდებს შემოსევია დათვი და აოხრებსო. მაშინათვე საყდრის წინ მოიყარა თავი სოფელში. ოციოდე ყმაწვილი ბიჭი საჩქაროზე შეიარაღდა ზოგი თოფით და ზოგიც ცულუბითა. მეც მოვიწადინე მათში ჩარევა, მაგრამ ნება არ მამცეს. იმ წინა დღესით მკაში უცაბედად დამჭრეს ნამგლითა და ამის გამო მიფთხილდებოდნენ. ნახსენებული ბიჭები გაუდგნენ გზასა, მთელი სოფელი მიჰყვა მათ უკან: ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზდა სუყველანი იქ ვიყავით შეგროვილი. მალე მივედით დანიშნულ ადგილს და გადავხედეთ მალღობიდან შე-

დრებულ სიმინდებსა. მალე გავარჩიეთ ნადირიც. ის შუა სიმინდში იდგა, თავის გარეშემო. გაცოფებული ყველაფერსა ჰგლეჯდა და აქეთ-იქით ისროდა, თითქო საბრძოლველად ასპაჩებს იმზადებდნო. ორ რიგათ დადგნენ ბიჭები: წინა რიგში იდგნენ თოფიანები, უკანაში ცულიანები. ჯერ წინა რიგს უნდა დეცალა თოფები და, თუ ცოცხალი დარჩებოდა, მერე უკანა რიგი უნდა წამდგარიყო წინა. კახელის წინამძღვრობით დაეშვნენ დადმართზე. ჯერ ნახევარი გზა არ ჰქონდათ ჩავლილი, რომ ვიღამაც გადასძახა მალღობიდან:

— ბიჭებო, გაბთხილით, გაბაზილით!.. ჯერ ერთი რომ ვეგებერთელაა ეგ გასავერანებელი, ეგა... და მეორეც ისა, რომ ჯიანჭველ ნაქამსა ჰგავს.

გვერდზე მივიხედე და დავინახე ოღოშღერაანთ სოლომანა, ოთხმოცი წლის მოხუცი, ოდესმე სახელგანთქმული მონადირე.

ბიჭები მიუახლოვდნენ დათვისა, ამანაც შენიშნა ივინი: იწყო ერთ ადგილას ტრიალი და მალაღის ხმით გაჯავრებული ბურტყუნი.

— ნამდვილათ ჯიანჭველ ნაქამია ეგ წყეული!.. ჩაილაპარაკა თავისთვის იმავე სოლომანამ, დათვი მხდალი ნადირია, ეგრე რომ არ იყვეს, გაიქცეოდა.

სწორეთ ამ დროს დაიქექა კახელის თოფმა. აჰას მიჰყვნენ დანარჩენი თოფიანებიც, მაგრამ ვგონებ არც ერთი ამათი ტყვია არ მოხვედრია დათვისა. ერთი საშინელი დაიღრიალა ნადირმა და უკულმა გადაკოტრიალდა. ალტაცებისა და გამარჯვების ყრიაშულმა დაჰფარა მთელი ის მიდამო. მაგრამ იმავე წმას სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ჩვენ გარეშემო. მძიმეთ, მაგრამ არა სასიკვდილოთ, დაქრი-

ლი ნადირი წამოვარდა და დორბლებს უკრით შემოუტია წინა რიგსა. აქ მდგომი ბიჭებე შეშინდნენ, ანებეს თავი კახელსა და გამოიქცნენ, არიეს ცულიანებიც და ყველამ ერთად პირი იბრუნეს უკანა. ავ დღეს გაუთენებლით ჩვენ იმ პირავეებს მაშინა, მაგრამ, საუბედუროთ, საქმე ისე დატრიალდა იმ წამში, რომ იმათთვის ველარ მოვიცალეთ. კახელმა ერთი დასკვივლა დათვსა და უშიშრად მიეგება წინ. იძრო ხანჯალი და კისრის ქვემოთ წინა ბეჭთან ღონივრად ჩასცა მტერსა. სამწუხაროდ, ხანჯლის ამოღება ველარ მოასწრო. გააფთრებული ნადირი ეცა. ორი მტერი ერთმანეთს გადახვივნენ, ვადებლართნენ. ორიოდ წუთის შემდეგ ადამიანი დაეცა პირქვე, მხეცი დააჯდა ზემოდან და კბილებით ჩააფრინდა კისერში. თავზარი დაგვეცა, სუნთქვა შეგვეხუთა, მთელი ხალხი გაშეშდა, გაქვავდა. ამ შემკრთალ-შეშინებული ხალხიდან უცებ გამოვარდა ფერწასული და თვალეზანთებული ახალგაზდა ქალი; ერთ მოზდილ ცულს დასტაცა ხელი და ელვასავით დაეშვა ქვემოთკენ. ამ დროს, ძამიავე, რაღაც მოხდა ჩვენ თავსა! რაღამაც დაგვკრა კისერში და ჭრუანტულად ჩავვიარა ფეხის თითებამდე. უეცრად მთელი ეს ამოღენა ხალხი ნიაღვარსავით მოსკდა ზემოდან და ხმა გაკმენდილი დაეშვა იქით, საითკენაც გარბოდა უმაწვლი ქალი. თავგამეტებით მივბრბოდით ყველანი და მხოლოდ იმასა ვცდილობდით, რომ ყველასათვის წინ გავგესწრო. როგორღაც მივიხედვე გვერდზე და რა დავინახე, კაცო, რა დავინახე!.. აი დიდება შენთვის, ღმერთო!.. რა ყოფილა ადამიანი ზოვიერთ შენთხვევაში!! ჩვენებიანთ კოკლი ანა, აი ჯოხით რო ძლივს დაჩლახუნობს, ე ჩვენი თევდორეს პირველი ცოლი, ისე

მობრბოდა, როგორც კაი ვეფხვი, ეს რო დავინახე, ძამია, სულ მთლად გადავირიე. სწორე ადგილზე სიარული ვიუკადრისე! პირდაპირ გავექანი, ვიშვირე ფეხი და ისეთ ხევს გადავევლე თავსა, რომ იმის სიგინე, სულ ცოტა რო გითხრა, ათი-თორმეტი ნაბიჯი იქნებოდა. მივარდი დათვთან და, როცა მე ცული შევმართე, სიღ ს ცულმა უკვე ზღართა გაიღო იმის ბუბლზე. იმავე წამს შეიღი-რვა ცულის პირები ღონივრად დაეშვენენ ყოველის მხრიდან დათუნისა და სრულიად დაგლეჯილ-დაჩეხილი გადავაგორეთ გვერდზე. დავხედეთ კახელს და ის შენმა დამაწყევარმა დაინახოს, რაც ჩვენ მაშინ დავინახეთ! კისერი სულ მთლად დაღრნილი ჰქონდა; ძარღვები დაეგლიჯა და იქიდან შადრევანივით გადმოლიოდა სისხლი. ახალუხის კალთი ჩავივლიჯეთ და მგერა შემოვახვიე ყელზე, მაგრამ სისხლი ვერ დაიჭირა ამნაც. სიღომ გადააბრუნა გვერდზე, გულზე მისივენა და საზარელის ხმით ჩასძახა: ზაქარო, ზაქარო, შენ თავშემოგველე, ხმა ამოიღე, შენი ხმა გამაგონე!.. კახელმა იცნო ეს ხმა, თვალეზი გაახილა და შეაქცერდა სიღოსა. იმავე წამს მთელ მის სახეს ნეტარების ღმილი გადაეფინა. მერმე ერთი ღონივრად წამოიწია, დაამთქარა და დალია ვაქცაცმა სული. სიღომ ფთხილად დასვენა მწვანე ბლახში, ძლივ-ძლივობისას წამოდგა და ტორტმან-ბარბაკით გასწია სოფლისაკენ. ისე მოვასვენეთ ცხედარი სოფელში, ისე დავმარხეთ, რომ სიღო აღარავის უნახავს თვალითა. რამდენიმე კვირა შინიდან კარზე არ გამოსულა. მერმე შევიტყეთ, რომ ღვდელთან დაეწყო სიარული და იქ საეკლესიო კითხვა-გალობას სწავლობდა. სოფელში გავარდა ხმა—სიღო მოლოზნათ მიღისო-

გავიდა ორიოდ თვე კიდევ და ერთ დღეს, საღამოს ლოცვაზე დავიჩხვით სიღრმეში, შავ ტანისამოსში გახვეული, საწვიგნობელთან იდგა, მოწყენილის, ნაღვლიანის ხმით ლამაზათ კითხულობდა წიგნებს და გაღობდა. ის იყო უნდა წასულიყო მონასტერში, რომ ამ დროს დედა მოუკვდა. დაქვრივებულ მოხუც მამას თავი ვეღარ დაანება. ამასობაში ღრმად და ეპიგადიოდა. მწუხარებას ყუჩი მოსტყდა, დარდი და ნაღველი წაიფერებოდა გულშია. ფიქრი, გინება, დაუშვებელია. და ყველა ამას, საბედნიეროდ ჩვენი სოფლისა, მოჰყვა ისა, რომ სიღრმეში მონასტერში წასვლა გულისადა ამოიღო. იშოვნა რამდენიმე ყარაბადინი, დაუშატა ამას სხვა და სხვა შინაური ექიმების გამოცდილებათა. იწყო ავადმყოფების მოვლა-პატრონობა. ამასთანავე მაგისი მოზიდილი აღიზის ოთახი გადიქა ჩვენი ვოგოზი-ქებულ სკოლათა. ასწავლიდა წერა-კითხვასა, ხელსაქმესა, კარგ სიტყვა-პასუხსა და კარგ ქცევასა. ამ ოთხი წლის წინათ მამა მოუკვდა, მერმე და დაუქვრივდა. შვიდობა წერილობითი დარჩენოდა. მაშინათვე გასწია დისავენ ქალაქში, სადაც გაატარა სამი წელიწადი. ამ გაზაფხულზე დაგვიბრუნდა ისევ ჩვენი სიღრმეში. უნდა გენახა, ძამია, როგორის სიხარულით მიეგება მთელი სოფელი! თან მოიყვანა ერთი, ხუთი-ექვსი წლის პაწია გოგონა. ამპობენ—დისწულიათა.

IV.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არ გავთავებინა ბიძაჩემს, როდესაც იქვე ახლო ყანიღამ შემოგვესმა ჯერ ლაპარაკი და მერმე მშვენიერმა, მოხდენილის კილოთი და გრძობით სავსე სიმღერამ გაიჭრია-ლა პაქში. ეტყობოდა რომ მომდგრალი

იყო ბავშვი, რომლისათვისაც შემოქმედს მიენიჭებინა ნაზი და მალალი ხმა. უცებ საიდგანდაც მოფრენილი იადონი მღეროდა:

ალალის შიშით ნიბლია ვერ წავა ჯვარობასაო,
 თუ წავა, დაიმალება, ვერ იტყვის გალობასაო!
 ნიბლიავ, ჩიტო ნიბლიავ, აბა რათ გინდა ჯვარობა?
 ქალა-მინდორი ყურს გიგდებს, დასახე შენი გალობა!

მე წამოვბტი ფეხზე.

— რა იყო, ძამია? მომღიპარის სახით დამეკითხა ანდრია. აკი გითხარ წელანა!.. ეგ იყო ვინ არის? ეგ ი ჩვენი კულიანი ჩიორაა!

— როგორ ჩიორა? ვინ ჩიორა?.. გაკვირვებით შევეძახე.

ანდრიამ, პასუხის ნაცვლად, ცოტა წამოიწია, ცალ ხელს დაგებჯინა და ხმა მალლა დაიძახა:

— ჩიორა, ჩიორა, შე ამოსაგდებო, სადა ხარ, სადა?

— აქა ვარ, ძია, აქა!.. მოისმა ყანიღამ და თითქმის იმავე წამს მუხის ქვეშ შემობტა პაწია ხუთი-ექვსი წლის ლამაზი გოგონა. ტანზე მოწითალო ზოლებიანი ჩითის კაბა ეცვა, ფეხებზე ჩულქებ-მაშმამები და თავზე ეხურა განიერი ყვითელი ჩალის შლიაპა. მამკრა თუ არა თვალი, შეკრთა და, როგორც ეტყობოდა, უკან გაბრუნებას აპირებდა. ანდრიამ შენიშნა ესა და დაყვავებით უთხრა:

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ გეშინიან!.. ესა შენი ძმია!.. გუშინ ქალაქიდან მოვიდა და ბევრი ყინვარე შექარი მოგიტანა.

პაწია გოგონა შეინძრა და ნელნელა წამოვიდა ანდრიასაკენ. ამან მამაშვილურ

რად მოხვია ხელი და კალთაში ჩაისვა. მერმე ჩემსკენ მობრუნდა და ღიმილით მიიხრა:

— ესა, კაცო, იცი ვინ არის?.. ესა ჩვენი პაწია დიდი-დედა! სახელად ჩიორა ჰქვიან, სამსახურით კი სახელ განთქმული ექიმია...

დიდი-დედ, აბა ერთი გვითხარი: შენ ხანგრძლივ სიცოცხლეში რამდენი ავად-მყოფი მოგიჩინია?

ბავშვი თავბალღული იჯდა და გულიანათ კუჭკუჭებდა, იცინოდა ისე, თითქო ტრედი ლულუნებსო.

ჩიორამ გვერდზე მიიბრუნა თავი და თვალი რაღასაც გაუშტერა. გავიხედე იქით და დავინახე რამდენიმე სხვა და სხვა ფერის მინდერის ჟვავილები. ლამაზი თავები გამოეყოთ ყანიდან, ნიავისაგან ნელნელა ირხეოდნენ და ამ კოპწია თავებს ისე იქნევდნენ, თითქო ვიღასაც სალამს აძლევდნენ. ჩიორამ გაიკისკისა, წამოხტა ფეხზე, ყვავილებს დაუდგა წინა და თავი მიიმით დაუკრა. ყვავილებმაც, თითქო სამაგიეროს ვადასახდელათ, ნაზათ დალუნეს თავები.

— როგორა ბძანდებით ლამაზო ყვავილებო? ამ წყეულმა ქვენა ქარმა თქვენც ხომ შეგაწუხათ?.. უთხრა ენა მოკიდებით ყვავილებს პაწია გოგონამ. ამ დროს ჩიორას ზურგი ჩვენსკენა ჰქონდა შემოქცეული. ამის გამო მისგან შეუმჩნეველად გავვდი მუხის გარეთ, მივიპარე ყვავილებისკენ და ჩუმად ჩავჯექი ყანაში სწორეთ ამ ყვავილების უკანა. ყანა და მუხის დაბურული ტოტები სრულიად მფარავდნენ მე. როცა ჩიორამ ხელახლა გაუმეორა ყვავილებს სალამი, მეც დაბალის და წმინდა ხმით უპასუხე:

— კარგათ გახლავართ პაწია გოგონა!.. შენი თავი გვიცოცხლოს ღმერთმა!..

ჩიორა შეერთა, უკან დაიწია, მერმე მიუბრუნდა ანდრიას და გაოცებულის სახით დაუძახა:

— ძია, ძია, გაიგონე?.. ყვავილები ლაპარაკობენ, ქაა, ყვავილები.

— მერე რა არა?.. განა აქამდე არ იცოდი, რომ ყვავილებს ენა აქეთ? უპასუხა დინჯათ ანდრიამ.

— მაშ, რო უთხრა რამე, კიდევ დამე-ლაპარაკებინა?..

— რატომ არ დაველაპარაკებინა!.. აბა უთხარი, რაც გინდა...

— შენა, მალალო ყვავილო, რა გქვიან სახელათა?.. დაუძახა ერთ ყვავილს ჩიორამ.

მე სახელად გვირილა მქვიან! მოისმა ყანიდან. ხომ გაგოგონია ჩემი სახელი. გოგოები დამგლეჯენ ხოლმე, ძაფზე ამასხმენ, გვირგვინებს იყეთებენ და თავზე იდებენ... როცა მკლევჯავენ ისეთი ფუფუა მეტოკინება ხოლმე, როო!

— უი, შე საწყალო! ფუფუა გეტკინება ხოლმე?.. დეიდა არ მომიკვდეს, აღარ მოგვლეჯათ, აღარა!.. წარმოსთქვა თანაგრძნობით ჩიორამ და მერმე მეორე ყვავილს მიუბრუნდა:

— შენა პაწია, შენი სახელი რაღა არის?..

— ჩემი სახელი, შენი ქირიმე, სოსანია!.. შენ რაღა გქვიან, პაწია გოგნიკო?.. მოისმა ყანიდან.

— მე სახელად ანიკო მქვიან, ჩიორას კი მესძახიან!.. თქვენა ერთმანეთისა რა ხართ?..

— ჩვენა დისწულები გახლავართ, შენი ქირიმე!..

— დედამაცა გყავთ თქვენა?..

— როგორ არა!.. ჩვენი მამა მზეა, დედა მიწა; წვიმა და ნამი კიდევ ჩვენი რძეა...

ჩიორამ ყურები ცქვიტა: მის პაწია გონებაში რაღაცა აზრმა გაიბზინა. ჯერ მიიხედ-მოიხედა, მერმე ანდრიასთან მიიბზინა და ეშმაკური ლიმილით უთხრა:

— ძია, აი მუხის გარეთ, ყანაში ვილაცა ზის, არა? ის სად არის?.. სწორეთ ის იქნება. წამოიძახა ეს და გამოჰქანდა ჩემსკენ. სინამ მე დამალვას მოვასწრებდი, თავს წამომადგა. ხელი ვტაცე, ავიყვანე, გულზე მივიხუტე და ორივენი სიცილხარხარით დავბრუნდი უკანა. დავსვი თუ არა დედამიწაზე, ჩიორა მაშინვე ყვავილებსკენ გაიქცა.

— აი თქვე ეშმაკებო, თქვენა!.. მოვალ ეხლავე, დაგლენჯამთ და ლამაზ კონებს შევკრამ. აბა, თუ ლაპარაკი შეგიძლიანთ, ახლა დაიძახეთ: ფუფუა მტკივა, ფუფუაი!.. ამ სიტყვებით მიიბზინა ყვავილებთან და გააშვირა თუ არა ხელი, იმ ყვავილებიდან ამოფრინდა რამდენიმე ქრელი, ლამაზი პეპელა.

ჩიორა სახტად დარჩა. გაოცებული ხან ყვავილებს აცქერდებოდა, ხანაც პეპელების ფრენას აღევნებდა თვალსა. ცხადათა სჩანდა, რომ მას ეს პეპელები გაცოცხლებული ყვავილები ეგონა... მკვირე ხნის შემდეგ მიხვდა სინამდვილეს და ცქრიალა სირბილ-ხტუნაობით დაედევნა პეპელებსა.

ამ დროს მუხის ქვეშ შემოვიდა სიღონაცა.

V.

მე და ანდრია საჩქაროზე წამოვდექით, მივეგებენით სიღონას და ზღილობიანად მოვიკოთხეთ. ამ ეჰად სიღონია სამოც წელს გადაცილებული იქნებოდა, მაგრამ როგორც მის ჰკვიანურ სახეს, ისე მის წარმოსადგმ შეხედულობას ცხადათ ემჩნეოდა, რომ სიბერეს ჯერ კიდევ ვერ

დაერია მისთვის თავის წყვეული ხელი. ტანზე სუფთა თალხი ტანისამოსი ეცვა, ხელში ეჭირა კარგა მოზლილი კალათი, სავსე სხვა და სხვა გვარის ყვავილებითა და ამოთხრილი ბალახების ფესვებითა. ეს კალათა სიღონიამ მუხის ძირას მიდგა, ოფლი მოიწმინდა და ხელის ჩამორთმევით მოგვესალმა.

— შენა ყოფილხარ, ანდრია? მეც არ გამიკვირდა: ვის ელაპარაკება ჩემი გონა მეტკი. წარმოსთქვა სიღონიამ. დავსხედით. სიღონია მობრუნდა ჩემკენ და მითხრა:

— წელან შევიტყე თქვენი მოსვლა... კარგია არ დავიწყება ნათესავისა, თუნდაც რომ ეს ნათესავი ღარიბი და გაუნათლებელი იყვეს. ქართული წიგნები, ან გაზეთები, ხომ არაფერი მოგიტანიათ?

— როგორ არა, დეიდა, მოვიტანე, უპასუხე, — მივალთ თუ არა სახლში, მაშინვე მოგართმევ.

— ქალაქში ყოფნის დროს შევეჩვიე გაზეთის კითხვასა. ჩვენ მეზობელს მოსდიოდა და ჩვენც გვიგზავნიდა ხოლმე. უნდა გამოვიწერო მეცა. ხანდისხან ისე მამინდება გაზეთის კითხვა, როგორც დამშეულს საქმელი. სთქვა სიღონიამ. მერმე თავი აიღო მაღლა, მიიხედ-მოიხედა და წამროსთქვა:

— აქ რანაირათა გრილა, რა მშენიერებაა!.. გარეთ კი სწორეთ ღეთის რისხეა!.. კაი ხანია ასეთ სიცხესა და გვალვას არ მოვსწრებივარ... გაოხრდა, დაიწვა კინახულები... ცხადია, რომ წელს ვერ იქნება კაი მოსავალი. რას იტყვი ანდრია, შენა?

— ღმერთი მოწყალეა, სიღონია!.. მიუგო ბიძა-ჩემმა, — მართალია პური და სიმინდი გაგვიოხრა ქვენა ქარმა, მაგრამ — სამაგიერო ღვინოსა და ხილს კაი პირ

უჩანთ... ერთიცა და მეორეც, ღვთის მადლით, ბლომათ მოგვივა.

— ჰო, რასაკვირველია, ურიგო არ არის ღვინისა და ხილის მოსავალიცა. მაგრამ, რა გამოვიდა?.. როცა კაცმა სიკეთის მოხმარება არ იცის, ბოროტებათ გადაექცევა ხოლმე ისა. შემჩნეული მაქვს, რომ როცა ჩვენში ღვინო ბლომათ მოდის, მაშინ ხალხიც ბლომათ იხოცება. წარმოსთქვა სიღონიამ.

— მაშ ღვინო რომ სრულებით არ მოვიდეს, ის ემჯობინება? იკითხა ანდრიამ.

— არა, ანდრია! უპასუხა სიღონიამ, — რუსეთში ღვინო არც კი იციან რა არის? მაგრამ, როგორც გამოგონია, რუსებზე მსმელი ხალხი მეორე არ არის თურმე დედა-მიწის ზურგზე, არაყში იხრჩობენ თავსა. მე ის უნდა ვთქვა, რომა ზომიერება არ ვიცით არაფერში. ღვინოს ჩვენ სიამოვნებისთვის კი არა ვსვამთ, დასათრობათა ვსვამთ. დავლევთ იმდენსა, რომ ქკუასაც თან ჩავატანთ და ამით ათასწირ უბედურებას ძალათი ვიკვიატებთ.

— ეგ სულ მართალი ბძანებაა, სიღონია, — სთქვა ანდრიამ, მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ თუ ლაზათიანათ არ ვადაპკარი, არ შეიძლება!.. აი დღესა, მაგ. ძმის წული მამივიდა, სტუმრები უნდა დავაპტივო, ქვევრი მოუხადო... როგორ იქნება, რომ ერთი კარგა არ შევზარხოშდეთ? მერმე მხიარულის სახით მიუბრუნდა სიღონიას და სთხოვა:

— იმედია, სიღონია, რომ შენც გვეწვევი დღეს სადილათა!..

— დიდის სიამოვნებით, ანდრია, წარმოსთქვა სიღონიამ, — გლისაბედმა ჩინებული მასპინძლობა იცის.

— მასპინძლობაში მეც არა მიშავს რა, სიღონია!.. აი მობძანდი და დინახავ, როგორც გაგიმხიარულდები!.. ისეთ სიმ-

ღერას ვიტყვით მე და თვედორე, რომ თქვენ მოწონებულსა.

— ჰო, კარგია ქართული სიმღერა, მაგრამ ეხლანდელი კი არა, აი ყელში რომ. კნავიან უსუსურათა. სიმღერა მაშინ არის სასიამოვნო, როცა გულიდან მოდის მაღალი და მძლავრი კილოიანი ხმითა... ეხლა სადღაა ასეთი ხმა?.. სიღონიას უცებ თითქო რაღაც ღრუბელმა გადურბინა სახეზე: ფერი ეცვალა, თითქო სასულეში რაღაც გადაუარდა, უკანასკნელი სიტყვა ძლივ-ძლიობისას წარმოსთქვა. შევნიშე ეს და საჩქაროზე მივეშველე.

— დიახ, დიახ, მართალსა ბძანებთ!.. ჩვენი დროის ქართველს გული დაეჩაგრა. სიღარიბის გამო მულამ სხვის თვალისა და ხელის შემაყურალია... უსწავლელია, გაუნათლებელი და ამიტომ არა ესმისრა არც კანონისა, არც სამართლისა. ასე გაშინჯეთ, თავისგან არჩეულ მამასხლისსაც კი ებრეყენება: ყოველ უკანონობას ითმენს მისგან, ქრთამს აძღვეს, ულაქუტებს, ფეხქვეშ ეთელვიენება. ასეთ ადამიანს რაღა გული უნდა შერჩეს და ან რა სიმღერის ხმა უნდა ამოვიდეს ამგვარად დაჩაგრული გულიდან?..

მე დაეჩუმდი. სხვებიც ხმას არ იღებდნენ... ჩამოვარდა ისეთი წამი, რომელზედაც იტყვიან ხოლმე: ანგელოზმა ჩამოიარაო. ესეთი ღუმილი ჩვენმა პაწია ჩიორამ დაარღვია. ჩემსკენ ხელი გამოიშვირა და სიღონიას მიმართა:

— შენა, დეიდა, ამისიც დეიდა ხარ?

— ჰოო, შეილო, ღიმილით მიუგო სიღონიამ, — დეიდა ვარ!

— იაშ სუყველას, სუყველას დეიდა ხარ? არა სცხრებოდა პაწია გოგონა.

არა, სუყველას დეიდა რათ ვიქნე. ბი? აი ე ანდრიას ხნის კაცებისა და ქალებისათვის და ვარ.

— და ხარ? აკი მეცა მყამდა ერთი დაი!.. ნაღვლიანის კილოთი წარმოსთქვა ჩიორამ... მერმე მიუბრუნდა სიღონისა და იმავე სეფლიანის ხმით დაეკითხა:

— შენა, დეიდა, დედაცა გყამდა?

— როგორ არა მყამდა, შვილო!.. მაშ უდღღოთ როგორ იქნება ადამიანი?

— მერე, დეიდა, შენმა დედამ თავი დაგანება?..

ამ კითხვაზე სიღონიმ კაი ხანს პახუხი არ გასცა. სახეზე ეტყობოდა, რომ ამ ბავშვის ლაპარაკი ძლიერ აწუხებდა, მაგრამ მისი თავიდან მოშორება კი ვერ მოეხერხებინა.

— მითხარი, დეიდა, მითხარი, შენი კირიმე!.. ჩაციებით შესთხოვდა პაწია გოგონა.

— არა, შვილო, მაშიკვდა!.. ნაღვლიანათ უკასახა სიღონიამ.

— მამაცა გყავდა, დეიდა?

— მყავდა, შვილო, და ისიც მაშიკვდა!..

— მამა-ჩემი?..

— შენი მამა ცოცხალია, შვილო!..

— ისევ გითია? მე რო მივიდე იმასთან, მამკლამს?

— არა, შვილო, გიეი აღარ არის!.. ეხლა ისეთია, როგორც წინათ იყო, კამფეტებს რო მოგიტანდა ხოლმე... ხო გახსოვს?

ამ სიტყვებმა სახე და თვალეები სიხარულით გაუბწყინა პაწია ჩიორას. მხიარულად მოტრიალდა ჩემსკენ და სიღონის დაეკითხა:

— ესა, დეიდა, ჩემი ძმა არი? ძიამ მითხრა წელანა: შენი ძმაო.

— ჰოო, გენაცვალე, შენი ძმა, შენი!

ჩიორა მოვიდა ჩემთან, ლამაზი თავი გულზე მამადო და ორივე ხელეები კისერ-

ზე შემომხვია. პატარა ხანს უკან ხელეები ჩამოიღო, შემომხვდა და დაფიქრებით მითხრა:

— იცი? მე ერთი ძმა მყამდა; მამამ მოკლა საწყალი!.. მამა გიეი იყო და იმიტომ!.. ეხლა მამა გიეი როდილა არი. შენც რო მიხვიდე, მეც რო მივიდე, როდი მოგვკლამს!.. ოი, ნეტა ერთი კიდეე მაჩვენა ჩემი საწყალი მამაი!.. ხელახლა მოიცვა ჩიორას სახე სეფდა-ვარამმა და დიდი მაყვალა თვალეები აევსო ცრემლდებითა.

— არიქათ ბიჭებო, გოგოებო, მოდიოთ ჩქარა!.. ემ ბუჩქს შემოერტყით გარეშე მო... აქ შეძვრა ჩიტი, აქა!.. გაისმა უცებ ჰაერში ვიღაცა პატარა ბიჭის ხმა-იქვე ახლო ყანის ნაპირას ჩამწყრივებულ ბუჩქებიდან. ამ ხმას მაშინათვე მიჰყვარამდენიმე პატარა გოგო-ბიჭების ყრია-მული. ჩიორამ ყური მოჰკრა ამ ხმაურობას, თავი აიღო მალა, ცრემლეები მოიწმინდა.

— აგერა, ანიკოჯან, შენი ტოლი გოგო-ბიჭები სამწყურაოდ გამოსულან. წაღი შენცა, გენაცვალე. დედობრივის აღერსით უთხრა ჩიორას სიღონიამა. პაწია გოგონა წამოხტა, ერთი მართლა ჩიორასავით შეიფთხრიალა და გაიქცა ამხანაგებისაკენ. ორიოდ წამის შემდეგ ჰაერში გაისმა მისი წკრიალა ხმა: ის ალაღს ეძახოდა და გაჰკიოდა: ალაღ, ალაღ, ალაღ!

VI.

დავრჩით სამნი, მაგრამ—სწორე მოგახსენოთ—ჩემი თავიც აღარ მახსოვდა. ჩიორას გულწრფელმა საშინელმა სიტყვებმა ათასგვარი შავი ფიქრებით აავსო ჩემი ქუუ-გონება. ღმერთო ჩემო, ვფიქრობდი ჩემს გულში, რა საზარელი მხამი ვადას-

ხმია ამ ბავშვის ნორჩსა და უღონო აბსებასა!.. მამა გავიქედაო... ძმა მყავდა. და გვიმა მამამ მოჰკლაო!.. ერთი დაცა მყავდაო... ვინ იცის, იქნება ისიც უბედურ მამას შემოაკვდა?! დედამ ხომ თავი არ დაგანებოა?.. ნუ თუ ეგ ბავშვი დედისაგან თავდანებებულა? რომელი არა იუდას კერძო დაანებებდა მგ ანგელოზს თავსა?.. იქნება საშინელ ავადმყოფს ვედარ გაუძლო და ღროებით წავიდა სადმე? ან იქნება მასაც მოკვლას უპირებდა და თავზარდაცემული სახლიდან გავარდა, დაიკარგა და დღესაც არავინ იცის—სად და როგორ იმყოფება?! ასეთი და მრავალი ამაზე უარესი წარმოდგენანი ეხვეოდნენ ჩემ ფიქრებს გარეშემო და არ ვიცოდი კი რომელ მთავანზე შემეჩერებინა აზრი. თავი ავიღე მალა. პირველად ბიძა დავინახე. ეს შეშინებულსავით იჯდა და თავლებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქო გავონილი სიტყვების ახსნას თავის გარშემო ეძებდა. დავინახე სიღონიაც. წელანდელი მშვიდი, სათნოიანი მეტყველებდა სახისა გაჰქრობოდა; ნაცვლად ამისა, ეს სახე ხან ღრმა მწუხარების აჩრდილით იფარებოდა, ხანაც აღშფოთებული სულის მუქარისა. და მრისხანების სარკეთა ხდებოდა. ანდრიას თვალით ვანიშნე — ეთქვა რამე, რათა ბოლო მოღებოდა როგორმე ამ ლოდისავით მძიმე სამარისებურ მდუმარებასა. ბიძაჩემმა ჯერ მწუხარებით გაიქნ-გამოიქნია რამდენჯერმე თავი, მერმე ჩაახველა და ბოლოს დაბაღის ხმით წარმოსთქვა:

— აი დიდება შენდა ღმერთო!.. ერები თქვა ი თითის ტოლა გოგომა?!

სიღონია შეინძრა, ხელი მალა აიღო და სახეზე მიისე-მოისევა. მცირე ხნის შემდეგ სახე სრულიად დაუშვიდდა.

— მგ ბავშვის თავდასასავალს ვმალავ-

დი, იწყო სიღონიამ თითქმის ჩვეულებრივის კილოთი, — იმითმა რომ მინდოდა დამეფიწყებინა ის საშინელი ამბები, რომელნიც მაგის გარშემო ტრიალებდნენ მთელი კვირის განმავლობაში, აქაურებმა რო იცოდნენ ეს ამბები, რა თქმა უნდა, მათი წვრილ ფეხობაც შეიტყობს. დიდები რო შეეცავოთ როგორმე, ბავშვებს რანაირად დაადებ პირზე კლიტესა?.. ეტყვიან რასმე, მოაგონებენ გამოვლილ შავ დღეებსა და ერთ უბედურობას დამიტრიალებენ ოჯახში. მადლობა ღმერთსა, რომ ეს უკანასკნელი ორი-სამი კვირე მშვილობიანათ გაატარა ბავშვმა! ჯავრი და ნაღველი თითქო გულიდან გადიყარა!.. წინათ ძვლები მდნებოდა მაგის საცოდაობის ცქერითა. იჯდა გარინდებულ-გაშტერებული და ნაღვლიანის კილოთი ხან მამას ელაპარაკებოდა, ხანაც დასადა ძმას ეაღერებოდა. ერთ ღამეს საშინელი წვილ-კვილით ლოჯინიდან წამომივარდა: მამა არის აქა და მოკვლას მიპირებსლა. ძლივ-ძლიობისას დავამშვიდე ეგ ჩაქოლვილის შვილი!

— სიღონია, წარმოსთქვა ანდრიამ, — წმინდა გიორგი პატრიოსანს ვაძლევ თავდებათ, რომ არც მე და არც ამ ჩემმა ძმისწულმა, სინამ პირში სული გვიდგია, კრინტიც კი არ დაქრათ მგ ბავშვის თავდასასავალზე, ოღონც გვიანმე, ცოტა რამ მაინც შეგვატყობინე საბრალო ბავშვის უბედური წარსულიდანა!!

— რატომ, ძმაო, რატომ!.. გიანბობთ... დარწმუნებული ვარ, საცოდავი ბავშვის დაღუპვას არც ერთი არ მოინდომებთ... გავონილს საიდუმლოთ, დაიცვამთ, სოფლის ყურსა და პირში არ ჩაავლებთ.

სიღონიამ დაიწყა: ეს სამიოდ თვეა, რაც სოფლად დავბრუნდი, მანამდისინ კი მთელი სამი წელიწადი ქალაქში გავა-

ტარე. ჩემ საწყალ დას ჯერ ქმარი მოუკვდა, მერე თითონ დასნეულდა და იმის წვრილ შვილს ჩემ მეტი მომვლელი არა ვინა ჰყავდა!

— ეჰ, შე საწყალო, გააწყვეტინა თანაგრძობით ანდრიამ, შენ კი მთელი შენი წუთისოფელი სხვების მოვლა-პატრონობაში დაგიღამა—და!!

— რათ ვიქნები მე საწყალო, გაჯავრებით უპასუხა ამაზე სიღონიამ; საწყალი ის არის, ვინც მოშლილი წისქვილივით როშავს რაც ენაზე მოადგება!

გავხედე ცალი თვალით ბიძის და ცოტას გაწყდა, კინაღამ არ წავიფრუტუნე... ისე მოკუნტულიყო, თითქო დამნაშავე პაწია ბლანას უფროსი წასდგომია თავსა და სტუქსავსო. სიღონიას სახეს არავითარი მღელვარება არ დასტყობია. ამ მკვახე სიტყვების შემდეგ ისეთნაირად გააგძელა თავისი ლაპარაკი, ვითომც აქ არაფერი ანბავიაო.

— იმავე ეზოში, სადაც გამოდიოდა ჩვენი სახლის კარი, მალა ბალკონიან სახლში, ცხოვრობდა ერთი ორმოციოდ წლის ჩინონიკი. სახელად სოლომანი ერქვა, გვარი კი, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, მშვიდი, ჩუმი და საქმის მუყაითი კაცი იყო. დილით, მზის ამოსვლისას, დგებოდა და მიდიოდა სამსახურში. თითქმის ხართ გამოშვებისას ბრუნდებოდა სახლში და სადილთ უკან ისევ სამსახურში მიეშურებოდა. კვირაში ორჯელ მთელი. ღამეც იქა რჩებოდა, საზოგადოთ კი ხშირ ბინდისას მოდიოდა სამსახურიდან. სოლომანს ჰყავდა ცოლი და სამი შვილი: ერთი ვაჟი და ორი ქალი. უფროსი ვაჟი სახითაც და ხასიათითაც დედასა ჰგავდა. რომ უცქეროდი, აღარ გინდოდა თვალის მოშორება, ისეთი ლამაზი იყო, მაგრამ იმაზე ანცი, დაუყენებელი, შეუბ-

რალეებელი ბავშვი მეორე აღარასდ მინახავს. თავეს რომ დაიჭერდა მახე, იმისი აღდგომა მაშინა თენდებოდა. ათასნაირ საშუალებას გამოიგონებდა, რომ პაწია წრუწუნა უფრო დიდხანს ეტანჯა. ეს ჩემი ანიკო იმისი მიმდევრო იყო. სახით თითქო რომ წააგავდნენ ერთმანეთსა, ქცევითა და ხასიათით კი სხვა და სხვა დედამამის შვილები გეგონებოდნენ. ბევრჯელ დამინახავს, როგორც დაუჭერია ანიკოს ძმისათვის ხელები და უთქვამს: ნუ, გიგო, ნუ ისვრი ქუჩაში ქვებსა, თორემ მოხვდება ვისმე, ცოდოა; მერე შენც დაგიჭერენ და გცემენ. უმცროსი ბავშვი პირწავარდნილი მამა იყო, როგორც სახით, ისე ხასიათითა. ანლათა ჰქონდა ფეხი აღმული და მთელი დღე წყნარათ, ჩუმათ დაფათურბოდა ბალკონსა და ოთახებში. მხოლოდ მაშინ დაიწყებდა ჩიტვით ჰყრიპინს-ხტუნაობას; როცა თავის მამას დინახავდა. ამ უკანასკნელსა ვაგივებით უყვარდა ეს ქორთა, უწყინარი ბლანა. ვგონებ რომ ამისი ბზხილი ერჩინა დანარჩენი შვილების თავსა. სოლომანი საზოგადოთ დინჯი, აუჩქარებელი, დარბაისელი კაცი იყო, მაგრამ ამ ბავშვს რომ დინახავდა, თითონაც ვაბავშვდებოდა ხოლმე. მის წინ ხტოდა, მღეროდა, თამაშობდა; ხანაც შეისვამდა ზურგზე და გიჟმაჟი ბიჭივით დაარბევინებდა ბალკონსა და ეზოში. ცოტაოდენი ხნის შემდეგ ვაგიცან სოლომანის ცოლიცა. ეს იყო ვილაც გაკოტრებული სოვდაგრის ქალი, სახით დახატული, მშვენიერი, ყოფაქცევით კი, დაწყველილი, ღვთის გარეგანი. მთელი დღე და ბევრჯელ ღამეც სულ სახლ გარეთ დაქშოდა. რაღაც ჯანაბა ვეჩერები, ბალები, ლოტოები და ვანშემები არც ერთი არ გამოეპარებოდა. წვიმა მოდიოდა

თუ თოვლი, დარი იყო, თუ ავღარი — იმისათვის სულ ერთი იყო!.. იმ კალმით ნახატ სახეს გაითხოვნიდა ფერ-უშარილით, სულელურათ მოიპრანკებოდა, დაიხურამდა ერთ ქვაბქოთანა უშველებელ შლიაპას და ჰერი ბიჭო!.. ფაცაფუცით ჩაირბენდა კიბეს და გასწევდა... საით? ვისთან? რათა? ეშმაკმა იცოდა იმისი თავი და კისერი. ეყარნენ იმისი მარგალიტი შვილები ერთი ხეპრე დედაკაცისა და ერთი სულელი ნაცარქექია ბიჭის სინაზარას. ერთ დღეს დიდი წვიმა მოვიდა. ქარიშხალი იქაურობას ანგრევდა, ისეთი ქექა-ქუხილი გრგვინავდა, თითქო ცა ჩამონგრევას აპირობსო. ქუჩაში მოსიარულე ხალხი ფიცხლავ მიიმალ-მოიმალა. ახლო-მახლო სახლებიდან ისმოდა შეშინებული ბავშვების ტირილი. სოლომანის ბავშვებისა არც ხმა ისმოდა და არცა სჩანდნენ სადმე. შევფიქრიანი. ამით დასათვლიერებლად ავედი მალლა: შევიხედე ერთ ოთახში. ტახტზე გაშოტილიყო დედაკაცი და ეძინა. შევყა თავი სამზარეულოში. აქ ბიჭი გახვეულიყო ერთ დაგლეჯილ, ზინტლიან საბანში და გულიანათ ხვრინამდა. ბავშვები არსადა სჩანდნენ. ბევრი ქებნის შექდეგ ერთ ბნელ ოთახში ტახტ ქვეშ თვალი მოვკარ პაწია ბავშვის ფეხსა. შევიხედე და საცოდამობით გული მამიკვდა. სამივენი აქ იყვნენ, ერთმანეთს მიჰკროდნენ და ჩუმათა ტიროდნენ. გამოვიყვანე, დაგმშვიდე და მერმე გაუჯავრდი: მანდ რათ შემძვრალხართ მეთქი. ამ ჩემმა ანიკომ მითხრა: დედაკაცმა შეგვაშინა: წადით, სადმე დაიმაღენით, თორემ აი ცაში რო გველაშაპი დაღრიალეხს, ის ჩამოვა და დაგქამთო. დედაკაცი გავაღვიძე და დავტუქსე. ეს დატუქვსა, ბატონო, დიდათ იუკადრისა ორფეხა პირუტყვმა! დაიწყო

ერთი აურხაური, ღრიალი და ბოლოს ოთახიდან გამოვდებაც დამიპირა. სწორეთ ამ დროს სოლომანიც შემოვიდა. როცა ყველაფერი გაიგო, დედაკაცს შემოუტია, გააჩუმა და მე კი მადლობა გადამიხადა. ცოლისა და მოსამსახურეების შესახებ რალაც უილაჯო წუწუნს მოჰყვა. მეწყინა ესეთი ქალაჩუნობა ვაეკაცი-სა, მაგრამ რას ვიზამდი რაც ჩავიდინე, იქნება ამისთვისაც ბევრმა მეტი-ჩარა დამიძახოს...

VII.

როცა კიბეზე ჩამოვდიოდი, წინ ჩემი და მომეგება... ფერი წასვლოდა. ხელი წამელო და აკანკალებულის ხმით მითხრა:

— უიმე, გენაცვალე, მანდ რამ გეყვანა, შე დალოცვილო! მოვა ახლა გეზელქორი აკაქუნე და მთელ ქვეყანას თავს დაგვახვევს, უშვერის პირით დაგვლანძღამს!.. მე სრულიად უმიზეზო მგზვენა ჩემი დის შიში და ამის გამო ცოტა დაცივივით უთხარი:

— როგორცა სჩანს: ჩემო დო, შენ ძიელ შეუშინებობარ ი ვილაც აკაქუნეა, იმასა. ერთი უს გამაგებინე მაინცა—ვის ეძახიან ე მაგისთანა სადარბაისლო სახელსა?..

— ქა!.. არ იცი განა? აკაქუნეს: ემა სოლომონის ცოლს, ვარინკას, ეძახიან... ამ აზგამა ცოტა არა დამფიქრა, მაგრამ ეს ფიქრები მალე გადავიყარე გულიდან: სახლ გარეთ, ოთახის ფანჯრების წინ ტახტი გვედგა. მე და ჩემი და დახსენდით ამ ტახტზე და გავებით სხვა და სხვა გვარ ლაპარაკში. მოვფიქრეთ ჩვენი საწყალი დედ-მამა, გარდაცვალებული და ცოცხალი ნაცნობ-ნათესავები. წარსული და აწმყო ერთმანეთში აურიეთ, და, ასე გა-

სინჯეთ, ცალი თვლით მომამაღწიოც კი გადავიხედეთ. ჩვენ რომ ამ ლაპარაკით ვერთობოდით, დრო და ემიცი, რაღა თქმა უნდა, თავისას არ დაიშლიდა: შუალამე და საესე მთვარე თავს წამოგვედგო- მოდა. ის იყო ვაპირებდით სახლში შესვლასა, როცა უცებ ქუჩიდან შემოგვესმა რაღაც გაურკვეველი ღრიანცელი. ეს ღრიანცელი ნელნელა გვიახლოვდებოდა და ამასთანავე თანდათან ირკვეოდა. ბოლოს დავინახეთ კიდევ მთელი ხროვა დედა-კაცებისა, რომელნიც ერთად ლაპარაკობდნენ, ხმა მალა ჯიღჯიყობდნენ, უწინაურ სიტყვებს მოურიდებლათ ხმარობდნენ და ამ სიტყვებით ერთმანეთს ლაზიანად ამკობდნენ. ამ უმსგავს საერთო ღრიანცელიდამ მკაფიოდ იჩიოდა ერთი წვერილი, მღალი, მეტრს-მეტად უსიამოვნო ხმა. ეს ხმა უსაპნო ურმის ჭრიალს უფრო წაავადა, ვიდრე ადამიანის გვამიდან ამოსულსა. ყოველი სიტყვა, წარმოთქმული ამ ხმისაგან ისე მკაფიოდ ისმოდა, თითქო ყურში ჩამახის ვინმეო. და ღმერთო ჩემო, რა სიტყვებს ხმარობდა! რა სიტყვებსა, ის პირის კომლ ამო-სახუთი ისა!

— ოჰ, ოჰ, შენი სახელი გაწყდეს, შენი, ვილაცა ხარ!.. დაგიიწდეს ეგ ენა, ეგ ყელი!.. უნებურათ წამოვიძახე მე და ყურებში თითი დავიციე.

— აკი გითხარ, დაოჯან, აკი გითხარ წუღანა?.. დაბალის, შეშინებულის ხმით მითხრა ჩემმა დამა.

— რა მითხარი, ქალო?.. რა ნაირათ ლაპარაკობ?.. დავეკითხე მას გაცეზებულს.

— ის არის, ისა!.. რა დაგემართა, ვერ მიხვდი?

— ვინ ისა?.. გამაგებინე სწორე, თუ ღმერთი გწამს!

— აკაკუნეი, სიღოჯან, აკაკუნეი!..

— აკაკუნე მაგასა—და ღვთისა და ბატონის ქარ-ცეცხლი!.. საწყალი ბავშვები!.. საბრალო სოლომანი!..

აკაკუნეს ამ გვარმა გაცნობამ შემაფიქრინა. ჩემ გულში გადავწყვიტე-არ გამეცა ხმა, თუ ვინცობაა მართლა ჩნებს დამიწყებდა. ამისთანა ღირფთან ლაპარაკი შეუძლებლად დავინახე. კაცი ბკობდაო, ღმერთი იცინოდაო!.. სწორეთ ჩემზე ახლა ეს ანდაზა მეორე დღესა.

ამასობაში დედაკაცების ხროვამ ჩვენი ეზოს კარებამდე მოახწია. ამ ადგილიდან აქეთ იქით რამდენიმე ქუჩა მიდიოდა. ერთად შეჯგუფული ქალები გამოეთხოვენ ერთმანეთს და შემდეგ თავთავიანთ გზას დაადგენ. მკირე ხნის შემდეგ ქუჩა სრულიად გაიწმინდა.. დარჩნენ მხოლოდ ორნი. ესენი ალაყაფის კარების ჩდილში მოდგნენ, ურცხვად გადახვიდნენ ერთმანეთს... განსმა პაერში ტლაშა-ტლუში.

— ვარინკაჯან, გენაცვალე, ნება მემეცი პატარა ხანს შემოვიდე შენთან... უთხრა კაცმა ქალსა.

— არა, ჩემო სულს კლიტე, არ შეიძლება!.. ჩემი ქმარი ეხლა შინ იქნება... უპასუხა დედაკაცმა.

— შენი ქმარი ვინა გდია?.. ქმარი მე ვარ!.. მაგრამ რა გაეწყობა?.. ბედს უნდა და დავემორჩილოთ... ერთი რამე კი მინდა და გკითხო და ტყუილი არა თქვარა, სულს არ დაუძიმო... მერამდენე ვარ მე?

— არ დამითვლია!.. გინდა, ერთად ვიანგარიშოთ. თანახმა ხარ?.. ძალიან კარგი. მე ვიტყვი და რამდენიცა ვთქვა, იმდენი შენ თითი მოკაკე. დავიწყეთ!.. ერი თავადიშვილი... სქელი, დაბალი; თავმოკრილ ღორსა ჰგავდა.

— ეს ერთი!.. დაიძახა კაცმა.

— ხუთი აზნაური, გაისმა ხელახლა ქალის ხმა... ყველა ესენი ჩემი ძვირფასი მეუღლის გულითადი მეგობრები ბძანდებოდნენ...

— ეს ექვსი! დაიძახა კაცმა... შენა, ვარინკა, როგორც გატყობ, კეთილშობილები ძიელა გყვარებია... იცი? მეც თითქმის აზნაური ვარ... ანუ უკეთ რომ ვთქვათ—მამიებელი აზნაურშვილობისა.

— ერთი ბერი!.. კვალად წარმოსთქვა ქალმა.— იმაზე სულმდაბალი, საძაგელი ადამიანი ჩემ სიცოცხლეში მეორე აღარ მინახავს.

— ეს შვიდი!.. დაიძახა კაცმა .. იცი, ვარინკაჯან, შენ ჩემზე ყოჩალი ხარ!.. მოლოზანი არც ერთი არ მყოლია ჯერა..

— ერთი პრისტავი და ორიც კანცერლარიის მწერლები...

— ეს რვა, ცხრა და ათი...

— მეთერთმეტე შენა ხარ, ჩემო ანგელოზების უსტაბაშო...

— ჰო, არა უშავსრა!.. მეოცეს მეთერთმეტე სჯობიან...

აბა, ახლა შენ მრჰყე აღსარებასა... ხომ იცი, ბერი. მყვარობდა და იმისი მადლი გამოსულია ჩემზედაც... სთქვა ქალმა.

— დიდის სიამოვნებით, ჩემო უმანკოების თაიგულო, მაგრამ შენებურათ სათითაოდ ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელია. იმდენი თმა არ მექნება თავზე, რამდენიც მე საყვარლები მყოლია. ვგონებ ის უფრო სამჯობინო იქნება, რომ მრავალზე უმრავლესიდან ცოტა რამ, მაგრამ საყურადღებო მოგახსენო.

— ძალიან კარგი!.. თანახმა ვარ... მოჰყე!

— მყამდა ერთი დაახლოვებული მეგობარი. გავიციანი ერთი ჩვენი საკბილო,

ლამაზი ახალგაზდა ქალი... ორივეს ერთნაირად გვეარშიყებოდა... ორივენი გადაგვრია, ერთმანეთის დაუძინებელ მტრებათ გადაგვაქცია. ერთ დღეს უბრალო რალაზნად მოგვივიდა ჩხუბი... ბევრი ვზილეთ ერთმანეთი და, რაკი მუშტებით ვერა გავაწყეთ რა, მივიშველიეთ კბილები. მე ცხვირი მოვაქამე, იმან ყური.

— ხა, ხა, ხა!.. აი, შე ეშმაკო, შენა!.. წყლან რო ქალები დაარწმუნე—ომიანობის დროს ზარბაზანი მამხვდა და იმან მამგლიჯა ყურიო...

— მერე?.. რათ დაიჯერეთ?... თუ არ ქალი, სხვა ვინ დაიჯერებდა ემაგისთანა სოსულელეს?... იალბუზი ხომ არ იყო ჩემი თავი, რომ ზარბაზნის ტყვია მამხვედროდა და მარტო ნახევარ ყური მოვგლიჯა?..

— ჰო, კარგი... გააძგელე აღსარება.

— მამასწრო დედამთილმა რძალზე თუ ცოცხალია, დემერთმა აღდგერძელოს, და თუ მკვდარი, უფალმა აცხონოს. მე ზედაც არ შემომხვდა. ეტერა რძალსა და დაითრია თმებითა... შემეცოდა. წამოუდგე დედამთილს ფეხი და წავაქციე... დააჯდა ახლა ზემოდან რძალი. სწორეთ ამ დროს გილო კარი და ოჯახის უფროსი კი შემომძანდა. ჯერ მაჩხუბრებს დაცქერდა, მერე მე შემომხვდა... მწარეთ გაიღმა და გამბრახებით წარმოსთქვა:

— თქვე წყელ-შქვენებულეგო, თქვენგან არც დღე და არც ღამე მოსვენება არა მაქვს!.. ახლა მ პატიოსან სტუწართანაც ვერ შეგკავებიათ თავი: დასძგერებისართ ერთანესა და თავზე ლაფს მასხამთ მე უბეურსა. იქვე კვლიდან ჩამოილო მათრხი და გამეტებით უწყოცემა ხან ერთსა და ხან მეორესა; ხან დედასა და ხან ცოლსა.

რალა თქმა უნდ... პატიოსანმა სტუმარ-

მა ისარგებლა ამ ალიაქოთით, გამოძვრა სახლიდან და მოძურწა.

— ხა, ხა, ხა!.. სწორეთ ჭკუის კოლოფი ყოფილა!.. როგორ მიხვედრილა? რა პატიოსანი სტუმარი სწვევია?..

— მამასწრო ქმარმა ცოლზე. თურმე წინათ ქალადღი შეეტანა სასამართლოში: ცოლი მღალატობს და გამაქორწინეთო. მაგრამ სასამართლოს უარი ეთქვა, რადგან საბუთი ვერ წარედგინარა. მამასწრო და ისე მოგვეპარა, ისე უცებ შეგვეკრა თოკითა, რომ მცირეოდენი განძრევაც კი ვეღარ მოვახერხებთ. აგვიკლა მერე კურტნიან მუშასა, წაგვიღო სასამართლოში და სუდიების წინ დაგვდო: ესეც თქვენნი საბუთითო...

— უიმეე!.. დაიძახა ქალმა შეშინებულის ხმით... თუ ჩემმა ქმარმა მოგვასწრო, სწორეთ ვერ გვიზამს ჩვენცა...

— შენ ნუ გეშინიან, სულიკოჯან!.. შენი ქმარი მე ვერ მამერევა... ისეთ დავაკერებ, რომ მეორე აღარ მოუწდეს.

— მამასწრო მამამ ქალიშვილზე...

— აღარ მინდა, აღარ!.. დაიძახა ქალმა და სიჩქარით გაჰქანდა კიბისკენ. კაცი გამოუდგა, დაიჭირა და დაეკითხა:

— მითხარი, გენაცვალე, როდის მოვიღე?.. ხვალ დილით?

— არა, ზეგ დილით ემჯობინება.

ქალი ავიდა კიბეზე. კაცი გავიდა ქუჩაში. ქული მოიხადა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და წელწელა გასწია ქვემოთკენ... თანაც დაბალის ხმით დიღინებდა.

აბესალომ და ეთურ, ღმერთა შეპყარა ერთფერი...
გადვეკიდეთ ერთმანერთსა...
ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.

VIII.

იმდამეს მამლის ყვილისას დავწყეით, ამისგამო მეორე დღეს ადგომა დავგივიანდა. მზე კაი ხნის ამოსული იყო, როცა მე თვალი გავახილე. როდესაც სრულიად გამოვერკვეი ძილიდან, შემოაქნებ რაღაც უსიამოვნო წიკვინი. საჩქაროზე ვიცანი აკაკუნეს წუხანდელი ხმა.

ჩემ დას მაგრა ჩაეკეტა კარები, იქვე ატუხულიყო და პაწია ჯუჯუტუნადან სულგანაბული გაიკვირებოდა კარზედა. ამდგარი რომ დამინახა, მომიხლოვდა და ხვეწნით მითხრა: სილოჯან, გენაცვალე, ნუ გავხვალ გარეთო. ფანჯარასთან მივედი და გავიხედე ეზოში. თითქმის შუა ადგილას დავინახე ჩემი პატარა სკამი, გამოვალე კარები და გავედი გარეთ. მთელი ქუჩა და ეზოს კარი საესე იყო მოსიერი ხალხითა. ჩემ დანახვაზე ერთი კი დაიგრილა ამ ხალხმა და იმავე წამს ხმა გაკმინდა. აკაკუნე ბალკონზე გადმოდგარყო და, სახე შეშლილი, წიოდა, კიოდა, უშვერის პირით იღანძვებოდა. წელწელა მივედი სკამთან, ავიღე და გამოვბრუნდი უკანა. აკაკუნემ უმატა ლანძღვა-გინებას: ჰაი, შე სოფლელო ტუტია, შენაო... როგორ გაბედე ჩემ სახლში შემოსვლა და ჩემი დედაკაცის ცემა; შე ძაღლო მამაძაღლო, შენაო!.. თუ ჩემი არ გითხარ, გული რით დავწვაო!.. ამბობს ქართული ანდაზა. აკაკუნემ რამდენჯერმე მიხსენა ნამუსი, სინიღისი... მაგრამ არცკი მიმიხედნია იმისკენ. უკან გაბრუნებული რომ დამინახა, გაგულისდა უბედური... ჩამოიბრინა კიბე და, მშიშარა ოთხფეხივით, გამომიდგა უკანა. შევედი თუ არა სახლში, შემომყვა ისიც და მაშინათვე გაცოფებული მეძვარა ხელი ვკარი და ტანტზე გადავაგორე. მო

სიერე ხალხისა მეშინოდა: კარებთან მივირბინე და ჩავკეტე. აკაკუნე წამოიქრა ფეხზე და უფრო მეტის ღონით მეცა. ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, მალე მეიძას ჩავაწყვეტინე უმსგავსი ხმა. გაწრიოკებულ კისერში დავტაცე ხელი და ოთხად მოკაკული ამოვიღე ქვეშა.

— ოი, შენი გამჩენის ქირიმე, სიღონია, შენი!.. უცებ დაიძაბა აღელვებულის ხმით ბიძა-ჩემმა; წამოვარდა ფეხზე და წიხლებისა და მუშტების ქნევით იწყო ღრიალი: დაჰკა, დაჰკა, მაგ უნამუსოსა.. აი ვენაცვალე მაგ მადლიან მარჯვენასა!. კბილებში, კბილებში ჩაჰკა, ტუჩები ჩააჩეჩქვე, ენა ამოაძრე მაგ საღავათ ძაღლსა, მაგ ოჯახის შემარცხვენელსა მავასა!..

სიღონია იღიმებოდა. მე გულიანათ გხარხარებდი და სიამოვნების აღტაცებით შევეცქეროდი ბიძი-ჩემის განრისხებულ სახესა და წმინდა, უმანკო სინიდისის პატიოსნურ გულისწყრომასა. პატარა ხანს უკან ანდრია დამშვილდა, თავის ალაგას დაჯდა და წყნარად წარმოსთქვა:

— ემეგისთანა დედაკაცს ძველ დროში ვირზე პირუკულმა შესვამდნენ, სოფელ-სოფელ ჩამოატარებდნენ და მერმე სოფლის განაპირას თავზე ლაფს დაასხამდნენ ხოლმე.

— ამისთანა შემთხვევა, იწყო კვალად სიღონიამ, — ვგონებ თავის დღეში არ ეწვნია უბადრუკ აკაკუნესა. საშინლად შეშინდა, ზაფრანის ფერი დაედო სახეზედა. მამიბრუნდა და ხვეწნით მითხრა:

— ნუ მამკლავ, ნუ — შენი ღვთის გულისთვისაო!..

— აი, დედა ღვთისა გაგიწყრეს შენ, რა კიი ნამუსის ქალი შენა ყოფილხარ მეთქი. უთხარი გაჯავრებით. რათა დალატობ, შე უნამუსო, შენ პატიოსან

ქმარსა?.. რათ ღუპავ შენ საცოდავ მარგალიტ შვილებსა?.. მერე ვიზე სცვლი, ვიზე შენ ქმარსა?.. აიმ საზიზზარ საღახანზე, რომელიც წუხელის საკუთარი პირით გიანბობდა თავის ათსგვარ უბედურობასა?.. განა იმას სოლომანის ფეხთა მტვერიც კი არა სჯობიან?..

— ღვთის მშობელ დედასა ვფიცამ, მითხრა ამაზე აკაკუნემა, — ოლოც ეხლა წუთისოფელს ნუ გამომასალმებ და გაძლევ პატიოსან სიტყვასა, რომ ამის შემდეგ ისე მოვიქცევი, როგორც ევადრებათ ჩემ ქმარსა და შვილებსა.

ამ სიტყვებმა და მომეჩებულად იმისმა საბრალო მდგომარეობამ გული მომიბრუნა, შემეცოდა... მივედი, წყალი დავაღვივინე. მერე ტახტზე ჩამოვსვარე, პირი სველი პირსახოცით მოეწმინდე, თმა და ტანისამოსი გაეფსწორე... სახეც დაუმშვიდდა, ფერიც მოუვიდა... ის წყელი მოწყვეტილ ვარსკვლავს დაემსგავსა. უცქეროდი და თვალს ვერარ ვამორებდი... თან ესიამოვნებდი ამ სიკეკლუტის ცქერით და თანაც გაცხებულნი ვამბობდი ჩემს გულში: დაილოცა ღმერთო, შენი სამარათალი!.. ამ მშენიერ სხეულს რათ არ ჩაუდგი თავის შესაფერი სულიცა?.. ღორს რომ ხობხის სიღამაზე ჰქანდეს, განა უსამართლოება არ იქნება?.. აკაკუნე ფეხზე წამოდგა: სჩანდა რომ წასვლა უნდოდა. ხელი ჩამოვართი და უთხარი:

— ეცადე, შვილო, ეცადე, რომ როგორმე მოიშალო შენ ეხლანდელი ჩვეულებანი... ერთ ორიოდ დღეს რო მოითმინო და არსად წახვიდე, მერე ღმერთი გიშველის და იქნება შენ თითონაც აღარ მოინდომო აქა-იქა უსაქმო ხეტიალი. საცა უნდა წახვიდე, რაც უნდა ნახო შენ მარგალიტ შვილებზე, უკეთეს რას ნა-

ხამი?.. ცოდონი არიან, შვილო, საწყალი ბავშვები: მთელი დღე მარტოკანი ჰყრიან!. მაგათ რომ დაემართათ რაშე, ღეთისა და კაცის წინაშე ვინ იქნება პასუხის მგებელი?.. კიდევ რაღაებცი მინდოდა მეთქვა, მაგრამ უცაბედათ თავი ავიღე მალა და დავინახე სახე აკაკუნესი. ამ ლამაზ სახეზე სრული უყურადღებობა უგრძობობა, იყო გადაფენილი... სიტყვა შუაზე გაფწყვიტე, კარები გაუღე და უთხარ:

— წადი, წადი?.. როგორც გატყობ მე და შენ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ მეთქი.

აკაკუნე წავიდა... მე ძალაუნებურად გამეცინა. ჩემმა დამ გაიგონა ეს სიცილი და მკითხა: რას იცინიო?..

— ჩემ თავზე მეცინება მეთქი, უპასუხე მე, — წედან რომ აკაკუნეს ველაპარაკებოდი, ეკვი არ უნდა, იმ სულელ ღვდღლსა ვბაძამდი, რომელიც მგლის თავზე სახარებასა კითხულობდა...

— სწორეთი!.. სწორეთი!.. სიცილით მიტხრა ჩემმა დამ, შენ იმას სახარებას უკითხამდი და იმას კი, დარწმუნებული ვარ ფიქრი გუგულ პეტროვიჩისაკენ მიაქანებდა...

— გუგულ პეტროვიჩი რაღა ჯანაბაა? დავეკითხე ჩემ დასა...

— ეგრე ეძახიან, ქალო, იმ კაცსა, წუხელის რო აკაკუნეს ემასლაათებოდა...

— ჰო, მართლა!.. არ იცი, რა კაცია? საიდან მოთრეულა?.. ვკითხე მე.

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და კისერი!.. მიპასუხა დამ—საიდან; რა მეცოდინება... გაგონებთ კი ამ ჩვენი მეზობლებისაგან გამიგონა, რომ ეგ გუგულ პეტროვიჩი წინათ ვცაღც დიდკაცთან ყოფილა ლაქიათა. წარსულ ომიანობის დროს ემა აკაკუნესთანა ქალები შეუტ-

რებიან ოცამდე. წაუსხამს იქ, საცა ომიანობა იყო და უწმაწური ვაქრობით დიდალი ფული შეუქმენია. ახლა დადის ვერე სხვა და სხვა ქალაქებში... და სადაც კი მიდის, თან მიაქვს თავისი სიმურტლე და უნამუსობა. ეს ერთი წელიწადია რაც აქ მოეთრა და ვინ მოსთელის რამდენ ქალს მოხადა ღეჩაქი?.. რამდენი დამშვიდებული ოჯახი არიგ-დარია...

— სოლომანი იცნოას მაგ გუგულ პეტროვიჩს?..

— როგორ არა? სოლომანი უეშმაკო, გულმართალი კაცია... შემოებარა ეგ წყეული და კაი ხანს თავისუფლად დაიარებოდა იმის ოჯახში... მერე კი შეუტყო ძაღლობა და სახლიდან გამოავლო... „თუ კიდევ ფეხი შემოვიღვამს ჩემ სახლში, ავით გათავებდა ჩვენი ერთმანეთთან შეხვედრაო... გადმოსძახა ბაღკონიდან. მაგრამ რა გამოვიდა?.. გაიგულებს თუ არა სოლომანს სამსახურში, ოს იმავე წამს აქ დაერქობა ხოლმე.

IX.

მეორე დღეს მზე კარგა ზემოთ იყო ამოსული, როდესაც მე კარზე გამოვედი. სოლომანი იმ დროს, რაღა თქმა უნდა, შინ აღარ იქნებოდა. მისი ბავშვები და დედაკაცი ძირს ეზოში ჩამოსულიყვნენ. ბავშვებმა რო დამინახეს, მაშინვე ჩემსკენ გამოიქცნენ. დედა ავით არის და ძირს მამოგვგზავნა: არ შემაწუხოთო, მიტხრეს მათ, როცა მოვიდნენ ჩემთანა. მამაგონდა იმდამინდელი პირობის დაღება ორი საზიზღარი ადამიანისა და მივხედი აკაკუნეს ავითმყოფობის მიზეზსა. გული ამევსო სიბრაზითა. მინდოდა რაიმე საშუალებით ეს ორი ავაზაკი არ მიმეშვა ერთმანეთთანა, მინდოდა უბედური ოჯახის პატიოსნების დაცვა. ფიქრობდი

და გზადაკვალი ამ ფიქრებისა ყოვილ ნა-
ბიჯზე შეხლართებოდა: საშუალებას ვე-
ლარაფერსა ვბოულობდი. ამ ფიქრებში
რომ ვიყავი, თავს წამოგვადგა თვით გუ-
გულ პეტროვიჩი. შევხედე და გამოაცხა-
მისმა გველივით აქრელებულმა სახემა.
თმა და წარბები ძველი ჭვარტლივით
უბზინავდნენ შავთა; უღვაწეები ჰქონდა
ქერა და წვერი კი ისეთი წითელი, რომ
ინით შეღებილი გგონებოდათ. ღრმად
ჩაცვნილი ჭროლა თვალები ურცხვი
გაბედულობით იტყირებოდნენ. მთლად
სახეზე საზიზღარი ლირფობა, სალახნო-
ბა ჰქონდათ აღბეჭდილი. მან თავი და-
მიკრა და ამაყად გასწია კიბისკენ.

— სოლომანი შინ არა ბძანდება... უთ-
ხარი მე.

— მართლა?.. ოჰ, დიდათ ეწუხვარს...
მიპასუხა მან... და მაშინათვე დაატანა:
მაგრამ არა უშავსრა!.. მის მეუღლეს მო-
ვახსენებ ჩემს საქმესა და მერე ის ქმარს
გადასცემს.

— მისი მეუღლე ავით არის და ლო-
გინში წვეს... უთხარი კვალად.

— აეთა?... გაკვირვებით წარმოსთქვა
მან... ძალიან კარგი!.. მე ქალების ექი-
მი განლაგარ, საჩქაროზე გაეკურნავ მას.
სთქვა ეს და ისეთის სისწრაფით გაჰქანდა
კიბისკენ, რომ ვეღარაფრის თქმა მო-
ვასწარი. გავცა ორიოდ წამი და უცებ
სოლომანმაც მოიბრინა. არ ვიცი დავი-
წყებოდა რამე სახლში, თუ ეყარაულა
თავის შემარცხვენილსათვის... შეუჩერებ-
ლივ დამიკრა ოდნავ თავი და აიბრინა
კიბე. წარმოვიდგინე რა ანბავიც დატ-
რიალდებოდა იმ მცირე ხანში იქა და
ამის გამო ბავშვები საჩქაროზე შევიყვანე
ჩემ დასთანა, მე უკანვე გამოვტრიალდი
და ის იყო გამოვიხურე კარები, როდენ-
საც მალლა ბალკონზე გაისმა ჯერ ოა-

დაცა ბრახუნი და მერმე სახლიდან გამო-
ვარდა უქულო, თმა გაბურძნული გუ-
გულ პეტროვიჩი. მას თან გამოჰყვა სიბ-
რაზისაგან სახე შეშლილი სოლომანი,
კიბის თავზე დაეწია, გამეტებით წამოჰ-
კრა კისერში და თავდაყირა დააგორა
კიბეზე. თითონაც მოსდევდა უკან და
წიხლის ცემით თავსა და პირს წითლად
უღებავდა. კაი ხან უტყუროდი ამ ამბავს
სიამოვნებით და მხოლოდ მაშინ ჩავერე
საქმეში, როცა შეენიშნე, რომ სოლომა-
ნი იმ ეამად სრულიად გონება დაკარგუ-
ლი იყო, შეიძლებოდა შემოჰკვდომოდა
ეს არა კაცი და ამის გამო პასუხის გე-
ბაში ჩავარდნილიყო: მივედი, ჩავდექი
შუაში, ხელი ხელს უტაცე სოლომანს
და ხმა მელლა უთხარი:

— კარგი, სოლომან, კარგი!.. ეყოფა
ამ ძალსა... არ შემოგაკედეს.

პირველ ხანში ვერა გაიგონარა. ხელი
გამაშვებინა და გაანჩხლებით გაიწია თა-
ვის მსხვერპლისაკენ. მაგრამ ეს უკანას-
კნელი უცებ სადღაც გაჰქრა. სოლომან-
მა ახლა კი მოიბრუნა გული, გატრიალ-
და უკან და ნელნელა ავიდა კიბეზე.
მეშინოდა: ვაი თუ ახლა ცოლი წაიგ-
დოს წიხლ ქვეშა და ანდერძი აუგოს
მეთქი. ამიტომ მიმავალ სოლომანს მეც
უკან დავედევნე. კარებში მას მოეგება
იუბკა გადაცმული ცოლი, მოხვია ორივე
ხელები კისერზე და ვითომდა სიყვარუ-
ლით, მიეკრა გულზედა... მაშინათვე გა-
მოვტრიალდი უკან.. მომავალს შემო-
მესმა აკაკუნეს სიტყვები: ეგ მამაძალი
უცებ შემომივარდა... ამ დროს ფეხის
ხმა შემომესმა და დაეყვირე: ვინა ხარ?
მიშველე. მეთქი. თურმე კი შენა ყოფი-
ლიყავ, ვენაცვალე შენ ჯანსა და ღონე-
სა... მოვდიოდი ქვემოთ და ბრახ მორე-
ულს მწარეთ მეცინებოდა; მოვდიოდი

და თანაც ჩემ გულში ვამბობდი: ნამუსზე ხელადებული დედაკაცი ნამდვილი ტარტაროზია!.. ხედამთ უტივინო აკაკუნეც კი როგორ უბამს თვალებსა მაგ უბედურ კაცსა შეთქი?.. ის იყო გადმოვდგი ეზოში ფეხი, როცა კიბის ქვეშიდან რალაც ფრუტუნი შემომესმა. აქ იყო ნავის ორმო... ჩავიხედე და სანტად კი დავრჩი!.. გუგულ პეტროვიჩი მოკუნტულიყო შიგა და ცხვირ-პირიდან მომდინარე სისხლს აფურთხებდა, იწმენდდა. ჩემ თვალწინ ამ დროს მხოლოდ უბედური ადამიანი იყო, გათელილი, მიწასთან გასწორებული... შემეცოდა. წყალი და პირსახოცი მიუტანე, თავპირი მოვაბანე. მერე ხელი ჩავავლე და ორმოდან ამოვათრიე ზემოთა. პატარა ხანს უკან ფეხზე წამოვდგა, გამტყვერიანებული ტანისამოსი გაიბერტყა და უქულოთ გავიდა ქუჩაში. იქ შესდგა, მძიმე თავის დაკვრით მადლობა გადამიხადა და ღიმილით წარმოსთქვა:

ფიქრი არ არის!.. გუგულ პეტროვიჩს ბევრი ამისთანაები გადახედია, მაგრამ გუგულ პეტროვიჩი კი ისევ გუგულ პეტროვიჩათ დარჩება!

— აი შეჩვენოს ღმერთმა, დიძახა აღშფოთებით ანდრია, — რა ადამიანი ყოფილა ეგ წყეული, ეგა!..

— ერთი კვირის შემდეგ — იწყო კვლად სიღონიამ, — ახალ ტანისამოსში გამოკიმული ეტლით ჩამოიარა ჩვენი ეზოს წინ. რო დამინახა, წამოვდგა, ქუდი მამიხადა და მომესალმა. მე ზიზლით შევაფურთხე. მაშ რა მექნა?.. ქუჩაში რომ შემხვედროდა სადმე და იქაც ესე საღამო მოეცა, ეს ხომ ჩემი თავზე ლაფის დასხმა იქნებოდა.

— ეხლა ნეტა სადა გდია?.. იკითხა

ანდრია. ცოცხალია ისევე, თუ ჩააძლულა ვინმე.

სიღონიას აღარ დავაცადე... მოვიხლონე ბიძიასთან გამოხუმრება და წარმოვთქვი:

— გაზეთებში წაიკითხე რომ ეგ წყეული გუგულ პეტროვიჩი ახლა თურმე სოფლებში დაწანწალავს.. ვილასაც უნახავს და გაუგია, რომ აქეთკენ, ამ ჩვენი სოფლებისკენ აპირებს თურმე წამოსვლასა.

ანდრია გველ ნაკბენივით წამოვარდა ფეხზე.

— აქეთკენ რა უნდა იმ გველის წიწილს, იმასა?.. ვის ეგულება ჩვენ სოფლებში თავის საკბილოსა? ოი, ნეტა ერთი მოეთრეს!.. ერთი ჩამივარდეს ხელში!.. ე მზი გულის მადლმა ისე მოგვკლამ, ისე გავაქრელებ იფნის სახრით, რო თავის გაჩენის დღე ვაწყევლიო... იმ დღეთის პირისაგან შეჩვენებულსა აქეთ რა ხელი აქვს?.. იქნება იმასა ჰგონია, რომ ამ ჩვენ სოფლებშიაც იპოვნის აკაკუნესთანა დედაკაცებსა?.. როგორ არა!.. მამა უცხოდა!.. აღელვებულმა, გაფთრებულმა ანდრია მთელი ათი-თხუთმეტი წამი იბობოქრა ამნაირათა, დორბლებსა ჰყრიდა, იწყევლებოდა, ილანძლებოდა. ძლიერ ძლივობისა დავამშვიდეთ. აუხსენი რომ ვეხუმრებოდი, მაგრამ ამის შემდეგაც კი ხანს მგელივით იბღვირებოდა აქეთ-იქით და მუშტ მოღვრებული უსიტყვით ემუქრებოდა. ვილასაცა.

X.

ასე და ამნაირად მიდიოდა ცხოვრება ამ საბრალო ოჯახისა დიდ შაფათაძე ქმარი დადიოდა სამსახურში და ცოლშვილის სარჩენად დიდ შრომასა და ჯაფას ეწეოდა. ცოლი კი, ჩვეულებრივ

უსაქმოდ ვეგდო, ხელს არაფერს ახლებდა, მთელ თავის სიცოცხლეს აქეთ-იქით ტუნტულში ატარებდა. თავისი გატყეპილი სატრაფო მალე ისევ დაიხსლოვა. მართალია ძველებურ კადნიერებას ახლა ვეღარ ბედავდნენ, მაგრამ სიმურტლე და საძაგლომა კი ისევ წინანდებურათ მოაწყეს. მოსამსახურებეც ისევ ძველ გზას ადგენენ: დილიდან საღამომდე ძრომლებივით ეყარნენ და ეძინათ. იყვნენ საცოდავთ, ღვთის ანაბარას, დატოვებული უბედური ბავშვები. თუ ვინმე მეზობელი მიხედავდა, ხომ კარგი, თუ არა-და, დადიოდნენ ქუჩებში მარტოდ-მარტოკანი. ვინ იცის, სად რას ხედავდნენ, სად რას გაიგონებდნენ! ხომ მოგვხსენებთ ქალაქური დუქან-ბაზრების ზნეობრივი სივაგლახე?.. და ამნაირად, დასაწყისშივე იწამლებოდა მათი ნორჩი სიცოცხლე, მათი სუსტი ბუნება!

დიდ შაფათ საღამოს სამი ბატკანი დაიკლა ჩვენ ეზოში. სოლომანის ბავშვები აქ იყვნენ თურმე იმ დროსა. მესამე ბატკანი რომ დააწვინეს, გიგო მივარდა ბიჭსა, დანა ხელიდამ გამოსტაცა და ბატკნის დაკვლა თითონ მოინდომა თურმე. ამ დროს კარზე გამოვედი და, როცა ეს ანბავი შევიტყე, გიგოს გაუჯავრდი, დანა წავართვი და სამივენი სახლში შევიყვანე. უმცროსი ბავშვები საქაროზე დამშვიდდნენ და დასხმულ ჩაის გემრიელად დაუწყეს სმა. გიგოს კი სახეზე მოუსვენრობა ეტყობოდა. ჩაისთვის ზედაც არ მიუხდენია. რაღაც ფიქრებში გართული ცალი თვალით ეზოში გაიციქრებოდა. უცებ ავიდა ტახტზე, თავისი ქუდი მუხლქვეშ ამოიღო, მარჯვენა ხელში ჩაის კოფი დაიჭირა და იწყო ხმარება მისი იმნაირად, როგორც ბიჭი ხმარობდა დანას, როცა ბატკნებს ყვლსა სჭრიდა. თანაც

მხიარულად გააბა ძახილი: ხიჩი, ხიჩი, ხიჩი... მორჩნენ ჩაის და ცოტაოდენი ტიკტიკის შემდეგ წავიდნენ სახლში. ნახევარ საათზე მეტი არ იქნებოდა გასული, რომ სოლომანმაც აიარა კიბე. შევიდა თუ არა სახლში, იმავე წამს შემოგვესმა მიღლიდან ჯერ რაღაც საზარელი ღრიალი და მერმე რიდასიც ბრახვანი. წამოვიტყე ფეხე და გავქანდი ზემოთ. გულმა კენეს დამიწყო: რაღაც უბედურობა იგრძნო... სრულებით აღარ მახსოვს, როგორ ავირბინე კიბე. ოთახის კარებთან მამეგება ეს ჩემი ანიკო მთლად გაფითრებული, თავზარ დაცემული. ერთი კი დაიძახა: მამა მამა... და გულშეწუხებული დამეშვა ხელეზე. დაუძახე ჩემ დას და იმას გადავეც ბავშვი. შევევარდი ოთახში და ის თქვენმა დამაწყევარმა დაინახოს, რაც მე მაშინ იქ დავინახე. ტახტის წინ ვეგდო მთლად სისხლში მოსვრილი. ყელ გამოქრილი პაწია სოფიკო, აქეთკენ კედლის ძირას ფანთხალეგება გიგო, ამათ შუაში იდგა სახე შეშლილი მათი უბედური მამა. პირველად სოფიკოს მივევარდი, მაგრამ იმავე წამს ვიგრძენ, რომ ამას აღარა ეშველებოდა-რა!.. დავაღვე ხელი გიგოს და ბალკონზე გამოვიტაცე. მალე მამეშველნენ მეზობლები, თითო ოროლა მედუქნეები. ბევრი სხვა და სხვა საშუალება ვიხმარეთ, მაგრამ ვერა გავაწყეთ რა. მთელი კეფა ასიებული ჰქონდა, ცხვირ-პირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა. ათიოდ წამის შემდეგ საცოდავი ბავშვი ხელიდამ გამოგვეცალა. მხოლოდ ახლა მობძანდა ექიმი. ამან ხელი წაავლო სოლომანს და გაუფრთხილებლივ გამოსწია. უბედური დამძალ ხესავით წამოიქცა და ზღართან გაიღო ფიცრებზე. ავწიეთ და მკვდარივით დავასვენეთ ტახტზედა. ისე იყო გაქიმული, გა-

შეშვებული, როგორც მკვლარი. მაჯა კი უსემდა, გულიც ფეთქავდა. სჩანდა, რომ ცოცხალი იყო, მაგრამ იმ გაშვებულ, გაქვავებულ მდგომარეობიდან კი კაი ხანს ვერავითარი საშუალებით ვერ გამოვიყვანეთ. შუალამისას მოეთრა აკაკუნე. მისი, ათასგვარ საძაგლობაში გაქსუებული გონება პირველად ვერაფერს მიხვდა. რეტიანივით დარბოდა ოთახებში, თითქო რალასაც ეძებსო. მერმე კი მოისაზრა უბადრუკმა ყველაფერი და იწყო საზარელი წივილ-კივილი. ასე წიოდა და კიოდა, სინამ გარდაცვალებულთა გვამები სახლში ესვენენ. როცა დაასაფლავეს, აკაკუნეც დასცხრა. მეორე დღეს გუგულ პეტროვიჩმა ეტლით ჩამოუარა, ჩაისვა აკაკუნე და წაიყვანა სადღაც ჯახრუ-ჯანაბასა.

— სოლომანი, სიდონია, სოლომანს რალა დემართა?.. ცოცხალია, თუ მოკვდა?.. იკითხა ანდრიამ.

— ნეტავი მამკვლარიყო ის ჩაქოლვილის შვილი, ისა?.. მიუგო სიდონიამ. ერთი კვირის შემდეგ მობრუნდა, მაგრამ ვაი იმ მობრუნებას? ფეხზე წამოდგა თუ არა, მაშინვე გიგო მოიკითხა. რაკი ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ მისი მოკითხვა, თითონ იწყო ძებნა შვილისა. ჯერ ოთა-

ხებში ეძება, მერე ბალკონზე გავიდა, ეზოში არც ერთი კუნქული არ დაუტოვებია გაუჩხრეკავად. შემდეგ ქუჩებში გავიდა, ქალაქის სხვა და სხვა უბნებში ეძებდა. ახლა ქალაქსაც აღარა სჯერდება თურმე. გამხდარ-გაყვითლებული, გელეთის გლახასავით აბრანძული, დადის მინდორ-ველად, სოფლიდან სოფლად და შემამარწუნებელის ხმით ეძახის თურმე თავის უბედურ შვილსა.

სიდონია გაჩუმდა. რამდენსამე ხანს მუნჯებით ვისხედით სამივენი. მზე უკვე საშუაღლეოთ დამჯდარიყო ცაზე და საშინელი სიცხის ლული დაეტრიალებინა ქვეყნიერებაზედა. ჩვენ ნაცნობ ყვავილებს ლამაზი სახე დასტკნობოდათ და კოპწია თავები მწუხარებით დაეკიდათ ძირსა. ბებერ მუხასაც სული გაენაბა; თვისი ტოტების რხევა შეეჩერებინა და წარბ შექმუხენით დაგვექეროდა ზემოდან მხოლოდ გამხმარ-შეყვითლებული ყანები არა სცხრებოდნენ: გამოფშუტულ თავთავებს დინჯად აქნევდნენ აქეთ-იქით, ნაღვლიანათ შრიალობდნენ და ამ გაბმული სევდიანი შრიალით თითქო თანაგრძნობას უცხადებდნენ სამი აღამიანის მწუხარებით საესე გულსა...

პ. ლ—ი.



ამიკანი

(ვუძღვნი სამშობლოს)

მხარეს ჯადო, გრძნება, თილისმა,
მხედრებ დაბეს გამოქვაბულში.
შემოეხვივნენ მძაფრ ქარიშხალად,
რათა ის ცეცხლი სიკრთო გულში,
რომელიც ალად გადაქცეული
დაქსწევს, დაჭბუკავს იმათს მურაღს ბუღეს,
ღმერთთან წაიფანს ადამიანსა,
წის შემოაცლის ამართულს ზღუდეს.
მაგრამ მტარავლი წინ ქედის მოხრასა
არა სჩვევია ამაჲ სული!..
იგი დარჩება შეურყეველ კლდეჲ,
სინამდვილეში უღვია სული.
გით კლდეზე ტალღა, მარად იმსხვრევა
მისზე დევების გრძნებულებანი
და აღინდულებად, აწიშებულად
მოდურს ისევ მისი სულის ებანი.
„აბა, შებრძოლნო, წინ, წინ, მომევიეთ!
მთლად გადავალხოთ მთები, ხეხეები!
თაფი მოგვეკეთოთ მავს გველეშაძსა,
გავანადგუროთ ბილწი დევები!
დავკლდეოთოთ ქსელი მათი ნახლართი,
ბუღეში მოგვკლათ მურალი თობა!
აბა მომევიეთ! წინ გაბედულათ!
მარა მოომენს, კმარა... გვეყოფა“!
და კიდევ იყო რომ ბრუდახვევით
გვირი ღოშოვით ზეზე ავარდა,
მეის ბორკილებმა იწვეს უღარუნი
და გულს წაგრაგნეს მშუგისა ფარდა.
არსად არ სჩანდა სხივი მნათობის,
მთებში გრიტალი მხოლოდ ღმუღდა
და აუ სულთ ღხენა გაშმაკებული
ქედის ნაზრადს ტალღებს ეხეთქებოდა.
ორკვლივ სუფევდა ბნელი უკუნი
და უღარუნობდა მხოლოდ ბორკილა,

მალო ღრმად მიწას ჩაჭკვეთილიყო
სისხლის ტრემლებით გადახანილი.
დაიმსხვრა გვირის ლაღი ოცნება,
თვალწინ უშლება ცივი საკანი,
ნამქრალს იმედსა გულში არ იწვევს,
არ აცხოველებს არა საკანი.
ხოლო ამ მწარე სინამდვილეშიც
ბუმბუკანი არ ეტემა სულთ,
შეჭბლვერის შავბნულს გარემობას
იმედებითა და სიკვდილით.
„ხელფეხს მიხუთავს მძიმე ბორკილი,
შეურყეველად ასვია მალო!
მაგრამ არ ვიტყვს მანც ტანჯულ გულს
შენის იმედით, ჰე, მომავლო!
რას მიზამს მე ეს გამოქვაბული,
კუბოსავით რომ გარს მახვევია?
გვირს შემთხვევითა ბევრი ვარქისი,
მაგრამ გვერდზე არ გადახვევია!
ის ბოღმა, გიკლი და ის ნადველი,
რომელთა ჩემ გულში შეადგინეს ზღვა,
სხვა გვარად დასცემს დევებს თავზე ზარს,
სხვს გვარი არის იმათი რისხვა!
იგი იქნება გამოუთქმელი
რისხვა ქუხილის, რისხვა ზეცისა...
ვურ გადაურჩება იმას სიტანსა
და სხვა ავსული მისი ბეწვისა!
ეს ცოდვის ორმო, ეს ბორკილები,
ეს ქარიშხალი ნანას რომ მიმდერს,
მე მაფოლადებს სულ სხვა ბრძოლასთვის,
რომ მტარავლი ბუღეს ავადენდუ მტკერს
რომ ტრემლით გებულ კოშკის ადგილას
სიმართლის ბაღი ავაგავილო,
და შივ ადუმართო ძეგლი დვთაების
სამედიკალიდრო და სამედიკალილო!

რომ ვით კლდეს ტალდა ზედ ემსხვრეოდეს
 მას საზიზღთ დევთა გრძნეულებანი
 და ღირსეულსა ხმებს გამოსცემდეს
 ადამიანის სულის ებანი.

შე მწამს, მტკიცედ მწამს, ვითარცა იგი,
 რომ დამეს მოსდევს თან გათენება,
 გაუნგრევ ირგვლივ ამართულ კედლებს,
 მთელი მწვერვალი გადმობრუნდება!

და ბორკილ-ფაჭკებს შემომსხვრეული
 ახლის აღმგები, ძველის დამქცევი,

თავისუფლად ვიფრენ ვით ქარი,
 ვერ შემიბეჭბა ვერც ერთი დევი!
 მაშინ დადგება ქვეყანაზედა
 დრო სანეტარი, დრო საამური!
 ადამიანი ამოისუნთქავს,
 მუედრო ექნება მას ნავთსადგური!

ის უკუნეთი და ის სიბრევე,
 ვით ფერფელი ვეღად განიფანტება
 და ამირანის—მხსნელის სახელი,
 როგორც ღვთაება განსპეტაკდება!..

ს. აბულაძე.

მუსიკა

მორბის,
 მოხტის
 ნაკადი მთის,
 მოლიკლიკებს
 ჩუხჩუხებს!—
 მდელოს, ყანას
 უმღერს ნანას,
 რწყავს,
 ცვარს ასხამს,
 ბუტბუტებს!

ბუღბუღი სტვენს,
 სიმს აუღერს,
 მღერს;
 მერცხალი ჰფრენს
 ქიკვიკებს!
 აგერ ვარდი,—
 ნორჩ-ნაზარდი
 ფშვენს,
 წოლკოტს ჩვენს
 ამშვენებს!

მთას უცინის
 ამ ღილის
 მზის
 სხივი.
 მძივი
 ცვარისა
 ჩაჰკინძვია ვერხვის ფოთარლს
 ეულს, ობოლს,
 ნაზ-ნარნარის,
 მშვიდის, წყნარის
 მხარისა!

მაღალ სერზე ლალ ირემსა
 მოუღერებია ყელი,
 ძირს გადაშლილს ნაზ ედემსა
 დასცქერს იგი, მხნე, მეტყველი...
 ...ჰფიქრობს, ჰფიქრობს და ჰგონია,
 რომ ეს არის ჰარმონია!..
 ღიახ! ღიახ! ჰარმონია!..

ლადო გვიგჷკორი.

1911 წ. ტფილისი.

ვინ მცეს ნუგეში?..

ტურფა ასული,
მშვენება სრული
ვიხილე ტბისა კიდეს მდგომარე,
ტრფობით ღელვილი,
ეშხით ტყვევნილი
მიუახლოვდი წრფელად მღიმარე.
და მოწიწებით,
კრძალვით რიდებით
მივესალამე სიტყვა მგზნებარე,
შენი დანახვა, უცხო ქალწულო,
გულ სევდიანსა ღხენით აღმავსებს,
ცის ნეტარება, ნაზ-ნარნარ-სრულო,
გიემაჟურათა თავს დამთამაშებს.

ახ, რათ არ ძალმიძს, რომ გიმღერდე ჰიმნს მუსიკთ უტკბესს,
ცისა ეთერში ვაქანდაკებდე შენთვის თხზულ ლექსებს.
ჩუ! ბუღბუღი ჰვენესს, მის გალობას ხმა ავაყოლე,
ავკინძე ჰანგი ნოტებათა და შენ გესროლე.

ისმინე ტურფავ,
ჩემო სულის ღმავ!

შენ ხარ შრიალი გაზაფხულის ხასხას ფოთოლთა,
ცქვიტი ნიავე შთის ქეჩოდან გადმოჰქროლილი,
შენა ხარ შუქი მოკიაფე მთიების ხომლთა
ლაჟვარდ წიაღზე გვირისტებად ამოქსოვილი.

შენ ხარ ოცნება, გრძნობის უფლის უმანკო გრძნება,
სიმბოლო სინაზ; სიფაქიზე, მშვენიერების.

შენ ხარ აკორდი საედემო ხმათ ფსალმუნება,
ზლაპარი, მითი საუკუნო ბედნიერების.

სარკვე სულისა ნება დამრთე გადვიტე ნისლად
ციურ ცვარ ნამად მოვეფრქვიო შენს ხუჭუქ დალადს,
ნება დამრთევი აღმოვცენდე შტო, მაღალ ისრად
ნელა შრიალით უალერსო შენს ნაზ ნატელფალს.

ჰაეროვანმა არ ისმინა ვედრება წმინდა,
უგულებელ ჰყო გულის ლოცვა მინაზებულნი.
ფრთები აიწყო, კისკისითა სხვაგან გაჰფრინდა
და მიმატოვა სიყვარულის ცეცხლ-მოდებულნი.

ვაი, დაგვარგე სულის სიმშვიდე,

ტურფა ბუნება აღარ მახარებს,

წინ ამფარვია წყვდიადის რინდე,

სასოწარკვეთა მაკენეს-მამწარებს.

ვინ მკეს ნუგეში კაეშანით გული დაცარულსა,

ვინ ამიყვავებს იმედებით ტრფობას დანთქმულსა!

ტანჯვისა წყაროდ შემექნა გული,

სული ობოლი ცრემლად იღვრება,

არ ყოფნის მხარე, ბნელი უფსკრული

ჩემ სულთქმის ქვიანის ბანს ეუბნება.

დ. თურდოსპირელი.

კივი.



ფსალმუნნი იერემიასაგან

(ძღვანდ მ. კ. ც—ს)

მდინარის პირად ბაბილონისა,
კრემლით მოვნამეთ ველთ ბიზიონი,
მწარედ ვსტიროდით ეჰმა გლოვისას,
რა მოვიგონეთ ბედკრულთ სიონი.
მის ძეწნთა ზედა გულამოსკენილთა
დაკიდეთ ჩვენნი საგალობელნი,
ბაგე დაღუმდა და ცრემლს ვაფრქვევდით
გულდახურულად ბედის მგმობელნი.
ჩვენი წარმტყვევნი გეთხოვდნენ ქებასა
და მტანჯველები ჰიშნა ცისასა:
გვივალობდეთო ტკბილითა ხმითა
საგალობელსა სიონისასა.
მაგრამ ვითარმე ვვალობდეთ ტყვენი
ვალობას ღვთისას ქვეყნად უცხოსა!
ვითარმე შესწყდეს კრემლი ჩვენ თვალთა,
ვითარ შეუღდეთ გზასა უღღვთოსა!..

თუ დაგივიწყო, იერუსალიმ,
შენც დავივიწყე ჩემი მარჯვენა
და, თუ ბედკრულმა არ მოგიგონო,
სასასა ჩემსა აექვინ ენა,
სამშობლოვ, შენი ხსენების მეტი
სხვა აღარ მექნეს შეება და ლხენა!
ღმერთო, განკიცხე დღე დაღუპვისა
და მოიხსენე ელმობის ძენი,
ვინცა უმუხთლა იერუსალიმს,
და წარუხოცა არსების დღენი.
ჰოი ასულო, ბაბილონისავე,
ნეტარ არიან ძლევა მოსილნი,
ვინცა მოგაგონ სამაგიერო
და მოგაყენონ ამ გვარი ქირნი,
დიდება იმათ და ნეტარება,
ვინც შეახეთქოს კლდეს შენი შვილნი!

ი. მჭედლიშვილი.



ჰიმნი ლოზიოსადმი

ქართველის მგოსნები კოცნაზე სწერენ,
მოსთქვამენ: სატრფოვ, ჰოი სოფიო!
შენ დაგივიწყეს პილპილ მოყრილო,
სწორუბოვარო, ჰოი ლობიო!

გაიძახიან: ვარდი, ბუღბუღი
და ია ლურჯი მჯობთა-მჯობიო!
შენ ჩუხჩუხებას პირი არიდეს
შენ გენაცვალე, ჰოი ლობიო!

აღვოკატები, პროფესორები
სწერენ ლექსებსა: მთვარეს ობიო!
შენს თლახთლახებას ყურს არ უგდებენ;
შენ გენაცვალე, ჰოი ლობიო!

ზოგი რად სტირის—თვითონ არ იცის,
ამბობს თუ სჩადის აგრე ზოგიო;
მან რომ უწყოდეს შენი ჩიფჩიფი—
შენც მოგბაძავდა, ჰოი ლობიო!

ჰნახე, პროზასაც არ კადრულობენ,
გვძლენეს თეთრი ლექსით სავსე გობიო;
სურნელოვანო, შენ რაღა გიყო,
ან რაში გკამო, ჰოი ლობიო!

ერთგვარ ჰანგებზე გაიძახიან
ვით მოლაღური: „მაღლა გოგო“;
ვიში ძმა-ბიჭები რარიგ აქებენ,
შენ გენაცვალე, ჰოი ლობიო!

ყველა, ცრუ, მავნე ჩვენში ლექსაობს,
რიფმას ზევიდგან დასცეს ლოდო;
შენი ჩუხჩუხი თუ არა სჯობდეს,
გამბერე, მომკალ, ჰოი ლობიო!

მთვარე, ბუღბუღი, კოცნა, ტუჩები,
პროზა ლექსებით სავსე გობიო—
ქართველის მგოსნები შორს ვერ წასულან
შენ გენაცვალე, ჰოი ლობიო!

მთელს წელიწადსა ასე გეტანჯავენ
კრიტიკი ამობს: დავიხჩობიო!
შენ კი მარხვაში მხოლოდ გვასიებ—
დიდება შენდა ჰოი, ლობიო!

და კიდევ სჯერათ: უკვლავ არიან
გენიოსებზედ უფრო მჯობიო;
მეტ სარგებლობას აქ ვინ იძლევა
შენ თუ ისინი, ჰოი ლობიო?!

გარდანქეშანი.



ბავშვთა მაისის კავშირები

ღგება გაზაფხული, ილიძეებს ბუნება; ფრინველები მალე შეუდგებიან ბუდეების კეთებას და ბარტყების ჩეკას. ჩვენში ძალიან უდიერად ეკიდებიან ფრინველებს, ნამეტნავად ბავშვები: ისინი ხოცავენ ჩიტებს, უშლიან ბუდეს, აცლიან კვერცხებს, უსხავენ ბარტყებს. აუარებელ ფრინველს აზარალებენ და ის კი არ ესმით, თუ რამდენად საზარალოა ეს ჩვენთვის. ფრინველები ჟღერენ აუარებელ ჭიანჭველას, რომელიც ადამიანის ნათესა და ყველა მცენარეულობას აუწერელ ზარალს აყენებებს. თუ ფრინველები არ იქნებოდნენ, ჩვენი ტყეები, ნათესები, ვენახები მწერებისაგან სულ გაოხრდებოდა. მწერები ისე მარდათ მრავლდებიან, რომ სულ ცოტა ხანში მოედებოდნენ ყველა ჩვენ ნაჭირნახულვე მცენარეულობას და ბრეს გააღდნენ. ფრინველები კი აი ამ მავნე მწერებით იკვებებიან, ჟღერენ მათ და ამით ჩვენთვის მოაქვთ აუწერელი სარგებლობა. ჩიტმა აუარებელი მწერი უნდა შესჭამოს, რომ გაძღეს, რადგანაც მწერები არც თუ ისე ნოყიერები არიან, რომ ჩიტი მალე გააძღონ; მართლაც ჩვენა ვხედავთ, რომ ფრინველები ჟღერენ აუარებელ მწერს. მაგ. პაწაწა ნიბლია ერთი წლის განმავლობაში ოთხ მილიონზედ მეტ სხვა და სხვა გვარ მავნე მწერს შეჭამს. ზაფხულის განმავლობაში ნიბლია ორჯელა სჩეკს ბარტყებს; თითოჯერ ექვსიდან თერთმეტ ბარტყამდე. ერთი საათის განმავლობაში დედამ-მამალი ნიბლიები ოცდა ათჯერ მიფრინდებიან ხილმე ბარტყებთან და მათთვის საჭმელი მოაქვთ. აბა გამოიანგარიშეთ ერთი ზაფ-

ხულის განმავლობაში რამდენ მწერს დაიჭერენ ისინი! გუგული საათში ასზედ მეტ მატლს უღებს ბოლოს. ღამურა, ბუ დაფრინავენ წყვილად ღამეში და ჟღერენ იმ მავნე მწერებს, რომელნიც ღამით გამოდიან. ერთი სიტყვით, ფრინველებს და აგრეთვე ქვემძრომთ, მაგ. ბაყაყს, ხელიკს, გველხოკერას და სხვ. პირდაპირ აუარებელი სარგებლობა მოაქვთ, და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მათ, როგორც ჩვენს მეგობრებს, მეარველობა გავუწიოთ; და განა ჩვენ ვუწევთ მეგობრობას ჩვენს მეგობარ ჩიტებს? ჩვენ იმათ მხოლოდ ვმტრობთ; ჩვენი ბავშვები ჩიტებსა ხოცავენ, უშლიან ბუდეებს, უსხმენ ბარტყებს, ერთი სიტყვით ჩიტებს მუსრს ავლებენ; მავნე მწერები კი მრავლდებიან, და ადამიანს მათთან ბრძოლა უჭირავება; ნათესები გვიფუჭდება, ვენახები გვიხმება, ხილი ჭიანჭდება; დრო არის, რომ ამ მოვლენას მივაქციოთ ყურადღება და ბავშვებს პატარაობიდანვე შთაუნერგოთ გულში ფრინველთა, პირუტყვთა და საზოგადოთ სასარგებლო ცხოველთა სიყვარული; ნამეტნავად კი ფრინველთა, რადგანაც ბავშვებისაგან ფრინველები უფრო მეტად არიან წამებულნი.

განათლებულ ქვეყნებში ღიდი ხანი იმიაქციეს ამას ყურადღება, და თითქმის ყოველივე სოფლის სკოლასთან დაარსეს ვერედ წოდებული ბავშვთა მაისის კავშირები, რომელთა მიზანიც არის სასარგებლო ფრინველთა და პირუტყვთა მეარველობა. თუმცა ამისთანა საზოგადოება პირველად დაარსდა ინგლისში 1868 წელს, მაგრამ სახელწოდება „მაისის კავ“

შირი“ და თავისებური ორგანიზაცია მიიღო მხოლოდ ამ ხუთმეტრიდ წლის წინად ფინლიანდიაში სახელ განთქმულ ფინურ ზღაპრების შემკრებ პროფ. ტოპელიუსისაგან.

ვაზაფხულის პირზედ ტოპელიუსი ზღაპრების შესაკრებად ერთ ფინების სოფელში მოხვდა. აქ მან შეამჩნია, რომ სოფლის ბავშვები მთელი დღე იმითი ირობენ თავს, რომ ჩიტებს ესვრიან ქვებს და ხოცვენ. ტოპელიუსმა აუხსნა ბავშვებს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩიტებს და უჩინა, რომ მათ აღარ დაეხოსათ ჩიტები; ამის გარდა ტოპელიუსმა აღუთქვა, რომ მომავალ კვირას იგი კიდევ უამბობს ჩიტებზედ ბევრ რამეებს და სთხოვა ბავშვებს მოსულიყვნენ სოფლის სკოლაში თავიანთ ამხანაგებთი. მართლაც კვირა დღეს სკოლაში თავი მოიყარეს მთელი სოფლის ბავშვებმა, დიდრონები ბევრი ერივნენ. ტოპელიუსის მოთხრობით ბავშვები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ტოპელიუსმა რამდენიმე კვირა კიდევ უამბო ბავშვებს ჩიტების სარგებლობაზედ. ტოპელიუსის ყურის საგდებლად მუდამ კვირა ბევრი ბავშვი დაიარებოდა. რავდენიმე ხნის შემდეგ ტოპელიუსის დაებადა აზრად, ბავშვებისაგან შეექმნა მუდმივი რაიმე ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იქნებოდა ფრინველების მფარველობა თვით ბავშვების მიერ. ეს აზრი ბავშვებს ძალიან მოეწონათ. მაშინ ტოპელიუსმა შეუდგინა ბავშვებს წესდება; თვით ბავშვების ორგანიზაციას კი უწოდა „ბავშვთა მაისის კავშირი“, რადგანაც ყოველივე ეს მოხდა მაისში.

დანიშნულ კვირას სკოლაში მოიყარეს ბავშვებმა თავი და აქ ტოპელიუსმა წაუკითხა მათ წესდება, რომელიც შესდგებოდა შვიდი მუხლისაგან.

1. ჩვენ გვსურს, რომ ვიყოთ კეთილნი და მოწყალენი. სხვათა ტანჯვით ჩვენ თავს არც როდის არ გავირობთ. ჩვენ არც როდის არ დავტანჯავთ არც ერთ ცოცხალ არსებას, რადგანაც ყოველივე ცხოველი შესაბრალოსია და მათი ტანჯვა კი ცოდოა.

2. ყოველივე უმწეო ცხოველს დავიფარავთ, არავის არ დავატანჯვინებთ და არ დავაჩაგვრიებთ მათ.

3. ფრინველებს არც როდის არ დავჩაგრავთ: არ ვესვრიოთ მათ ქვეებს, არ დავხოცავთ, არ დაუშლით ბუდეს, არ ამოუღხამთ ბარტყებს, არ ამოვაცლით კვერცხებს.

4. ზამთარში ფრინველებს დაუყრიოთ საკენკს და ყინვების დროს გადავარჩინთ გაყინვისაგან.

5. ჩვენ არასოდეს არ დავიპყერთ ჩიტებს, არც აკანათით, არც ძუით და არც სხვა გვარი მახით. ჩიტებს არ დავამწყვდევთ გალიაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი გალიაშივე დაიბადნენ და არ შეუძლიანთ იცხოვრონ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალ ჰაერზედ.

6. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავანთავისუფლებთ გალიაში დამწყვდეულ ჩიტებს. ჩვენ გამოვისყიდით დაქერილ ჩიტებს რავდენადაც გვექნება ამის სახსარი, და გაუშვებთ მათ.

7. ფრინველების და ცხოველების ტანჯვას და დაჩაგვრას მუდამ წინ ვაღაველობებით. როცა დავინახათ საწყალ ჩიტების ან ცხოველების ტანჯვას ჩვენ ყოველივე საშუალებას ვიხმართ, რომ განვანთავისუფლოთ ისინი ტანჯვისაგან: შევეხვეწებით, დავარიგებთ, რომ არა სტანჯონ საწყალი ფრინველები და ცხოველები.

ყოველსავე ამას აღვსთქვამთ ჩვენ ლე-

თის წინაშე. ესდებთ პირობას, რომ ყოველსავე ამას აღვასრულებთ, რადგანაც ფრინველები დამცველები არიან ჩვენის ქირანახულისა და დამტკობი ჩვენის სმენისა.

წესდების წაკითხვის შემდეგ თითქმის სუყველა ბავშვები ჩაეწერნენ კავშირში. მათ ამოირჩიეს გამგეობა, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია კავშირისთვის. ამის გარდა ბავშვებმა გადასწყვიტეს დრო გამოშვებით შეკრებილიყვნენ და განეხილათ ამხანაგების მოქმედება: ვინ რამდენი ჩიტი გადაარჩინა, ხომ ვინმე ამხანაგთაგანი არ მოეპყრო ცხოველებს ან ფრინველებს უდიერად და სხვა.

ამის შემდეგ ფილიანდიის თითქმის ყოველსავე სოფელსა და ქალაქში დაარსდა ამგვარივე ბავშვთა მაისის კავშირები. კავშირებმა ბევრი სარგებლობა მოიტანეს. მათ ძალიან ბევრი ფრთოსანი გადაარჩინეს დალუპვისაგან. კავშირებმა ზამთარში ჩიტებს გაუმართეს „სასადილოები“, ე. ი. ალაგ-ალაგ მოაწყვეს გადმოფარებული საკენკის დასაყრელი ფიცრები, გაზაფხულზედ კი გაუმართეს საბუდეები*). კავშირების წყალობით ბავშვებმა შეიყვარეს ჩიტები და ცხოველები, გაეცნენ მათ ცხოვრებას. ერთის სიტყვით მაისის კავშირებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ.

რავდენიმე ხნის შემდეგ ფილიანდიიდან რუსეთშიაც გადმოიტანეს აზრი მაისის კავშირების დაარსებისა. პირველად ამისთანა კავშირი დაარსდა ერთი მემამულის თაოსნობით. ბავშვებს ძალიან მოეწონათ აზრი კავშირის დაარსებისა და დასდეს პირობა, რომ ისინი მეგობრები

*) როგორც ჩიტების სასადილოზედ, აგრეთვე საბუდეზედ ეურნალ „ნაკადულში“ ვაგზავნიან შესაფერ წერილებს.

იქმნებიან ჩიტებისა და ცხოველებისა. მათთვის შემუშავებული წესდება ცოტათი განსხვავდებოდა ტოპელიუსის მიერ შედგენილ წესდებისაგან. ბავშვებმა ამოირჩიეს გამგეობა და გადასწყვიტეს შეკრებილიყვნენ ყოველ თვეში პირველ კვირა დღეს: და სხვა სოფლებშიაც გაეცრელებინათ ხმები მაისის კავშირის სარგებლობაზედ. ამ მაისის კავშირის ყველა წევრებს დაუროგეს ლითონის ნიშნები, რომელზედაც გამოსახული იყო მგრიანი მერცხალი, და ეს ნიშანი დღეს გადაიქცა საზოგადო ნიშნად მაისის კავშირებისა.

მაისის კავშირების გავრცელებას ხელი შეუწყო საყმაწვილო ჟურნალ „Вздушевное слово“-ს რედაქციამ, რომელმაც თავის თავზედ იღვა დაარსება ახალი კავშირებისა და ყველა კავშირების გაერთიანება. მან ჟურნალში ალაგი დაუთმო ბავშვთა წერილებს მაისის კავშირების შესახებ.

სკოლებმაც მიაქციეს ყურადღება მაისის კავშირების დაარსებას; მათ მოსთხოვეს ბავშვებს ფიცი, რომ ისინი ჩიტებს არას დაუშავებდნენ, ამის გარდა ბავშვებს ხელი უნდა მოეწერათ პირობაზედ, მაგრამ ზოგიერთი პედაგოგი წინააღმდეგ ამისთანა მოთხოვნას, რადგან ბავშვებისაგან ხელწერილის მოთხოვნა არა პედაგოგიურ ზომად იქნა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბავშვების მიერ ხელმოწერილ პირობას არაფერი ფასი არა აქვს, საჭიროა სკოლაში ისე დავაყენოთ ბუნების მეტყველება, რომ ფრინველთა და ცხოველთა სიყვარული და სიბრალული თავის თავად ჩავსახოთ ბავშვებს გულში.

ასე არის საქმე რუსეთში. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, რასაკვირველია, იქ უფრო უკეთ არის საქმე დაყენებულია

რადგანაც ბავშვები სხვა ქვეყნებში თითქმის ყველანი სკოლაში სწავლობენ და აღვილია მათი შეკავშირება. მაგრამ ბავშვების უსწავლელობამ მაინც არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც თითონ ბუნებით ბავშვი უფრო მგრძნობარება, ის ერთი მოთხრობის შემდეგ შეიგნებს და იგრძნობს, რომ ფრინველები და ცხოველები უნდა გვებრალებოდეს და უნდა ვიცავდეთ მათ ყოველისავე ტანჯვისაგან. თუ ჩვენი ბავშვები ახლა ესე სასტიკად ეკიდებიან ცხოველებს, ეს იმის ბრალია, რომ ბავშვები არ დაჰკვირვებიან, თუ რამოდენა ტანჯვას აყენებენ ისინი ცხოველებს. საჭიროა ერთხელ მაინც ჩავაფიქროთ ბავშვი ამას, და იგი გადაიქცევა ფრინველთა და ცხოველთა პირველ მეგობრად.

საჭიროა ჩვენმა მასწავლებლებმაც გამოიღონ თავი და თუ მაისის კავშირებს ვერ შექმნიან, აუხსნან მაინც ბავშვებს, თუ რამდენი სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის ფრინველებს და ზოგიერთ ცხოველებს (ზღარზბს, თხუნელას, ბაყაყს, ხელიკს, გველხოკერას და სხვ.) და ბავშვებს გაუღვიძონ გრძნობა მათდამი სიყვარულისა.

ახლა დგება გაზაფხული, ბავშვებმა ახლაც იციან ჩიტების ბუდეების ჩამოშლა; კერძების ამოღება, ბარტყების ამოსხმა, დროა მასწავლებელნი ეხლავე შეუდგნენ ბავშვების დარიგებას, აუხსნან მათ ფრინველებისა და ცხოველების მნიშვნელობა; შთაუნერგონ სიყვარული და სიბრალული მათდამი. უამბონ მათ, თუ როგორ ეპყრობიან ფრინველებს სხვა ქვეყნის ბავშვები, და დარბუნებულნი ვარ, მასწავლებლის შრომა უბრალოდ არ ჩაივლის. „დედა-ენასა“ და „ბუნების კარში“ მასწავლებელი ზევრ მასალას პოვის. თუნდა რათა ღირს ეს ხალხური ლექსი:

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი“

და განა მარტო ტოროლასა სიყვარული? მერცხალი, შელურა, ბუ, ქოტი და სხვა ათასი ფრთოსანი, სულ ყველანი აღამიანის პირველი მეგობრები არიან და, ცოდოა, ცოდო მათდამი მტრობა. დროა ჩვენს ბავშვებსაც ეს შევავნებინოთ.

გიორგი ბურჭულაძე.

შინაური მიმოხილვა

თაღა და სოფრონი შენგუქიას საქმე

ბევრი რამ ავკარგი გავვიგონია სახალხო სკოლების შესახებ, მაგრამ ისეთი სიადვილე, ისეთი ზნეობით დაცემა და შუბლგადარეცხილობა, რაც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის ერთი სოფლის მასწავლებელს, ჯერ ჯერობით ამის მეტი არ გვსმენია და დღემთმა ნურც შემდეგში გავვიგონოს. გაზეთი „კოლხიდა“ (№ 39) ერთს

საოცარ ამბავს გადმოგვცემს „მასწავლებელთა საკურადლებით“. სწორედ მოგახსენოთ ეს საკვირველი ამბავი, გაზეთში გამოქვეყნებული ერთის თვის წინაჲ მოგონილი გვეგონა, ველოდით პასუხს და თავის მართლებას, მაგრამ მოპასუხე ჯერჯერობით სდუმს და, გვეგონია, არც უნდაჰქონდეს რამ სათქმელი თავის გასამართ-

ლებლად. რა ამბავიაო? — იკითხავს მკითხველი. მოგახსენებთ. ზუგდიდის მაზრაში, ერთი მთის შირას გაშენებულია სოფელი ქოლა. ამ სოფლის მცხოვრებნი ძლიერ მონატრულნი არიან სწავლა-განათლებლას; დაუარსებიათ სამინისტრო სკოლა. წარსულ წლებში აუგიათ სკოლის შენობა 7000 მანეთად ღირებული. სასწავლებლის ზედამხედველი ყოფილა ვილაყ თადა შენგელია. ამ სასწავლებლის საპატიო მეთვალყურედ ყოფილა სოფრონი შენგელია. როცა სასწავლებლის შენობას იჯარით აძლევდენ, ბ-ნს ზედამხედველს სხვა და სხვა ხრკები უხმარია, სკოლის შენობის აგებისათვის თვითონ მიუყვია ხელი, რომ ერთი ორი ათასი მანეთი თვითონ ეგდო ჯიბეში, საჩქაროდ აეშენებინა როგორც იქნებოდა და შემდეგ თუნდ მეორე დღეს დანგრეულიყო“. ამის წინააღმდეგი გამხდარა სკოლის საპატიო მეთვალყურე სოფრონი შენგელია, რომელსაც იაფად არ დაჯდომია ეს გამოსარჩლება საზოგადო საქმისადმი. თადა შენგელია მოინდოებებს თავისი მოწინააღმდეგის სოფრონი შენგელიას თვიდან მოშორებას, დაკარგვას, დაციმბირებას, რომ „კატორღაში“ უკრას თავი, ცილსა სწამებს, ვითომ სოფრონი შენგელია 1905—1906 წლების მოძრაობის მეთაური ყოფილიყოს, აგრეთვე მთელი სამეგრელოს კომიტეტის წევრი, რამდენიმე კაცის მკვლელობა ჩაედინოს, წირვის დროს მღვდელთან მიხლდიყოს, აეკრძალოს მოხსენება მიცვალებულთა და წინადადება მიეცეს მოიხსენიოს მოძრაობის მეთაური და სხვ. და სხვ. ამგვარი დაბნელების და ცილის წამების ქაღალდი სოფრონი შენგელიას წინააღმდეგ სოფელ ქოლის განმანათლებელს თადე შენგელიას თავისი ძმის სა-

ხელით მიუცია გუბერნიის უფროსისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს მაზრის უფროსისათვის გადაუცია; მაზრის უფროსსაც განკარგულება მოუხდენია, სოფრონი შენგელია დაუქერიათ, სატუსალოში გაუგზავნიათ და საქმის გამოძიება თანადარმთა სასამართლოსათვის გადაუცია. ამ საქმის სერიოზული გამოძიება მომხდარა დ. ზუგდიდში. გამოძიებას ნათლად გამოურკვევია, რომ თადე შენგელიას განგებ მოუწერინებია თავის ძმისათვის საჩივარზე ხელი, თორემ ამ საგმირო საქმის მეთაური თვითონ ყოფილა; გამოძიებას დაუმტკიცებია ისიც, რომ მას შეუთხზავს ეს დანაშაულობა თავისი საქუთარ ინტერესის გამო, რომ ფულები თვითონ ჩაეჯიბა და ამას კი უშლიდა სკოლის საპატიო მეთვალყურე. სოფრონი შენგელია გამოძიებამ ყველაფერში გაამართლა, იგი თავის მოწინააღმდეგეებს პასუხს აგებინებს, მაგრამ მას ეს საშუალება მცირე სასჯელად მიაჩნია და სთხოვს მასწავლებლებს თავისი კოლეგა თადე შენგელია თვითონ გაასამართლონ, და დასდვან შესჯავრი თუ რამდენად შეუძლია ასეთს მასწავლებელს ბავშვების განვითარება ზნეობრივად ღკონებრივად არა გავლენა ექნება ასეთს პირს თვით სოფელელებზეო. ბ-ნ სოფრონი შენგელიას მიმართვას მასწავლებლებისადმი დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებლები ჩვენში, რომელთაც ერთი საზოგადო საქმე აბარიათ, ერთის აზრით გამსჭვალულ კარპორაციას უნდა წარმოადგენდეს. ყველა უნდა ცდილობდეს საზოგადო საქმის წარმართვას ნაყოფიერის გზით. ვინ იქნება ჩვენში ისეთი შუბლ გარეცხილო ადამიანი, რომელიც თადე შენგელიას საზიზარ საქციელს მოიწონებს, არ გაჰკიცხავს, არ დაემობს, ზიზღს არ გამოარცხა-

დებს და სამარცხინო ბოძზე არ გააკრავს ისეთს უსინილისო ადამიანს, რომელიც ჩირქსა სცხებს მთელს სახალხო მასწავლებლებს და იმ წმინდა დრომას, რომელიც ამათ უჭირავთ ხელში. ესეც ცოტაა, მარტო მასწავლებლები კი არა, ყველა შეგნებული ადამიანი და მთელი სოფელი ზნეობრავად ვალდებულია ზიზილი გამოუცხადოს. მას, რადგანაც ნათქვამია:

„უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო“.

„განათლების რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი უგვანი საქციელი მასწავლებლისა ამქონს მკითხველ

საზოგადოებას, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“. მასწავლებელი ბევრგან სოფელში ერთად ერთი კაცია, რომელიც ინტელიგენტის სახელს ატარებს, ის ზრდის მომავალ თაობას, იმას შეჰყურებს მოზრდილებიც, იმისგან იღებენ მაგალითს დიდი და პატარა, და თუ ეს „მარილი სოფლისა“ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, უმჯობესია მისთვის აიკრას გულა ნაბადი და მივიდეს სამსახურის ადგილის საძებნელად იქ, სადაც დაბეჭდებისა და ცილისწამების თხოვნებს გზავნის თავის სასარგებლოდ, სხვისა და ქვეყნის საზარალოდ.

მოწერილი ამბები

სახალხო სწავლა-განათლების საგმე აფხაზეთში.

სწავლა-განათლების შესახებ აფხაზეთი ეკვლასაგან შივიწუებულია. სრულ უმეტრებას, ტრუშორწმუნებას, შკითხავ-მარჩიელების და ფანატისოს მოღებების ზეგავლენას დრმად აქვს გამდარი ფესვები დაბეჭდული ხალხში. მოღებს უფრო მეტი გავლენა აქვს ხალხზე, ვიდრე ჩვენს სამღვდლოებას. ამის მიზეზი ის არის, რომ მოღები უფრო დაახლოებულა და დამოკიდებულნი არიან ხალხთან, ვიდრე ჩვენი მღვდელ-ღიაკვნები, რომლებიც ვერ ასრულებენ რიკიანად თავიანთ მოვალეობას, ზირიქით მათი უმოქმედობა, ჩვეულებრივი ტულკრილობა საზოგადო საქმეში, მარტოდ-მარტო ნივთიერ კეყოლ-დღეობაზე ზრუნვა საზოგადო მოვლენას მათში. მღვდლებს არც მასწავლებლები ჩამორჩებიან დაუკვრობაში. საქართველოს ყველა კუთხიდან წაიკითხავთ

ადგილობრივს ამბებს ჟურნალ-გაზეთებში, სოხუმის ოლქიდან კი ძლიერ იშვიათად შეხვდებით რსმე.

აქ აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ მთავრობის მოხელეები თავიდანვე ეჭვის თვალით უტყქარდენ აფხაზეთს, როგორც შოთთანს მოუსვენარ მთაულებს. მხოლოდ რაზდენისამე თხთხისა და ვედრების შეძლე ამ ხუთი წლის წინად მოწინააღმდეგე აფხაზეთს ენატია მისი ცოდვანი—საქმენი და ეჭვალბა სრული თანაწრობა სხვა ქვეშემდამ ერთა შორის. ამის შემდეგ აფხაზეთსაც მაქციეს უერადება: ჩქარის ტუმბით დაიწვეს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსება, სამშობლო ენის შემუშავება, სახალხო სკოლების გამარჯლება, საეკლესიო წიგნების აფხაზერად თარგმნა, მოძრავი ეკლესიების დაარსება, (РАЗВѢДНОЙ ПРИЧТЪ) რომელსაც ვვლებს დაბასოფლებში აფხაზერ ენაზე წიგვის გამართვა და ქადაგება, სამეურნეო კითხევაზე საუბრები

და სხვა და სხვა. ათი ანუ თხუთმეტი წლის წინადა აქ სწორად იყო გავრცელებული უგარ-გისი გერედ წოდებული წერა-კითხვის სკო-ლები (ШКОЛЫ ГРАМОТЫ) და ახლა მათს ნანგრევებზე ზემოხსენებულ კულტურულ-გა-მათლებულ დაწესებულებებით და კარგად და სად შედაგოვიერ ნიადაგზე მოწყობილ ორ-კლასიან სასწავლებლებით აკმაყოფილებენ ჩვენი ხალხის სულეერ მოთხოვნილებას. მართლაც, რომ ასე არ იყოს, რა სარგებლობა და ზრატ-ტიველად გამოისადგვარი ცნობების გავრცე-ლება შეეძლო იმ დროიდეულ წერა-კითხვის სკოლებს, რომელთა მასწავლებლებად ინიშნე-ბოდენ ერთად ერთ მაშინდეულ „უმაღლესს“, ითელ აფხაზეთში. გუდაუთის ორკლასიან სკოლის კურს დაძვიარებულ ახალგაზდები.

მკითხველს მოეხსენება, რომ ამ ტიპის სკოლები სამასწავლებლო ცენტს და განათლე-ბას არ იძლევა და მათი სახელმძღვანელო ზოგრაზმა ძლიერ უგარგისია, და ცნობებში გამოუსადეგარი. გარდა ცნობილ სკალებსო-სლაფიანური ენისა და კატეხიზმის ტექსტე-ბის შექანიკურად ზეზიარდ გადაღტვისა შეტს არაფერს იძლეოდა გუდაუთის „სამასწავლებ-ლო“ სკოლა. ამ სასწავლებლის კურს დაძ-თავრებულ ახალგაზდებს 16—17 წლის ასა-კისას ცხაენიდან აფხაზეთის სხვა და სხვა სოფლების განმანათლებლად. ვინც კი თვალ-ურს ადენებდა სწავლა-აღზდის საქმეს ჩვენ ქვეყანაში, იმთ ეხსომებოთ, ალბათ რა შავ დრუბლებით იყვნენ გარემოცული მამინ კავ-კასიის და სასწავლოთ „ინოროდცების“ სკო-ლეების ცისკიდურთ: მკაცრად დაცული მუნ-ჯური შეთობი, საშობლო ენის უკუგდება და ფუხქვეშ გათელვა, თვალმაქცური „მოდვა-წეობა“, მოსამსახურეთა შორის ერთმა-ნეთის ბეზდება—აი რა დასმულ ზირთებში მცონარობდნენ მაშინდეული ადგილობრივი სასწავლებლები. ცნობილი ვოსტორგოვის ზო-ლიტივის საუკეთესო მატარებლად და მისი

მარჯვენა სკლად ითვლებოდა აქ სოხუმის ეზარქიის სამრეგლო სკოლების შეთავაღურედ უოფილი დეკ. ისტრუბოვი, რომელიც 1905 ცნობებების აბობქრებულმა ტალღებმა თავისი უფროს ტფილისელ ძმასთან (ვოს-ტორგოვთან) შეუმსწავლად და უზატეადებოთ გაისტუმრა კავკასიის საზღვრებიდან. სწორად მაცინდება ხოლმე მათ მიერ გამოცემულ ეურიოზულ ცირკულიარებდან ერთ-ერთ ად-გილთაგანი: Г.Г. УЧАЩІЕ! НУЖНО ПИСАТЬ ГРАМОТНѢЕ, ГРАМОТНѢЕ! კარგი და ზა-ტიოსანი. „ნუგნო და ნუგნო“ ვუმატებდით ჩვენც, მაგრამ საიდაც და რატორ უნდა გავ-ვესწორობია შეცდომანი, როდესაც ტექსტების შეუგნებლად დაზეზიარების შეტი არაფერი გავგოვანია გუდაუთაში და აქ სოფლებში მუ-ლა-ტურას ბღავილით ყურ-გაჰქიდელ მასწავ-ლებლებს, რომელნიც ელემენტარულ ცოდნა-საც მოკლებულნი ვიყავით. რა ნდობა და ავ-ტორიტეტი ექნებოდა ხალხში ჩვენითანა „გაცვეთილ“ მასწავლებლებს, მას მკითხველი მიხვდება. ვიტყვი მხოლოდ მეტს:

12—15 მან. ჟამაგირით კულ-გამოლეულ-ნი „შედაგოკები“ თვისი გარეგნობით უფრო მათხოვრებს წააკადენენ, ვიდრე ახალთაობის ჭეშ-მარიტ აღმზრდელებს. არა ერთი უოფილა მს-გალითი, რომ ჩამოთვლილ „შედაგოკებ“ მო-რის ზოგი ზოლიციაში უბრლო „დარაჯათ“ შესულა, ვინაიდან იქ მატრიალურის მხრით სამჯერ მეტად უზრუნველყოფილიყო (მამა-ნეთი თვეში) და ზოგს კი იმ საპარტეხინო ხე-ლობა—ქურდობისათვის (შირუტუვის ქურდობა აქ ტრადიციულათ თანდაყოლილია) მიუყვია ხელი; რომელიც წაურეხებლ ჩარქას სცხებს დღესაც მეგრულ და აფხაზეტს.

ერთ სოფელ—კვიტოუში ქურდობის გამო მამასხლისს დაუჭირია ადგილობრივი „მას-წავლებელი“, მაგრამ გაქცევა.

გავიდა რამდენიმე დრო და ჟამი. აფხაზეთის ეკონომიური ცნობებია დრმად შეიცვალა. ის ენლა ადგამისფენს კულტურულ განვითარების გზასა. როგორც ზევით მოვისსენიეთ დღითი დღე იზრდება სკოლები მივიწვებულ აფხაზეთში. წინანდელ უფარვის მასწავლებლების ნაცვლად იწვევიან კარგად მომზადებულს და შესაფერისი სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ახლგაზნებს. დიდის მიქლით შესტკერინ მთ ადგილობრივი მკვადრნი, რომელნიც შეშინებულნი არიან წარსულ მკაღლიაობით. მაგრამ დახეთ უბედურებას. ამ ცაწინანი მასწავლებელთა ბანაკში ამოყო თავი ჩვეულებრივმა ინდიფერენტობმა, გულგრილობამ საქმისადმი. გარდა ითხ კედლებ შორის მათი მოქმედება — მოღვაწეობა არ იშლის ფრთებს. უნდა გამოეტყუეთ, რომ სიხუმის ოღქის სახალხო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა მშიშარას, შხდალს, ორჭოთის და რამე სიმპატურ იღვის მოკლებულ კორპორაციას შეადგენს. მოკლებულია უოველ გვართ. ოსნობას, სკაუთებს აზრს და ასე წარმოიდგინეთ თავის თავზე ზრუნვასაც კი, თუ მეტი ჟამატარი მოვითხოვეთ, მაშინ იძულებულნი ვიქნებით ადგილი დაუთმოთ უნივერსიტეტებს სოფლებშია. და ჩვენ ხასა შმრალი დავრჩებით.

დიდი დანაშაულობა მიუძღვის ადგილობრივს მასწავლებლებს თავის ერის წინაშე. არავითარი კასრთაბები, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, რითაც შეიძლებოდაც ხაღის მიზიდვა-მიჩვევა სწავლა-კანათებაზე სოფლებში კი არა, გუდაუთსა და ოპმჩირეშიც არ იმართება და არ არსებობს. რომ გამოიწერონ თუნდაც ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები და ხელი შეუწვიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გაგრძელებას ხალხში, როდი იწუხებენ თავს.

ბევრი გვისაყვედურებს ვითომდა უცხოობა და სოფლად ფოსტის მოწყობლობა უშლიდეს ამას ხელს, მაგრამ ეს მხოლოდ მუიერ ხარის-

ხვანი კითხვას. თუ კი გული გულობს... ეს შესაძლებელია. საკულისხმია ისიც, რომ აფხაზეთის სახალხო სკოლებში საყოველთაო გამეფებულია ცნობილი მუნჯური მეთოდი. 1905 წ. ეველა აქურ სკოლებში გაგზავნილი იყო სახელმძღვანელოთ 1881 წლის სამსწავლო ტეგმა, რომლის მეტებით სწავლება ზირველ წელიწადში უნდა სწარმოებდეს საშობლო, ბავშვების კასაკებ ენაზე. ეს ტეგმა უკვედებული იქნა მოსვლისთანავე თვით „შედატეგების“ მიერ და დღესაც შეუხველად განაგრძობენ მუნჯური მეთოდით სწავლებას. რევიზორების გულის მოკება, თუნდაც იეხუატურის საშუალებით იყოს ეს, ზირადი ანკარიშები და მარტო-მარტო კარიერაზე ზრუნვა — აი რა ასულდკეულებს სოფლის „შედატეგთა“ უმრავლესობას. რა საშუალებას და ხსნას უნდა მოელოდეს ერი ამისთანა მასწავლებლებისკან — ამას თვითონ მკითხველი მიხვდება.

რ. — ა.

პარლანსნი

სულ იმას ვწივით და ვაღაღებთ, რომ ქართული სწავლა დაქვეითებულია ეოველ ჩვენს კურთხეულს ქვეყნის კუთხეებში. სდაც შეხვდებით სოფლოთ ჩვენს ინტელექტუბდას, ქართულს სიტყვას ვერ გაიკებთ, თუმც ქართული ენაც უკეთ რომ იცოდნენ მანინც. შეხვდებით მოსულს საღაღაიებს, რომელთაც სრულიად დაიწვებითა ქართული ენა და რუსულის ჩუქურთმებით ლაზარაკობენ, ჩუქურ იცოდნენ მანინც, მაგრამ ვაღაღა ის ჯრის, რომ არც რუსული იციან, ქართულაც ადარ კადრულობენ. რა მიზეზია რომ ასეთს კანსაცდელშია

ჩვენს ერთნაირ ენა? რას მიეწერება ასეთი საქციელი? შეიარეთ ჩვენს დაბა-სოფლებში, სკოლებში სრულიად არაყიერი იციან ქართულისა და თუ დასწავლიან ჩვენი მასწავლებლები, მხოლოდ ანაბანას. „თხამ შეჭამა ვენახი“ და სხვა არაფერი. აი უპირველესი სწავლა ქართული ბავშვისა. მას მხოლოდ ესმის რუსული ენა, აკითხებენ ზირველათვე გაუგებრად და ისიც თუთიუშოვით იმეორებს ზეპირად. ბავშვს სწავლიან ესმის, რომ შემდეგში იცნობროს, სასწავლო კაცი გამოვიდეს, შეისწავლოს რამე, რომ ლუკმა ჰური მოიბოვოს ამითი, ნუთუ მარტო ამას უნდა ჰყოქრობდეს ბავშვი, ნუთუ მარტო უნდა ისწავლოს, რომ შიშშილით არ მოკვდეს მომავალში?! ეს მხოლოდ შემდგარი აზრია. ნუ თუ ქართველმა არ უნდა იცოდეს ვინ არის ქართველი; ნუ თუ არ უნდა იცნობდეს თავის ერს? რა იყო საქართველო წარსულში და რა არის აწმყოში. დღევანდელ ცხოვრებაში ჩვენი ინტელექტინცია თუ მოსწავლეთა უმრავლესობა იცნობს სხვა ერს, იცის სხვა ერის ისტორია, ლიტერატურა, მაგრამ თვით ქართველმა არ იცის ქართული ისტორია. საჭიროა მასწავლებელმა ჰატარა ქართველს ჩაგონის, შეასწავლოს თავისი დედა-ენა, თვისი კულტურა, ლიტერატურა და ისტორია, რომ ღრმად ჩაენერგოს გულში ჰატარა თავისი ტანჯულ-წამებული ქვეყნის ვითარება. დღეს რომ შეიარათო სოფლის სკოლებში და შეეკითხოთ ვინ იყო შოთა, თამარ მეფე, სააკაძე და სხვანი ეს ძველს მოსილი წინაპრები, დაწმუნებული ბრძანებოვით, გერაფერს გიშასუხებენ. ბატონებო, შეასწავლეთ წარსული ჩვენი ტანჯული ერისა, შეასწავლეთ წინა პირთა ღვაწლი, თავდადება თავიანთ სამშობლოსთვის, და შეკვლიან ჰატარას ღრმად ჩაენერგება გულში სიყვარული თავისი მრავალ-ტანჯულ ქვეყნისა, ენერგოულად დაწაყვება სწავლას, აღარ იფიქრებს, რომ აღაშინი მარტო თავის თავისთვის არის და-

ბადებულა. ეოველ ძალდონით მოეჭიდება, რომ ეგებს მომავალში მალამო დაჯდო ტანჯულ სამშობლოსა, შემდეგ კი სხვა ერის კულტურას და ისტორიასაც შეისწავლის. დარწმუნებული ბრძანებოვით, იგი შემდეგში სხვებსაც წავბაძავს, მაგრამ სად არის ასეთი, აღაშინი, რომ თვის მშობლიურ ენას თავმთავარებით ეკიდებოდეს, თავდადებით ჩაენერგოს მოსწავლეებს ერთნაირი სიყვარული. უამისოდ გადაცარება მოელის ერს და ეს გადაცარება იქნება სრულიად მომხმობიერისა.

კარდანიხელი.

სალიტერატურო დილა სოფელ რუისში (ქართლი).

ორ თებერვალს ადგილობრივ მასწავლებლები შეთაერთობით ორ-კლასიან სამინისტრო სკოლის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო დილა. დილას დაესწრნენ: სახალხო სკოლეების ინსპექტორი, მახლობელ სოფლებიდან მიწვეული მასწავლებლები, მღვდლები; როგორც ადგილობრივ მკვიდრთაგან საპატრიო პირნი, აგრეთვე მოსწავლეების მშობლები და და კარეშენიც. თუმცა სცენა არ იყო გამართული, რაც უფრო საუცხოო ევამქტს იქონიებდა დამასწავლებლებზე, მაგრამ დილამ მანც მშენიერად ჩაიარა. ბავშვებმა გაბედულად და მკათიოთ წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები. კარგი მომზადება ეტობოდა მომდერალ გუნდასც.

დასასრულ ამავე სკოლის გამგე მასწავლებელმა ბუნდოვან სურათებით გააცნო დამსწრეთ: სხვათა შორის ჩვენი ახლანდელი მთავარი მგობსები: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი; საქართველოსათვის თავდადებულნი

ისტორიული პირნი: თევდორე მღვდელი, გიორგი სააკაძე და სხვანი.

კამართულ დღამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. რის შემდეგ საზოგადოებამ გულისთაღი მადლობა გა-

მოუტანა მოთავე მასწავლებლებს და ძალიან კმაყოფილნი წავიდნენ მოვიდნენ. კარგი იქნება, რომ სხვა ჩვენ მასწავლებლებმაც მივბადონ რუისელ მასწავლებლებს.

რაბათელი.

უცხოეთი

თავისუფალი სკოლა ვენაში

(თარგმანი)

ქ. ვენის მერვე ნაწილში, ალბერტის ქუჩაზე, ამაყად აზიდულა თავისუფალ სკოლის საზოგადოების შენობა. ამ საზოგადოებამ უკვე სახელი მოიხვეჭა; იგი იბრძვის თავისუფალი სკოლის იდეალებისთვის, იმის მიზანი — ვანათავისუფლოს სკოლა იმ უკუღმართობისაგან, რომელიც ამახინჯებს და აფერხებს სახალხო განათლების საქმეს. ეს საზოგადოება დაარსდა დ. მარტმანის მეოხებით 1905 წ. ამ ეამად მას ჰყავს უკვე 30,000 წევრი და დაუღალავ შრომას ეწევა ავსტრიის ყოველ კუთხეში; იგი კრიკაში უდგას კლერიკალებს და ფეოდალებს, რომელნიც აქამდის ავსტრიის სახალხო სკოლებში პარაზობდნენ. საზოგადოება ხშირად იკრიბება, ბეჭდავს ლიტერატურას და აარსებს სამაგალითო სკოლებს, იყავს აგრეთვე მასწავლებელთა და მშობელთა უფლებას, რომლის გაქვლასაც კლერიკალები სცდილობენ. თავდაპირველად ამ საზოგადოებამ შეაგროვა 70,000 კრონა, დანარჩენი თანხა მცირელი სარგებლით ისესხა ერთ მდიდარ კაცისაგან და ააშენა მშენებელი სახლი. ამ შენობაში საზოგადოების სამმართველოს გარდა მოთავსებულია აგრეთვე ერთი სკოლა. ამ სკო-

ლის მოწყობილობა მართლა და სამაგალითოა: დიდრონი, ნათელი კლასები საკმარისი ჰაერით, საქარებელი, უზარმაზარი ფანჯრები, იატაკი, მოყვნილი ლინოლეუმით, საუკეთესო პარტები, ყველა ეს ხელს უწყობს სწავლის საქმეს.

თითო კლასში იღებენ 15—20 შეგირდს, მაშინ როდესაც სახალხო სკოლებში შეგირდების რიცხვი 40—50 აღის. სკოლას აქვს ფართო ეზო, დარბაზი, ფიზიკური ვარჯიშობისათვის, სახლის წინ გამართულია ამალგებული ბანი, საიდანაც ადამიანს მთელი ვენა თავისი მიდამოებით თვალწინ ეშლება. სკოლასთან გამართულია აბანოები, თბილი და ცივი. გამართულია აგრეთვე სადღეინფექციო ოთახი, საცა ბავშვი თავის ტანსაცმელს სტოვებს სწავლის გათავებამდის. სწავლამ ამ სკოლაში რვა წელიწადი გრძელდება, ვაჟები და ქალები ბოლო კლასამდის ერთად სწავლობენ, ხოლო ბოლო კლასში მათ აშორებენ ერთმანეთს, რადგანაც ვაჟი საშუალო სასწავლებლისათვის ემზადება, ქალი კი გიმნაზიისათვის; ამ ორი სასწავლებლის უროგრადა კი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება. ვარჯი-

ნი, შეხედულებით თავისუფალი სკოლა სახალხო სკოლას მოგაგონებთ; მაგრამ სწავლა კი სულ სხვა წიაღაგზედ სწარმოებს. თავისუფალ სკოლის საძირკველს ხატვა და ხელით სამუშეოარი შეადგენს; დურგლობას, ხელ-საქმეს, ხატვას და სხვა სამუშაოს საპატიო ალაგი უჭირავს, დიდს ყურადღებას აქცევენ ხატვას. ყოველ წელს იმართება გამოფენა და უნდა ესთქვათ, რომ იმისთანა მშვენიერი მუშაობა არ მინახავს არც რუსეთში და არც გერმანიაში. თვით ხელით სამუშეოარი მჭიდროდ არის შეკავშირებული განვლილ მასალასთან. და იგი ხშირად დიდ სარგებლობას უწყევს ამა თუ იმ საგნის შესწავლაში. სახალხო სკოლაში გერმანული ენა მხოლოდ გრამმატიკისა და მართლწერის სწავლისაგან შესდგება. იგი ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მდიდარ გერმანულ ლიტერატურას. თავისუფალ სკოლაში კი საქმე სულ სხვანაირად სწარმოებს: მართლწერას და გრამმატიკას უკანასკნელი ალაგი უჭირავს; უმთავრესი ყურადღება ლიტერატურის შესწავლაზეა მიპყრობილი; აგრეთვე გეოგრაფია; ისტორია, ანგარიში ისწავლება სრულიად ახალი მეთოდით. ამ სკოლაში სიყვარული მეფობს: შევირდის პიროვნება აქ დაჩაგრული არ არის; დასჯა რაღა თქმა უნდა უკუგდებულისა. სკოლის ზედამხედველის ელსნერის სიტყვით დასჯა საჭირო არ არის, რაგანაც ბავშვებს უყვართ სკოლა და ყველაზე დიდი

სასჯელი ბავშვებისათვის ის არის, როდესაც მას კლასში არ შემოუშვებენ; მაგრამ ეს ზომაც იშვიათად იხმარება. სწავლა კარგად მიდის; ჯგრ-ჯგრობით მეორე წელიწადს არავინ დაუტოვებიათ კლასში. (თავისუფალი სკოლა უკვე მეოთხე წელიწადი არსებობს.) ამ ქამად თავისუფალ სკოლის საზოგადოებას აქვს პირველი თავისუფალი გიმნაზია, რომელიც ორი კლასიდან შესდგება. გიმნაზიაში უეგზამენოთ მიიღებიათ ის ბავშვები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სახალხო სკოლა. ამ გზით საზოგადოებას სურს დაანახოს, რომ შესაძლებელია საერთო სკოლის შექმნა. ასეთი სკოლა არ არსებობს არც ავსტრიაში და არც სხვა ევროპის სახელმწიფოებში. სწავლის ფასს ბავშვი 8 მანეთს იხდის თვიურად, თუ ამაზე მცირე ფასს დანიშნავდნენ, მაშინ სკოლის შენახვა შეუძლებელი იქმნებოდა. რაღა თქმა უნდა თვეში 8 მანეთის გადახდა ყველას არ შეუძლიან და ამიტომაც დემოკრატიული ნაწილი მოკლებულია ამ სკოლას. ამ სკოლას საზოგადოება სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობა, თავისუფალ სკოლას ბევრნი ჰზაძავენ; კერძო პირები ხსნიან ამ გვარ სკოლებს.

ამისთანა სკოლებს ამ ერთი წლის წინად პროვინციებიც თხოულობდნენ. უეკველია, მათი სურვილი აქამდის სისრულეში იქნება მოყვანილი.



გიზლიმოგრაფია

«Природа». Ежемесячный популярный естественно-исторический журнал для самообразования под редакцией проф. В. А. Вагнера и проф. А. В. Писаржевскаго. Москва, Мясницкая. За годъ 4 руб.

ამ ახალი ჟურნალის მიზანია — სერიოზული პოპულარიზაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა. ჟურნალში შემდეგი გამოჩენილი პირი იღებს მონაწილეობას. აკადემიკოსნი ვალდენი და ვერნადსკი; პროფესორნი: ი. ბარგმანი, ბახი, (ვენევა), პ. ლაზარევი, მენზბიზი, ნ. ა. მოროზოვი, პალლადინი, პოკროვსკი, ნ. უმოვი, თ. ხელოსონი და ბევრნი სხვანი.

იანვრის ნომერი საინტერესოთ არის შედგენილი; მოთავსებულია პროფ. ბარგმანის „უკანასკნელი ნაბიჯი ფიზიკაში“. ამ სტატიაში მშვენივრად არის გადმოცემული ფიზიკის წარმატება უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში, დაბეჭდილია აგრეთვე პროფ. ვულფის სტატია: „აქვთ რამე საერთო კრისტალებსა და მცენარეულებათა?“ ის ადარებს მცენარეულების და კრისტალების თვისებებს და ელემენტარული მათემატიკის შემწეობით სრულიად მარტივად ხსნის ფოთოლთა დაწყობისა და კრისტალებში შეფარდების კანონებს და გვითითებს იმ კანონების საოცარ მსგავსებაზე, რომელთაც ექვემდებარებიან ამ ნივთთა აგებულება. შემდეგ მოსდევს საინტერესო სტატია პროფ. ვაგნერისა ბიო-სოციოლოგიურ თემაზე: საზოგადოებრივობა ცხოველებში და ადამიანებში“. პრივ.-დოც. ნებილოვის სტატიაში „ახალი შეხედულება

ცოცხალი ნივთიერების აგებულებაზე“ მოყვანილია თანამედროვე შეხედულება ცოცხალ უჯრედის დინამიკაზე; ფიზიოლოგ ლიობს ეს შეხედულება საკმარისად აქვს განმარტებული თავის ნაშრომში.

ვისაც სურს გაეცნოს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას, ჟურნალს დართული აქვს „ქრონიკა“ და „ბიბლიოგრაფია“.

ახლო მომავალში ჟურნალი გვიპირდება აკად. ბეკეტოვის სტატია: „რადიის გავლენის ახსნა“; პროფ. ბორმანის: „რა არის სინათლე?“ პროფ. მეტალნიკოვის: „ფიზიოლოგიური მიზნებში სიბერისა და სიკვდილისა“.

განხილულ ჟურნალის სტატიები დასურათებულია; გადმოცემა მარტივია, რითაც არავითარი ზიანი არ ეძლევა მის მეცნიერულ ხასიათს. ჟურნალი გამოცემულია საზოგადოების ფართო წრისათვის, რომელიც აღქურვილია საშუალო სწავლით. თუ საშუალო სკოლის პროგრამაში შეტანილი იქნება ბუნებისმეტყველება, მაშინ ეს ჟურნალი მას დიდ სარგებლობას გაუწევს და ჩვენც უსურვებთ მას გავრცელებას ბუნების მოყვარეთა შორის.

გ. ლემელინი

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.

Принимается подписка на 1911—12 годъ

(съ сентября 1911 по сентября 1912 г.)

(Годъ пятый).

НА ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
(Органъ педагогической реформы)

„СВОБОДНОЕ ВОСПИТАНИЕ“

подъ редакціей И. Горбунова-Посадова,

для городскихъ и сельскихъ учителей и для родителей.

Цѣль журнала: разработка вопросовъ о такомъ воспитаніи и образованіи, которое основано на самостоятельности, на удовлетвореніи свободныхъ запросовъ дѣтей и юношества и на производительномъ трудѣ, какъ необходимой основѣ жизни.

Программа журнала:

1) Статьи по вопросамъ умственнаго, нравственнаго и физическаго воспитанія, образованія и самообразованія; 2) изъ семейной, школьной и общественной жизни съ точки зрѣнія интересовъ воспитанія и образованія; 3) о материнствѣ и воспитаніи ребенка въ первые годы жизни; 4) по вопросамъ защиты дѣтей отъ жестокости и эксплуатаціи; 5) о свободно-образовательныхъ начинаніяхъ для трудового населенія; 6) по ручному труду (земледѣльческому, ремесленному и т. д.); 7) по природооубѣнью, устройству экскурсій и т. д.; 8) по вопросамъ гигиены дѣтства и юношества; 9) „Изъ жизни и живя“: обзоръ журналовъ, книгъ и газетъ по вопросамъ воспитанія и образованія; 10) переписка между лицами, интересующимися вопросами реформы воспитанія и образованія; 11) отзывы и отбѣты читателей; 12) Библиографія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:

Е. М. Бемъ, И. А. Беперскій д-ръ Г. М. Беркенгеймъ, П. И. Бириковъ, д-ръ А. С. Буткеничъ, проф. Ю. Н. Вагнеръ, В. М. Величкинъ, К. Н. Вентцель, М. В. Веселовская, Ю. А. Веселовскій, А. М. Вихровъ, Е. Е. Горбунова, И. И. Горбунов-Посадовъ, А. А. Громбахъ, Н. Н. Гусевъ, А. Г. Лауге, д-ръ А. Дернова-Ярмоленко, Е. А. Дунаева, С. Н. Дурьянинъ, Н. И. Живаго, А. У. Зеленко, А. С. Зоновъ, д-ръ Н. А. Кабаковъ, О. В. Кайданова, Е. А. Караванова, акад. Н. А. Касаткинъ, М. В. Кистяковская, П. С. Киричко, А. Китаевъ, М. М. Клежковскій, А. Н. Коншинъ, П. В. Кротковъ, Н. Крупская, С. А. Лемницкій, В. И. Лукьянская, Ю. И. Менжинская, И. П. Накашидзе, Н. Оелтъ, Сергѣй Орловскій, А. П. Печковский, О. В. Полежаевъ, Е. И. Полювъ, С. А. Пернухивъ, А. Б. Петрищевъ, В. В. Петровъ, С. А. Порѣцкій, А. С. Пругавицъ, Ф. А. Рау, д-ръ В. В. Рахмановъ, Н. А. Рубакинъ, И. Е. Рошинъ, М. X. Светлицкая, И. М. Соловьевъ, Е. К. Соломинъ, В. М. Сухова, Е. Я. Фертунатова, А-д-ръ А. Фортунатовъ, К. А. Фортунатовъ, А. М. Хирьяковъ, Г. Г. Чрезновъ, С. Г. Чефрановъ, Е. И. Чижовъ, С. Т. Шацкій, Л. К. Шлегоръ, д-ръ А. Шкарнакъ и др.

Въ 1911—1912 г. въ „Свободномъ Воспитаніи“ появляются, между прочимъ: 1) рядъ статей. А. У. Зеленко, содержащихъ въ себѣ описаніе постановки и дѣятельности передовыхъ школъ Европы и Америки (по личнымъ наблюденіямъ), характеристикъ самыхъ выдающихся современныхъ европейскихъ и американскихъ педагоговъ-реформаторовъ и изложеніе проходимыхъ ими реформъ образованія и воспитанія; 2) рядъ статей (О. В. Кайданова и др.), описывающихъ школьную работу нѣкоторыхъ передовыхъ новыхъ школъ въ Россіи; 3) статьи (Н. Круской, С. Дурьянина и др.) по вопросу о свободѣ и дисциплинѣ въ воспитаніи, о школьномъ самоуправленіи и т. д.; 4) статьи, излагающія новые методы преподаванія родного языка, математики, естествознанія, рисованія и т. д.; 5) по вопросу объ обученіи отстающихъ и ненормальныхъ дѣтей; 6) по вопросу о полнотѣ воспитанія, школьнаго алкоголизма и т. д. — Вообще же постоянною задачею журнала будетъ и общее освѣщеніе главныхъ вопросовъ образованія и воспитанія и снабженіе учителей и родителей практическими указаніями для ихъ работы съ дѣтми.

Подписная цѣна: на 1 годъ съ пересылкой 3 р., на полгода—1 р. 50 к., за границу 3 р. 60 к. Для сельскихъ учителей 2 р., на полгода 1 р. Подписка принимается: Москва, Дѣвичье поле, Трубенкой пер., 8, редакція журнала „Свободное Воспитаніе“.

Издатель А. Н. Коншинъ.

Редакторъ И. Горбуновъ-Посадовъ.

საქმეცნიერო-პედაგოგიური და სხვატერ. ჟურნალი

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამჟამად „განათლება“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალიში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და ზოცები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სამი მანეთი და ათი შაშრი (3 მან. 25 კ.), ნახევარი წლით ორი მანეთი 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ ორ მანეთად და ათ შაშრად (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რედაქციაში. ქუთაისში წიგნების და გაზეთების კანტარა „იმერეთი“ ისიდორე კვიციანიძესთან, ბათუმში წიგნის მაღაზია „განთილი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება:

რედაქცია ეოველგვარ ღონისძიებას სძარბოს ჟურნალის თანდათან გასაუქმობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская

Гимназія Л. Г. Бощадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

რედაქციისაგან

ძველი ხელის მომწერლებს, ვისაც ხელის მოწერა არ განუხატებია და არც განუცხადებია სურვილი ჟურნალის მიღებაზე, ამ წლის ნომრები არ ეგზავნებათ. რედაქცია ვერავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წერილების გამო ვერ იკისრებს. დასაბეჭდი წერილები უნდა იქმნეს დაწერილი გარკვეულად და ცალ გვერდზე. ვისაც დაკვეთილი ნომერი დროზე არ მიუვა, ან დაიკარგება, რედაქცია სთხოვს შემდეგი ნომრის გამოცემამდის შეატყობინოს და ადევნონ თვალყური ადგილობრივ, რომ ნომრები არ იკარგებოდეს. სოფლის სამკითხველოებს წარსული წლის ნომრები უფასოდ დაეთმობათ, თუკი რედაქციიდან წააღებინებენ.

О ПОДПИСКѢ ВЪ 1912 ГОДУ

ВОКРУГЪ СВѢТА

XXVIII ГОДЪ ВЪЗД. XXVIII ГОДЪ ВЪЗД.
 Въ 1912 году подписчики получат:
50 №№ журнала путешествий и приключений **ВОКРУГЪ СВѢТА**, содержащий самый рядъ научно-популярныхъ отдѣловъ: географія, этнографія, естественное, научныя открытія, техническія изобрѣтенія и т. д.

12 КНИГЪ собранія сочиненій неподражаемаго англійскаго юмориста **ДЖЕРОМА К. ДЖЕРОМА**. Англійскій юмор — лучший юморъ въ мірѣ. Самое лучшее у юмориста, это когда онъ рассказываетъ серьезные вещи съ повозмутимо-серьезнымъ видомъ. Такое юмору способно англійскій юморъ юмориста Джерома К. Джерома — его лучшего представителя — въ частности

6 величательно иллюстрированныхъ СБОРНИКОВЪ новейшихъ романовъ, повѣстей и рассказовъ путешествій и приключеній **На Сушѣ и на Морѣ**, выходящихъ по образцу лучшихъ англійскихъ изданій этого рода. Убавляетъ читать въ 2 колонки. Углубительный материалъ для чтения.

6 КНИГЪ иллюстрированной научно-популярной библиотечки: научно-литературныя рассказы нѣмецкаго популярнаго писателя **Вильгельма Бельше**. "Приобытій чуждыя", "Тайны природы", "Гибель міра", "Сказки низин", "Дни теоріи", "Въ пѣдрахъ земли", "Тайны южнаго полюса", "Языки обилья", "Сказки о дракондахъ" и т. д.

Назначивъ съ долларомъ 1 руб. подписки получить цѣнную премию:
12 ВЫПУСКОВЪ замѣчательно интереснаго изданія совершенно новаго типа **„ЧУДЕСА МІРА“**. Описание новыхъ чудесъ міра, созданныхъ природою и величественнейшихъ чудесъ міра, созданныхъ въ во всѣхъ странахъ. Удивитъ и порадуитъ извѣстными путешествіями и новыми. Изъ тысячъ илюстрацій.

ЦѢНА на журналъ „Вокругъ Свѣта“ **НА ГОДЪ**: съ доставкой и пересылкой **12** вых. сочиненій Джерома К. Джерома, 6 романовъ „На сушѣ и на морѣ“ и 6 вых. изданія научной библиотечки **„ЧУДЕСА МІРА“**.
4 Разрочка: при подпискѣ 2 р., въ 1 апрѣлѣ 2 р., въ 1 июля 1 р.
5 Адресъ конторы ж. „Вокругъ Свѣта“: Москва, Тверская, домъ 48, Т-ва И. Д. Сытина.
 Изданіе Т-ва И. Д. Сытина.

О подпискѣ въ 1912 г. на ежемесячный **МІРОКЪ** XI г. изданія. **1** р. 50 к. въ годъ съ пер. Кромѣ 12 вых. журналовъ, съ содержаниемъ „Мірокъ“ получаютъ въ 1912 году бесплатно замѣчательное содѣланіе **ПРИКЛЮЧЕНІЯ ФРАНСИШКА** — замѣчательнаго приключеннаго романа. **Самое 6** вых. изданіе до 1 февраля 1912 г. получатъ **СТЕННОЙ ОТРЫВОКЪ НАЛЕНДАРЬ** съ картинками, выходящими въ изданіи Поддѣсова на журналѣ „Мірокъ“ и посвященъ къ юбилею журналу „Вокругъ Свѣта“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1912 годъ на газету

„Закавказская Рѣчь“

Его изданія четвертый.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставкой на домъ: Рѣчь — фельет. Въ провинц. На годъ . . . 6 руб. — коп. 8 пу — коп.
 „полгода . . . 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.
 „ 5 мѣсяца . . . 2 руб. — коп. 2 р. 25 к.
 „ 1 мѣсяца . . . — 70 коп. — 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“ Давридовъ ул., домъ Д. З. Г. Чочиев.

Граммы: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ М. Г. И. Пальвандовъ:

Издатель Э. Д. Горделадзе.



1912 წლის 1 იანვრიდან გამოვა ორშაბათობით ღირს. ლიტერატურულ და პოლიტიკურ განხილვებში

მ მ მ მ

(წელს მეორე)

წელიურთ 2 მან. 50 კაპ. რუსეთის
 წელით 1 მან. 25 კაპ., 1 თვეით 2 მან. კაპ.
 ცალკე ნომერი 5 კაპ.
 რედაქციისა და კანტორის ადრესი:
 Цворцовая, 6. I. нас. I.

Д. З. Сараджева.

გაუკეთრ-გამოცემელი.
 გრ. ლიხაბიძე.